


# მედიუმი

ტყეისან ზაქოსხე თუ  
თეხმეშველას ან გავიანო, რას...



Published by Georgian choice Inc

მამული

საზოგადოებრივი გაზეთი შვეიცარიულ შტატებში  
The public newspaper in the United States.

რედაქტორი & გამომცემელი: მანუჩარ კატახიძე  
Editor & publisher: Manuchar KATCHAKHIDZE

რედაქტორის მოადგილე: მკა მაისურაძე,  
პასუხისმგებელი რედაქტორი: პაატა შუბლაძე,  
სარეკლამო მენეჯერი: ქეთი ნემსიფერიძე  
Assistant of Editor: EKA MAISURADZE,  
Responsible Editor: PAATA SHUBLADZE,  
Advertisement manager: KETY NEMSITSVERIDZE

P.O. Box 13121 Phone: 1[609] 517-2278  
Jersey City, NJ 07303 MamuliGEO@yahoo.com

გაზეთი გამოდის თვეში ერთჯერ; რედაქცია აღიარებს პრესის თავისუფლებას სინდისისა და ნამუსის ჩარჩოებში; შემოსული მასალები რეცენზირდება და ავტორებს უბრუნდებათ; სარეკლამო, ფასიანი და ოფიცინის მასალები ექვემდებარება რედაქტირებას; ავტორთა მოსაზრებები იდენტურია რედაქციის პოზიციისა; რედაქტორის თანხმობის გარეშე მასალის, ფოტოს ან ციტირების გამოყენება გახდება სასამართლო დავის საგანი; მასალათა საავტორო უფლება დაცულია "მამულის" სახელით.



ნომრის ლექსი

შინ თიფრთმ, ბომ აბა ჰელოია მცვრთ ბრესთაფელს?!  
აბ გადცეფია სამშომლოდნ სელთამსეთაფელს?!  
და მარცოთდენ უიმედო ცრთომბის ბრალია  
ბომ ამ დართელმა უცხოეთში სელი დალია?!

იღნებ ცრთიალმა გადასეფნა ყელა მელოდსე?  
თიმუბრბი, ბრბილ მეთე, ზასცანგ მელდსე;  
სამა სელსანი გამთაწყელ ბრბის სამთსში,  
მვალ-შესალაგი დაუკბრბა მესიკ გამაშვილს;

ბრა, დართელთ მელი ბომბია ასე ილოი,  
თვითმვლელომბია ჩვინი დიდი სადმის დაწყება,  
სარბმელს გააღელს ამღვრბელი გალაკციონი  
და დვბთენილზე შერბელივით დაგნბრცხება...

ბრ იღნება ბომ სიმბბრთლისთვის დიდემდეს ენა,  
ვრბ მთესწრბი, ბრა და ვრბა  
ვრბელი მეთე სომ ბრ გგონივბრბთ  
თანსმომბა მთგვთ, ბრა და ვრბა.

ბომბრბაბრბმს, ცა მთიწვს ვრბიალა,  
ცომბლა ცას შვასკდება იალად  
სადბბრთველთს გათმბბრბლს  
ნაკუწ-ნაკუწ ვი ბრა  
სადბბრთველთს გათმბბრბლს მთლიანად!  
სადბბრთველთს - ბრესვთისას ვი ბრა,  
სადბბრთველთს მთმბინბმის თილას!

მამული

**P.S.** ამ ადვილზე ნესით მისალომენა უნდა დაბეჭდილიყო და უნდა გვესაუბრა ჩვენი ვაზეთის მიზნებსა და პრინციპებზე. - არც გესალომებით და არც რას გპირდებით! ერთს კი გირჩევთ, დარჩით ჩვენთან და არ წააგებთ!



გვილოცავს:  
**ზუნაბ ქაფიანიძე**

კამბბრბრბთ რბლ ჭბბბბბბბბბ!  
ჩვერ მბბბბბბბბბ რბმბბბბბბბ ვახი  
რბბბბბბბბბ იბბბბბბბბბ ყრბბბბბბბბ  
ბეაბბბბბბბბ, ამბბბბბბბბ რბრბბბბბბბ  
ახ ბვბბბბბბბ, ბაბბბბბბბბბბბბბბ  
ფვსეებლ რა ბრბბბბბბბბ ყრბბბბბბბბ  
ხბბბ რბბბბბბბბ რბბბბბბბბბბბბბ  
ზუნაბ

ვინც კარგი ლექსი დაწერა, ვინც კარგი სიმღერა დაწერა, ვინც კარგი მოთხრობა დაწერა, ვინც კარგად იმღერა, ვინც იდიდგორავა, ვინც სამას იარაგველა, იმბაცხრბხერხულიძევა, ვინც კარგად აწუქურთმა, ვინც კარგი დედა იყო, ვინც პირველად გამოაცხო პური, ვინც კარგი ვენახი დატოვა და ვინც კარგი დვინო დააყენა, ვინც პურზე დვინო დაასხა და თქვა შესანდობარი იყოს სულეებისო, აი იქიდან მოყოლებული, სამაჩაბლო-აფხაზეთისა და ახლა ვინც იღუპება, იმათი შესანდობარი იყოს-მეთქი!

# ინფორმაციის თეატრი

## 2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების წინასწარი მონაცემები

საარჩევნო უბნების მიხედვით წინასწარი მონაცემები შეტანილია საორგანიზაციო განყოფილების მიერ მიღებული ტელეფონოგრამის საფუძველზე

უბნების რაოდენობა სულ (2870)	742
ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა საარჩევნო უბნებში	615321
კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა	369401
ბათილად მიჩნეული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა	6998
<b>№ პარტია/საარჩევნო ბლოკი</b>	<b>მიღებული ხმების რაოდენობა</b>
1 ბლოკი "ახალი საქართველოსთვის"	88233
2 დემოკრატიული ალტერნატივის კავშირი (დაკ)	37285
3 ბლოკი "შრეწველობა გადაარჩენს საქართველოს"	23561
4 საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტია	57362
5 ბლოკი "სააკაშვილი - ნაციონალური მოძრაობა"	81088
6 საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია	2249
7 ბლოკი "ბურჯანაძე - დემოკრატები"	30077
8 საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პოლიტიკური გაერთიანება "მძლეველი"	452
9 "ერთიანი საქართველო"	683
11 ბლოკი "არასახელისუფლებო ბლოკი სამშობლო"	289
12 ბლოკი "ახალი მემარჯვენეები (ახლები)"	29475
13 ბლოკი ჯუმბერ პატიაშვილი - პოლიტიკური გაერთიანება "ერთობა"	8705
14 "ლედა სამშობლო"	311
15 ბლოკი "ეროვნული თანხმობა - იბერიის გაბრწყინება"	3426
16 კონსტიტუციური უფლებათა დაცვის პარტია	91
17 შრეწველობისა და ეკონომიკური აღმაშენების პარტია (მრეწველთა პარტია)	498
18 ბლოკი "შედეგობიანი კავკასია"	721
19 საქართველოს სახალხო კაპიტალიზმის პარტია	159
20 სრულიად საქართველოს სახალხო ალიანსი	168
21 პოლიტიკური გაერთიანება "ქალთა დაცვის კავშირი" (ქდკ)	176
22 "საქართველოს ადვოკატები"	285

Copyright ©2003, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

## ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ლეონიდას ქიქოძის კომპოზიტორის ბიძის კვირანაძის დაბადებიდან 75 წლის იუბილე აღინიშნა.

კონცერტი "შემოდგომის ყვავილებს" თბილისის მერიის კულტურის სამსახურმა მიაწყო დათო ოქტაშვილის ხელმძღვანელობით. საღამო წამყვანმა არაჩვეულებრივი სიტყვებით დაიწყო: "მოდით, ცოტახნით დავეიცოთ ჩვენი პატივმოყვარეობა და ჩვენი ტანჯული, დათოგუნული სული მივანდოთ მუსიკას, რომელიც ერთ კეთილშობილ მამულში იშვილს ეკუთვნის. დღეს მის სიკეთეს სასუქს ვხარებით".

ბიძის კვირანაძის სიმღერების ერთ-ერთ უბედულ შემსრულებლად ნანი ბრეგვაძე გვევლინება. სწორედ მან გახსნა საღამო დაუეციყარი მელიოდით "გაზაფხულა, აყვავო და ნუში". გემოვნებით გაფორმებულ სცენაზე მერიის საკონცერტო ორკესტრი იყო მოთავსებული (ჯაზბენდი და კამერული ორკესტრი). მას დირიჟორი გივი გაჩეჩილაძე ხელმძღვანელობდა, საღამოს რეჟისორი კი რობერტ სტურუა გახლდათ. ასე ახლობელი პანგებით მუსიკის ფონზე მომღერლები რომანტიკულ განწყობას ქმნიდნენ. სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ: ჩვენი ესტრადის ვარსკვლავები თემურ თათარაშვილი, ლინა ბაგრატიონი, თამარ ჭოხონელიძე, დათო გომართელი, ეკა კვალიაშვილი, ნატო მეტონიძე, თაკო გაჩეჩილაძე. ისინი ბიძის კვირანაძის კინომუსიკას და რომანსების არაჩვეულებულ ვარიანტებს გვთავაზობდნენ. საღამოს ერთ-ერთი

მთავარი გმირი ახალგაზრდა მუსიკოსი ნიკა მემანიშვილი გახლდათ, რომელმაც დასაწყისშივე შემოგვათავაზა გემოვნებით შექმნილი პოპური და მუსიკის არაჩვეულებრივი არანჟირება ფილმიდან "დათა თუ თაშხა", რომელსაც ნატო მეტონიძე მეგრული "ნანას" სიტყვებზე ასრულებდა. საღამოს კვირანაძის მუსიკისთვის ჩვეული სევა გახდებოდა. მასში მკვეთრი დისონანსი ჯგუფმა "Soft Ejeckt"-მა შემოიტანა, რომლის წევრებმაც უეცარი გამოჩენით კლასიკური მუსიკის მოსამხენად განწყობილი მსმენელი ერთბაშად განაცვიფრეს. "ბატონო ბიძინა, ჩვენ ამ კომპოზიციის შესრულებისას დიდი იმედი გვაქვს თქვენე იუმორის", - მიმართა კომპოზიტორს ჯგუფის ერთ-ერთი წევრმა და "ტურა, მელა, კატა, მგლები" წამოიწყეს. დარბაზში მიიღო მოულოდნელი კომპოზიცია. "Soft Ejeckt"-ს ეკა მამალაძისა და ანსამბლ "ახალი ქართული ხმების" ერთობლივი სიმღერა მოჰყვა, შემდეგ კი მერაბ სეფაშვილის მიერ შესრულებული სიმღერა "გაზაფხული მაინც მოვა". იუბილე ნანი ბრეგვაძემ დაასრულა ყველასთვის ახლობელი და საყვარელი სიმღერით "ვარდები არ არიან". შემდეგ კი სცენაზე იუბილარი გამოიხმო, რომელსაც დარბაზი ფეხზე ადგობდა და მქუხარე აპლოდისმენტებით შეეგება.

საღამოს ორგანიზატორმა და

# ქართული სული ამერიკაში

18 ოქტომბერს ამერიკაში მცხოვრებ ქართველთა ყურადღება ნიუ-ჯერსის შტატის რათვერსის უნივერსიტეტისკენ იყო მიპყრობილი, სადაც საერთაშორისო ასოციაცია "კვალის" ინიციატივით ქართული კულტურის დღე ჩატარდა.

ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ქართული საზოგადოება ასე ერთობლივად წარდგა ამერიკელი ხალხის წინაშე. ზემოთ ექვსასამდე კაცი დაესწრო, მათ შორის არა მხოლოდ ამერიკელები, არამედ სხვა სათვისტომოს წარმომადგენლებიც.



თიბისაგან შედგებოდა: მოეწყო ტრადიციული ქართული კონცერტი. ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ხალხური სიმღერებისა და ცეკვების შემსრულებლები. დარბაზში ისმოდა კლასიკური მუსიკის პანგები და არიები ქართული ობერებიდან. კონცერტში მონაწილეობდნენ ნათია ასტახიშვილი, თამარ ქურდაძე, ზურაბ ნინუა, ქართული ხალხური ანსამბლი "დენსინგ ქრეინი" ("მოცეკვავე წერობი") ვიქტორ სირლსონის ხელმძღვანელობით, ქართული ხალხური სიმღერის

- ჩემთვის დიდი პატივია მოვესალმით და მოგილოცოთ საქარელოს კულტურის დღე ამერიკის შეერთებულ შტატებში, განაცხადა მისასალმებელ სიტყვაში ასოციაცია "კვალის" პრეზიდენტმა შოთა ვაშაკიძემ. მისი აზრით, ამერიკა ის ქვეყანაა, სადაც თავს იყრის მსოფლიოს მრავალი ერის კულტურა და იქნება განუყოფელი და უადრესად შთამბეჭდავი კულტურული მოხაჯი. "ქართველები - ამერიკაში ერთ-ერთი ყველაზე მცირე ეთნიკური წარმომადგენლობაა. ისინი ამავობენ იმით, რომ თავიანთი მრავალსაუკუნოვანი კულტურა ამ მოხაჯის ნაწილია, - განაცხადა მან.

შეკრებილ სტუმრებს მიესალმა საქართველოს ელჩი ამერიკაში, - ბატონი ლევან მიქელაძე. თბილისიდან მიწვეული მწერალი - ვანო ჩხევიძე და ამერიკის ყოფილი ელჩი საბჭოთა კავშირში, ბატონი ჯეკ მეტლოვი.

კონცერტის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს გულბელი მისასალმებელი წერილი გაუგზავნა საქართველოს პრეზიდენტმა, რომელიც თბილისიდან სტუმრად ჩასულმა მსახიობმა ჯემალ მონიავამ წაიკითხა.

კულტურის დღე რამდენიმე ორიგინალური ღონის-

ანსამბლი (ხელმძღვანელი - გლენ ნიკეროკერი), მოცეკვავეთა ჯგუფი "თბილისი" და სხვები.

უნივერსიტეტის სტუდენტურ დარბაზში წარმოდგენილი იყო ამერიკაში მცხოვრები 20-ზე მეტი ქართველი მხატვრისა და მოქანდაკის ნამუშევრების გამოფენა.

სტუმრებმა იქვე, გულუხვად გაშლილ სუფრასზე ქართულ კერძებსაც გაუსინჯნეს გემო...

კულტურის დღე დაასრულა "კვალის" ლიტერატურულ კონკურსში გამარჯვებული მწერლის - ვანო ჩხევიძის პიესა-მონოლოგის მიხედვით განხორციელებულმა სპექტაკლმა - "ორი მდინარის შესართავთან კვდება ქალაქი", რომელიც გორის ერისთავის სახელობის თეატრში დაიდგა და მთავარი როლი შეასრულა საქართველოს დამსახურებულმა არტისტმა ჯემალ მონიავამ.

სპექტაკლის მსვლელობის დროს, ქართულ სცენას მონატრებულმა მაყურებელმა არაერთხელ დააჯილდოვა მსახიობი ტამით. იყო ცრემლიც და სიხარულიც...

მანუჩარ ხშიტია

"ქართული ტოტალური მობილიზაცია" - ასე შეაფასა რუსულმა პრესამ საქართველოდან 160 ხელოვანის რუსეთში სტუმრობა. საქართველოს კულტურის დღეებს აქ წინმსწრები ინფორმაციებით აქტიურად გამოეყომაგნენ, თუმცა, გამოხმაურებები ქართველების ფესტივალზე რუსეთში, როგორც ჩანს, ახლა ისევეა. გთავაზობთ რუსული პრესის ერთ-ერთ გამოძახილს.

რუსეთის დედაქალაქში დასრულდა ქართული კულტურის ფესტივალი. მის ერთ-ერთ ბრწყინვალე წარმოდგენად იქცა ვერეო ანჯაფარაძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრის სპექტაკლი. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა სოფიო ჭიაურელმა მოსკოვში თეატრალური მონოლოგი ჩამოიტანა, რომელიც მარგარეტის პიესაზეა აგებული. ეს პირველი დადგმაა, რომელიც რუსეთულ მაყურებელს შესთავაზა თავად სოფიოსა და მისი მეუღლის - კოტე მახარაძის მიერ დაარსებულმა თეატრმა "ვერეო".

სასტუმრო "როსიასა" და ჩეხოვის სახელობის აკადემიურ("მხატ") თეატრის შორის სულ რაღაც შვიდი წუთის სავალია. საქართველოს სახალხო არტისტი სოფიო ჭიაურელი კი საათზე მეტ ხანს ანდომებს ამ გზას. საბჭოური კინოს ვარსკვლავი, ახლა კი ერთი მსახიობის თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი, კარგა ხანია, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოსკოვში საგასტროლოდ აღარ ყოფილა. აღმოჩნდა, რომ მსახიობი ყველაზე უფრო რუსეთის დედაქალაქში საგზო საცობებზე გააკვირვა.

- ამის ატანა შეუძლებელია. არადა, ცხოვრება ხომ მიდის, საათები, წუთები, წამები გარბიან, - აღმოთქვლია ჭიაურელი.

რა დროსაც არ უნდა მივიდეს იგი თეატრში, ყოველთვის ყვავილებით ხვდებიან. სოფიოს ტალანტის თავყანისმცემლები გასახდელში ან საგრიმიროში უტოვებენ თაიგულს, უბრალოდ, იციან, რომ ის მოსკოვშია. მოსკოვშია საგასტროლოდ, პირველად თავის თეატრთან ერთად და პირველად... მარტო.

2002 წლის დეკემბერში გარდაიცვალა მისი მეუღლე, მსახიობი, რეჟისორი და საორტული კომენტატორი კოტე მახარაძე. სოფიო ახლა სცენაზეც მარტოა, სპექტაკლში "უკანასკნელი აღსარება საყვარელ ადამიანს" - ერთი საათი წვალების, შურაცხყოფისა და სიყვარულში გამოტყდომისა. ეს სპექტაკლი სოფიომ და კოტემ ერთად დადგეს. მეუღლე სიამოვნებით უსმენდა სოფიოს...

სოფიომ კოტეს ოცნება რეალობად აქცია - მათი თეატრი რუსეთშია გასტროლებზე. კოტე ძალიან განიცდიდა საქართველოსა და რუსეთს შორის გართულებულ ურთიერთობას. მისმა გულმა ვეღარ გაუძლო ამ ორი ქვეყნის საფეხბურთო გუნდებს შორის ვერსემდგარ სკანდალურ მატჩს, როცა თბილისში, სტადიონზე შექი გამოირთო... ახლა სოფიო საერთოდ აღარ უყურებს ფეხბურთს... კოტეს მსგავსად მატჩების კომენტარებს ვერაინ შეძლებს...

ქართული კულტურის ფესტივალმა მოსკოვში, თითქმის, კულუარულად ჩაიარა - ოფიციალურ პირთა მინიმალური რაოდენობა, ლაპარაკი ფეხბურთსა და პოლიტიკაზე, ისიც ხმადაბლა... და კიდევ იმაზე, რომ რუსი ბიზნესმენები, ქართველებთან ერთად, "ვერეოს" თეატრის ახალი შენობის აგებაში მიიღებენ მონაწილეობას.

## ქართველები მოსკოვში

"ვარსკვლავების" ბურჯმა დათო ოქტაშვილმა სცენაზე ქალაქის მერი გამოიხმო, რომელმაც გადადებული "თბილისობის" გახსნა გვაუწყა, ამ კონცერტს დაამთხვია და მსმენელი ფილარმონიის შესასვლელისკენ გაიხმო, სადაც კომპოზიტორის სახელობის ვარსკვლავი გაიხსნა და სადღესასწაულო ფეიერვერკი მოეწყო.

# ინფორმაციის თეატრი

ლექსი

არაღალ დაავიწყდით ამ ნათელ შაბლს... არ გადმოსცემს ჩართულ საღმარე...

1941-42 წლებში თბილისში, უმაღლესი სასამართლოს დახურული კარის მიღმა ჭავჭავაძის მკვლელის, გიგოლა ბერბიჭაძის...

ილია ჭავჭავაძის მკვლელის გასამართლება ვარლამ ძიძიგურმა ვრცლად აღწერა თავის წიგნში „მასწავლებლის მოგონებანი“.

გთავაზობთ შემოკლებულ ვარიანტს ვარლამ ძიძიგურის მოგონებებიდან. თავს, რომელიც ილია ჭავჭავაძის მკვლელის გასამართლო პროცესს ეხება, ჰქვია „ილიას მკვლელის გასამართლება“.



უბიჯიანი ხარ, ბერბიჭაშვილი!

აღიარა თუ არა დანაშაული ზებმიჭაშვილმა?

ჩემი მეხსიერებიდან არასოდეს ამოიშლება ის ათი დღე, 1941 წლის 25 დეკემბრიდან 1942 წლის 5 იანვრამდე, როცა თბილისში, უმაღლესი სასამართლოს დახურულ კარში ილია ჭავჭავაძის მკვლელის - გიგოლა ბერბიჭაშვილის გასამართლება მიმდინარეობდა.

საბრალდებო სკამზე იჯდა 64 წლის კაცი, საშუალო ტანის, გამხდარი, ფართო მხარ-ბეჭიანი, ხმელი და თხელი სახისა, ჭაღარა გიგოლა ბერბიჭაშვილი.

სასამართლოს თავმჯდომარის პირველი კითხვა იყო ბერბიჭაშვილისადმი:

- სწოხობთ თუ არა თავს დამნაშავედ?

- იმდენად, რამდენადც...- და მოჰყვა ბერბიჭაშვილი წილაღობილას...

- ჩანს, არ გინდათ თქვათ არც კი, არც არა! გვიამბეთ თქვენნი თავგადასავალი, თქვით, რისი თქმაც გინდოდათ!

- მე აღრე დამეხოცნენ მშობლები, ვცხოვრობდი ბიძასთან. ის მამაღლიდა ლუკმა-პურს. ავდექ და გავიქეცი მისგან. შევეკედლე ცყეში რამდენიმე კაცს, ცყეს წვაუნდენ, ნახშირს აწვანდებდნენ და ქალაქში დაჰქონდათ გასაყიდად. ერთი ვირი ჩამაბარეს, დაეცვირთავდი ამ ვირს და ცყიდან „ხაბი-ნების“ ნახშირს ვზიდავდი გასაყიდად.

თბილისში „ზემელთან“ ერთი პატარა დუქანი იყო. იქ ერთი კაცი მომიქმედა პროკლამაციებს, ჩავაწყობდი იმ პროკლამაციებს ნახშირის გილდები, ზემოდან რამე-რუმეებს დაეყრიდი და ისე მიმქონდა ცყეში; იქიდან ჩემ-ჩემად ვურიგებდი გლეხებს ამ პროკლამაციებს. მე პარტიზანთა რამზის წევრი ვიყავი, წითელი პარტიზანების მოწმობა მქონდა. 1905 წელს დამიჭირა პოლიციამ და დუშეთის სამაზრო ციხეში დამამწყვდია. ციხე გავტეხე და გამოვიქეცი. ამის შემდეგ ცყეში ვიმაღლებოდი. ერთხელ, ეს იყო 1907 წელს, ტანისამოსი დამეფლითა, ახლის შესაძენად ჩემად მინდო-

და ჩამოვსულიყავი თბილისში და საგურამოზე გამოვიარე. საღამო იყო. გზაში შემხვდა ერთი ჩემი ნაცნობი - ხიზანიშვილი. მითხრა: ამაღამ ილია ჭავჭავაძის სახლის ზემოთ, ცყეში, რამდენიმე კაცს კრება გვაქვს და დაგვესწარიო. არ მინდოდა, მაგრამ ძალით წამიყვანა. კრებაზე 10-12 კაცი იყო. თავმჯდომარეობდა ვიღაც ჯამი. როგორც გავიგე, ეს კაცი ილია ჭავჭავაძის მოურავი ყოფილა. მან წაიკითხა ილია ჭავჭავაძის წინაღობდე გაბეითი დაბეჭდილი წერილი. ჯამმა თქვა: მე დღეს ვარ აქ და ხვალ არა და მინცდამინც არ მენადვლება, მაგრამ თქვენ აქაურები ხართ, ვერსად წახვალთ და კნიაზ ილიას წვალუბას მანამ ვერ გადაურჩებით, სანამ მას არ მოკლავთო. მოკალით და მოისვენეთ, - მისი მოკვლა რა დიდი საქმეაო.

- რა დროს ამოიყვან თბილისიდან კნიაზი? - ჰკითხა მან იქვე მყოფ ილიას მეეტლეს აფციურს.

- ნაშუადღევს 1-2 საათზე, - მიუგო მან.

- წინამურში რა დროს იქნებოდა?

- დაახლოებით 12 საათზე. იქნებ უფრო აღრევ. კარგად არ ვიცი, რა დროს წამოიყვანა თბილისიდან კნიაზი. ეს კი ვიცი, რომ დილით უნდა წამოვიდეს და აღრე მისვლა შემომითვალა.

გადაწყდა ილია ჭავჭავაძის მოკვლა. ხუთი კაცი აირჩიეს, მათ შორის მეც. მე უარზე ვიყავი: თქვენი კნიაზი და თქვენ უნდა მოკლათ, მე რა მესაქმება-მეთქი. ძალით ჩამაბეს ამ საქმეში. იმ ღამეს წინამურის ზემოთ ვივახშმეთ ერთ ოჯახში. დამე წინამურის ცყეში გავათიეთ. გავინაწილეთ ის არე-მარე, სადაც ილია უნდა მოგვეკლა, საიდანაც ილიას მეეტლე ეტლს ჯერ მიძიდელ წამოიყვანდა და შემდეგ შეაჩერებდა. სამი კაცი მაღლა უნდა გადამდგარიყო ეტლის გაჩერების ადგილას; მე და ერთი კაციც დაბლა უნდა ვმდგარიყავით, რომ არ გაგვეცეოდა.

გათენდა. ცოცა დაავიანდათ მგზავრებს. მგონი, პირველ თუ ორ საათზე გამოჩნდა ჭავჭავაძის ეტლი - თოფები გავარდა და კნი-

აზი ეტლიდან გადმოვარდა. მე ბევრით ვისროლე.

- მართალი თქვი, შენგან გასროლილი ცყევა მოხვდა ილიას გულსა და შუბლში, შენმა ცყევიებმა განგმირა ილია? ჩვენ ამის ჩვენება გვაქვს: 1907 წელს გასამართლებულმა შენმა ამხანაგებმა დანჯრილებით თქვეს ყველაფერი; ისინი არ უარყოფენ იმას, რაც თვითონ ჩაიდინეს, და არც იმას, რაც სხვებმა, მათ შორის შენ რაც გააკეთე.

- ჭავჭავაძე რომ გადმოვარდა ეტლიდან, გადმოვარდა სათვალე და საფულე, მე საფულე ავიღე და იქვე ივანიშვილს მივცევი. საფულეში 600 მანეთი იყო. მე ფული არ წამიღია.

- ჭავჭავაძის მეეტლეს - ოლა ჭავჭავაძისას - ვინ ჩაუმტვრია ცხვირ-პირი თოფის კონდახით?

- ჩაუმტვრიეს, კი, მაგრამ ვინ - არ დამინახავს!

- ჰატარა სათვალე დაინახე მინახე დავარდნილი და ის ვერ დაინახე? აქვს სტყუი! ხიზანიშვილისა და აფციურის მიერ 1907 წელს მიცემული ჩვენებით, ოლა ჭავჭავაძის შენ დაულენე სახე და თავი ისე, როგორც შენმა გასროლილმა ცყევიებმა განგმირეს ილია ჭავჭავაძე. სხვას რას იტყვი?

- შემდეგ მე გავიქეცი ჩვენი ქვეყნიდან და 1907 წლიდან 1921 წლამდე სპარსეთში ვცხოვრობდი. 1921 წელს დავბრუნდი საქართველოში და შევედი პარტიაში.

- მაშ, სპარსული ენა გეცოდინება?

- წყლივით ვიცი!

- პარტიაში მიღებისას თუ აღიარე შენი წარსული?

- არა, არ მითქვამს! რა საჭირო იყო?

- შემდეგ?

- შემდეგ ვმუშაობდი დუშეთში, მუხრანში, თბილისში.

- თუ იცნობდი შენს მსხვერპლს, როცა ჰკლავდი?

- არა, არ ვიცნობდი.

- ნუთუ არ გქონდა გაგონილი ილია ჭავჭავაძის სახელი,

არ წაგიკითხავს მისი ნაწერები: „კაკო ყაჩაღი“, „გლახის ნაამბობი“ და სხვა?

- არ წამიკითხავს და არც გამიგონია მისი სახელი. აკაკი წერეთლის ლექსები კი ვიცოდი.

- ილია ჭავჭავაძე ილიაობას აწყობდა ყოველ წლიურად და სხვა სტუმრებთან ერთად მემობელი სოფლებიდანაც ჰყავდა მოპატივებული ხალხი. შენი სოფელი სამიოთხი კილომეტრით იყო დამორებული საგურამოს და ნუთუ არავის უხსენებია ილია ჭავჭავაძის სახელი?

- მე მისი სახელი არ გამიგონია.

- შენ ორი შვილი გყავს: ქალ-ვაჟი, შენმა ვაჟმა დაამთავრა ის სკოლა, სადაც ილია ჭავჭავაძის სწავლობდა (ყოფ. პირველი გიმნაზია). ნუთუ შენმა ვაჟმა არ გითხრა, იმ სკოლაში ვსწავლობ, სადაც წინათ სწავლობდა ილია ჭავჭავაძეო?

- არ უთქვამს...

- შენი ქალიშვილი სწავლობდა და დაამთავრა თბილისის მესამე საცდელ-საჩვენებელი სკოლა ილია ჭავჭავაძის სახელობისა. ნუთუ არ ჰკითხე შენს ქალიშვილს: რა გააკეთა ისეთი ილია ჭავჭავაძემ, რომ მისი სახელობის სკოლაც კი გახსნა ჩვენმა მთავრობამ?

- არ მიკითხავს, არ დავინტერესებულვარ!

- 1937 წელს ჩვენმა მთავრობამ შენ მიერ ჩადენილი ვერაგული მკვლელობის 30 წლის თავი და ილიას დაბადებიდან ასი წლისთავი აღნიშნა. შენ მაშინ თანამდებობის კაცი იყავი, - უთუოდ გაბეითებს კითხულობდი, მაშინ მაინც ვერ გაიგე, ვინ ყოფილა ილია ჭავჭავაძე?

- მე იმ ადგილებს არ ვკითხულობდი უურნალ-გაბეითებში!

- უტიფარი ხარ! კმარა! შემოიყვანეთ მოწმეები!

პირველად ვიღაც მოხუცი დედაკაცი შემოიყვანეს.

- სახელი და გვარი, მამის სახელი? - ჰკითხეს მას. ჩაინერეს.

- სად გაიყვანი ეს კაცი და როდის?

- ეს კაცი ჩემი მეგვარე იყო. ჩემი გვირგვინი ეკავა ხელში ჩემი ჯვრისხერის დროს.

- როდის მოხდა ეს?

- 1911 წელს.

- ბერბიჭაშვილო, ამტკიცებ: სპარსეთში ვიყავი 1907 წლიდან 1921 წლამდე! 1911 წელს კი ცოლი შეგირთავს საქართველოში! რას იტყვი?

შემოვიდა საგანგებოდ გამოძახებული პროფესორი, სპარსული ენის სპეციალისტი იუსტინე აბულაძე, რომელსაც უნდა შეემომბებინა, თუ რამდენად „წყალივით“ იცის სპარსული სპარსეთში ვითომცდა 13 წელს ნაცხოვრებმა ბერბიჭაშვილმა.

- პროფესორო, გთხოვთ ებასოთ სპარსულ ენაზე ბერბიჭაშვილს და მოგვცეთ დასკვნა, თუ რამდენად იცის მან სპარსული!

- პროფესორმა იუსტინე აბულაძემ „გამოცადა“ ბრალდებული და დასკვნაც მიიღო: არც ერთი სიტყვა არ იცის სპარსული,

- იცის აბრუბიჯანული ენა.

მონმეთა შორის იყო ილია ჭავჭავაძის მკვლელობის მონაწილე და ორგანიზატორის, ჯამის ცოლი. მისი დაკითხვით და სხვა მასალებით გამოიკვია, რომ ჯამი ყოფილა ნაირ-ნაირ პარტიამი. იგი იყო პროფკავკორო, საბინის გაძარცვის ორგანიზატორი. ეს ბინტური ადამიანი 1922 წელს ცოლის მძას მოუკლავს ნაძარცვი ფულის გაუბიარებლობის და სხვა ამგვარი მიზეზის გამო...

- შემოიყვანეთ მოწმე ფაღავა!

- შემოვიდა 80-82 წლის ხმელი, მაღალი, ლამაზი სახის მოხუცებული, რომელიც იმ პერიოდში დუშეთის მაზრის უფროსი ყოფილა 1907 წელს, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის დროს.

- მოახსენეთ სასამართლოს, რა იცით ამ საქმის გარშემო!

- როცა დუშეთის მაზრის უფროსად დამნიშნეს, ჩავიბარე მაზრა და მისი საქმეები. გადმომცეს დანასრული 81-13 83-ზე

იგი თეთრი არ უნდა ყოფილიყო... მცენარეთა გამწვანების ფონზე მისთვის სალაითის ფერი წარმოედგინათ! ერთი რამ კი თავიდანვე იყო განსაზღვრული... მისი ადგილმდებარეობა... რათა მზე ამ ნაგებობიდან ამოსულიყო...

გინახავთ თეთრი სახლიდან ამომავალი მზე? არადა, რომ გენახათ, მსოფლიოს საოცრებათა სიაში პირველს ამ საოცრებას ჩაწერდით. აპრილ-მაისში, საადრეო ბალის ყვავილობაზე სპეციალურად სხვადასხვა შტაგებიდან ჩამოსული დამთვალეებლები ცდილობენ, რომ დილის 5 საათსა და 45 წუთზე უკვე პენსილვანია ავენიუზე მოხვდნენ, რათა საკუთარი თვალით იხილონ თეთრი სახლიდან ამომავალი მზე.

იცით, რაა გასაკვირი? მზე მუსტად თეთრი სახლის შუაგულიდან ამოდის და მუსტად იქ, სადაც ამერიკის დროშა ფრიალებს, 1 წუთი და 25 წამი ჩერდება.

მთელი მსოფლიოს პრესა იყო გადაჭრელებული იმ ინფორმაციით, რომ სექტემბრის იმ ავადსახსენებელ დღეს, როცა ტყუპები დაეცა, მზემ გვერდი აუარა ამერიკის დროშას და თეთრი სახლის მარჯვენა ფლიგელიდან ამოვიდა.



ქვეყნის პირველი ძალი სპოგია. იგი თეთრი სახლის ვებ-გვერდზე ასე წერს: "თეთრი სახლი უდიდესია იმ ძალის სახლებს შორის, რომელიც მე ოდესმე მინახავს. იმისათვის, რომ დარწმუნდეთ, გეგყვით, რომ აქ არის 6 სართული, 132 ოთახი, 35 ტუალეტი, 147 ფანჯარა, 412 კარები, 12 ბუხარი, 8 კიბე და 3 ლიფტი. და რა გასაკვირია, რომ აქ ადვილად დაკარგო ჩოგბურთის ბურთი. ჩემი საყვარელი ოთახია ბატონი უშერის ოფისი. აქ მე ძალიან მიყვარს ძილი იატაკზე, მისი მაგიდის გვერდით".

თეთრი სახლი 202 წლისაა. დასავლეთ ფლიგელი კი წელს 100 წელს შეიქმნა.



გო დაჩაზე "კემპ ლევიში", ხოლო მეორე ხის კართი იგი კაბინეტის ოთახში გადის.

იმ ოთახში მინისტრთა კაბინეტის სხდომები იმართება. მას ოცი მინისტრი ჰყავს და მათი მოწვევა ნებისმიერ დროს შეუძლია.

ოთახის ცენტრში ოვალური მაგიდაა. ეს მაგიდა რიჩარდ ნიქსონის საწუქარია. მაგიდას 20 სკამიც ახლავს. მაგიდის შუაგულში მისი პრეზიდენტი, მისი სკამი 2 ინჩით მაღალია სხვებთან შედარებით. ამ სკამს, ისევე როგორ ყველას, უკან ოქროსფერი ფირფიტა აქვს მიმაგრებული, რომელზეც მინისტრის სახელი და გვარია ამოტვიფრული (ეს ფირფიტები მოხსნილ მინისტრებს სახლში მიაქვთ). პრეზიდენტის მარჯვნივ ყოველთვის სახელმწიფო მინისტრი მის, ხოლო მარცხნივ თავდაცვის მინისტრი, რომელიც ამავე დროს პენტაგონის ხელმძღვანელია.

მაგიდაზე მხოლოდ ერთი, პრეზიდენტს აქვს დამაგრებული დილაკი, რომლითაც შეუძლია კოკაკოლა, ჩაი ან წყალი მოითხოვოს. კედელზე დიდი ფერწერული გიგანტია, რომელიც დამოუკიდებლობის გამოცხადებას გამოხატავს. ეს ნამუშევარი დაუსრულებელია.


ამ კაბინეტის თითოეული წევრი ყოველთვის მზად უნდა იყოს პრეზიდენტისათვის. იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტი რამე დაემართა, მის ადგილს პირველად ვიცე-პრეზიდენტი იკავებს, ამ სიაში მეორეა სახელმწიფო მინისტრი, მესამე თავდაცვის მინისტრი, მეოთხე გრანსპორტის მინისტრი და ა. შ.

თეთრ სახლს კიდევ გააჩნია ლურჯი, ჩინური, სასაღილო, დიპლომატიური, მწვანე, ალმოსავლეთი, რუკების, წითელი და რუხელების ოთახები, რომელზეც დაწერილია თეთრი სახლის მთლიანი მომდევნო ნომრები გესაუბრებით.

გაინტერესებთ, თუ როგორ ერთობიან ამერიკის პირველი ძალი სპოგია და ბარნი, ქვეყნის პირველი კაგა ინდია და თეთრი სახლის კამეჩი ოფელია?

დარჩით ჩვენთან, და ამ ყველაფერს მხოლოდ თქვენ მოგიყვებათ:

მანუშარ კატახინი



იგი თეთრი სახლის დამმარცხებელი, დროებითი ნაგებობა იყო. მისი აშენება 1902 წელს დაიწყო. თეოლოგი რუხელების 6 შვილი თეთრი სახლის მეორე სართულზე იმრდებოდა. ამისათვის კონგრესმა გამოყოფა 65 ათასი დოლარი, რათა აშენებულიყო დროებითი, ერთ სართულიანი ნაგებობა თეთრი სახლის დასავლეთით.

1902 წელს თეთრი სახლის რემონტიც დაიწყო. პრეზიდენტის ოფისმა დასავლეთ ფლიგელში გადაინაცვლა. 1909 წელს აქ შეხვდა თავის პრეზიდენტობას უილიამ ჰოვარდი. 1929 წელს, შობის წინა დღეს ხანძარი გაუჩნდა ამ ნაგებობას, რამაც ახალი პროექტი განახლება-ადგენა გამოიწვია. ნაგებობას დაამატეს კონდიციონერების სისტემა. ოთხი წლის შემდეგ ახალმა პრეზიდენტმა, მეორე რუხელებმა, ფრანკლინმა, მოახდინა ძირეული ცვლილებები თავისი მეხუთე ბიძაშვილის, პრეზიდენტ თეოდორ რუხელების დროებითი ოფისის ნაგებობაზე. მან 1934 წელს ოვალური ოფისი ადმოსავლეთ კუთხეში გადმოიტანა, აგრეთვე დაამატა საცურაო აუზი, რომელიც შემდეგ პრეზიდენტმა ნიქსონმა გააუქმა და დღეს აქ პრესის დარბაზია.

იგი ლურჯი ფარდებითაა მორთული. ამ დარბაზისათვის ორი პოლიუმი არსებობს: ერთი ჩვეულებრივი, ხის, რომელზეც პრიფინგებს ატარებს თეთრი სახლის პრეს-მდივანი არი ფლიშერი, ხოლო მეორე პოლიუმი არის მუქი

ლურჯ-ნაჭერ-გადაფარებული, პრეზიდენტის ლოგოთი დამშვენებული, შედარებით მაღალი ემპოფი. ამ ემპოფოგთან მიახლოების უფლება მხოლოდ შეერთებული შტატების პრეზიდენტს აქვს.

45 სანტიმეტრის მოცილებით პოლიუმიდან, იატაკზე, ორშოს კარია, რომლის გამოღების შემდეგ კიბეებით ჩადისხართ ყოფილ საცურაო აუზში. ახლა აქ პრესის დარბაზის ვიდეო-ოპერატორთა მთელი რიგი გაყვანილობებია გახლართული. ამიტომ, რომ დარბაზში ფეხს ვერ წამოკრავ აპარატურათა ხაზებს. ისინი საგულდაგულოდ და მონიტორებზე ული იატაკის ქვეშ, აუზში.

ეს დარბაზი ჯერჯერობის სახელდება. იგი რეიგანის დროინდელი მმართველობის პრეს-მდივანი იყო, რომელიც მოკლეს. მისი სახელი პრეს-დარბაზს უილიამ კლინტონის ინიციატივით მიენიჭა.

ლურჯი სკამები რეიგანმა დაამონტაჟა. პოლიუმიდან მოსულ რეიგანს მდივან-სავარძლები არ მოეწონა და მათი სკამებით შეცვლა ბრძანა, თანაც თითოეულ სკამს ოქროსფერი ფირფიტა მიამატა წარწერით, თუ ვისზეა აკრედიტებული ეს სკამი.

დაიხ, იმ დარბაზში, სადაც რუხელები ბანაობდა და ექიმები მასაჟებს უკეთებდნენ, დღეს ინფორმაციებს გასცემენ - ერაყში მიმდინარე მოვლენებზე თუ ჩრდილოეთ კორეასთან დაძაბული ურთიერთობების შესახებ.

საყოველთაოდ ცნობილი ოვა-

ლური აბრა ნახაგითა და წარწერით "თეთრი სახლი" ამ დარბაზს ამშვენებს. იგი ისეა ჩამოკიდებული კედელზე, რომ პოლიუმი მდგარ პრეზიდენტის მხრებს უსწორდება.

ამ დარბაზს მოგჯერ თქვამთ მინი-თეატრის დანიშნულება აქვს. ბუში ქვეყნისადმი მიმართვის გეგმებზე ამ დარბაზში მეცადინეობს. მასზე მხოლოდ ოჯახის წევრები და თეთრი სახლის გუნდი ესწრება. ისინი უსწორებენ და ურჩევენ პრეზიდენტს, თუ რომელი წინადადების წაკითხვისას აამაღლოს ტონი და პირიქით. ხელების და თავის ქუსტიკულაციასაც აქ სწავლობს ბატონი ბუში.

ასე რომ, დიდი მიმართვის გაკეთებისას, თუკი ბუში თავი გააქნია ან გუჩები მოკუმა, მინდა იყოფდეთ, რომ ეს უდიდესი მეცადინეობის შედეგია.

ახლა იმ ოთახზე, სადაც ავღანეთის, ერაყის და ვინ მოთვლის რამდენი ქვეყნის ომები დაიგეგმა და დაიკვამება.

მიმხივლებით, პრეზიდენტის ოთახზეა საუბარი.

მას ოვალური ოფისის უწოდებენ. ოთახის ცენტრში, იატაკზე ამერიკის ოფიციალური ლოგოა გამოხატული. კარიდან პირდაპირ, გარეთ გასასვლელი კარების პირისპირ პრეზიდენტის მაგიდა დგას.

ეს ის მაგიდაა, რომელიც ჰერი გრუმანმა აჩუქა თეთრს სახლს. ამ მაგიდაზე მუშაობდა ჯონ ფიცჯერალდ კენედიც. გაგახსენდებათ, ალბათ ცნობილი სურათი, რომელზეც გამოსახულია პრეზიდენტი კენედი მუშაობისას. მაგიდის ქვემოთ, თუკი დააკვირდებით, დაინახავთ საგულდაგულოდ მამისთვის დამალულ კენედი უმცროსს.

ამ მაგიდის უკან გრძელი მაგიდა დგას, რომელზეც პრეზიდენტ ბუშის შეიღების, მეუღლისა და მშობლების სურათები დგას. ამ სურათებს თქვენ იმ შემთხვევაში შეაძინებთ, თუკი მიმართავთ პრეზიდენტი ოვალური ოფისიდან აკეთებს, რაც ხშირად ხდება ხოლმე.

- ბატონო ზურაბ, საიდან მოხვდით მსახიობი კაცი პარლამენტში?

- პარლამენტი და იქ ჯდომა არ არის ჩემი საქმე, მაგრამ მე სოფლები კაცი ვარ და ყოველთვის მაინტერესებდა ჩემი ქვეყნის ისტორია. ილია ჭავჭავაძე ვიცი ძალიან კარგად. ჩემით ვიყავი, სკოლაში ხომ ცოტას გვასწავლიან. ილიამ იცის სახელმწიფოს მოწყობა და პირდაპირ აქვს მინიშნული თავის ნაშრომებში. მინდოდა, რომ ჩემი სამშობლო ილიას გვით წასულიყო.

გასული საუკუნის ისტორია ასეთია: პოლიტიკოსი იყო სულელი ნიე ფორდანი და არაპოლიტიკოსი - ილია ჭავჭავაძე. ეს რა გაყოფა და რა დარქმევა, ვერ გავიგე. ადამიანი მსახიობობის მიხედვით კი არ უნდა დაინახოთ, არამედ რა აზრით დადის თავის სამშობლოზე. მომელა ამ პროფესიამ, საქართველოში არ იციან, "ქეთა დაღადი" ილიამ ვის დაუწერა, მე ვიცი. იმხონ, მსახიობი ხარო და ჩვენ - მწერლები და კრიტიკოსები. მათ არ იციან, რა ჩემი ბრალია, მსახიობობას როდემდე ვაბრალოთ. გალაკტიონს ლოთი უწოდეს, ფიროსმანაშვილს ლოთი უწოდეს, ისინი ხომ გენიოსები იყვნენ. ვინ ჰკითხავთ, როგორი ლექსები და ნახატები აქვთ. რა მინდა მე პარლამენტში, მე რომ ჩემი პრინციპები მყავდეს, ამ დაქვეყნულ ქვეყანას ფეხზე დავაყენებდი. რა შექნა, არ შევსულიყავი.

- საშუალო ხომ არ არის მაინც?

- არ არის, მაგრამ ჩვენ ჩვენი პროგრამა, ჩვენი მიმართულება და განვითარების სტრატეგია გვაქვს.

- პარლამენტში მოღვაწეობის პარალელურად კიდევ რას საქმიანობთ?

- ჩემს წიგნზე ვმუშაობ, ახლა ინგლისურად ვთარგმნით.

- არ გიფიქრიათ რამე სარფიანი ბიზნესი წამოგეწყვიტოთ?

- როგორ არ მიფიქრია, მაგრამ ამ საქმეს უნდა კაცები, ეს კაცები კი ფულს რომ დაინახებენ, ჭკუჭყიანდებიან და 24 საათის განმავლობაში ფულს დაპყრობენ. მე ასეთი რამ არ შემიძლია. მერე ყველა მატყუებს - ერთხელ, ორჯერ, სამჯერ და მერე აღარ გინდა, რამე გააკეთო. ამ ცხოვრებაში არაფერი მაინც უნდა იყოს, მე კი არ შემიძლია.

- სოფელში დაბადებულ-გაზრდილმა კაცმა როგორ გადაწყვიტეთ მსახიობობა?

- სკოლა გვექონდა, სადაც ვსწავლობდით პოეტების ლექსებს, შემდეგ ვეგამდით საღამოებს და მასწავლებელი გვაკითხებდა ხოლმე. მასწავლებელი პატარა ვიყავი, როდესაც წავიკითხე ლექსი "ვაკაცსა უნდა უყვარდეს თავის მამული ერა". ეს ჩემი პირველი გამოცემა იყო სცენაზე და მასწავლებელი, ისეთი აღფრთხილებით წავიკითხე, რომ ხალხმა ტაში დამიტარა. სოფელში კლუბი გვექონდა და დავდიოდით ახალი ფილმების სანახაურად, როდესაც გამოვიდა "არსენა", "გიორგი სააკაძე", "ქეთი და კოტე". მიშველა ჯიშმაც, ნორმალური ფიზიკური შეხედულება და განვითარება გვექონდა, რაც საგმირო ეპოსს ესადაგებოდა. მე მოვესწარი ისეთი საქართველოს, როცა ვერ ჩავიდეინდი საგმირო საქმეს და ვიფიქრე, სცენაზე მაინც განვასახიერებ-მეთქი.

- მშობლებმა როგორ მიიღეს თქვენი გადაწყვეტილება?

- ვერ წარმოვიდგინათ, მე თუ აკაკი ხორავას და აკაკი ვასაძის მოწაფე გავხდებოდი. ეს ხალხი ეძებდა კარგი და ხალხი მონაცემების მქონე ადამიანებს, მსახიობებს. მაშინ ხალხს თეატრალურში მონაცემების მიხედვით იღებდნენ. ახლა სულ სხვანაირად ხდება ყველაფერი. მე სირცხვილით ვერც ვიცეკვე. ვერც ვიმღერე, საბედნიეროდ.



# ზურაბ ჯაფარიანი: "ანი სხვამ იტმოს ბისერი, რაპარს უნდა, ისე ძნას, მე კი დავლევ"

ერთმა ქალმა გამიცეკვა.

- ე.ი. არ გეგვიჭირდათ და ადვილად ჩააბარეთ მისაღები გამოცდები?

- აკაკი ხორავამ მიმატანინა საბუთები. ერთხელ ქუჩაში მეგობრებთან ერთად ხმამაღლა გავიცინე. უზრდელი ბიჭი კი არ ვიყავი, უბრალოდ, თავს უფლება მივეცი და გავიცინე. დამიძახეს, აკაკი ხორავა გეძახისო, მივედი და დავიმორცხე, მან კი მითხრა - საბუთები შემოიტანეო. ჯერ გამოცდები არ იყო და უთქვამს, ეს ბიჭი ისწავლის ჩემს ჯგუფშიო.

- მანამდე რისთვის იყავით თბილისში ჩამოსული, რას აკეთებდით?

- "გეპეში" ვაბარებდი საინჟინრო ფაკულტეტზე, მათემატიკა ვიცოდი ბრწყინვალედ, მაგრამ რუსულმა ჩამჭრა პირველ წელიწადს და მას მერე აღარც მიფიქრია იქ ჩაბარებაზე.

- თუ შეგიძლიათ გაიხსენოთ როგორი ბავშვობა გქონდათ?

- არაჩვეულებრივი. ჯერ ერთი, ულამაზესია ჩემი კუთხე, რაჭა, ძალიან ლამაზი იყო წყლის წისქვილები, რინი, მისი ხმა სამ კილომეტრზე ისმის. იქ დავბრბოდით, ვთამაშობდით დაგუბობანას, ჯერ დაგუბებდით, მერე გავუშვებდით. გვექონდა ვენახები, ბალები.

- თავისუფლად იხრებოდით?

- არა, როგორ შეიძლებოდა თავისუფლად ვყოფილიყავით. აბა, კარგი ბიჭი ვიყავი და დამეშავებინა რამე. ენოში გეხიაროდა გამოსვლა, მაგრამ იქაც ვერ ვიყავით თავისუფლად. რამე რომ გავგეფუჭებინა, მამაჩემი და ბაბუაჩემი ამომხდიდნენ სულს. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვები მშობლის ბალ-ბოსტნებში გადავდიოდით და ვიპარავდით რაღაცეებს, მაგრამ ამის უფლებაც არ გვექონდა.

- ზარმაცობდით?

- არა, არ ვზარმაცობდი. მე მაქვს ერთი თვისება: თუ გამიხსნი გონებას, ყველაფერს კარგად ვითვისებ. უწერის საშუალო სკოლაში რომ მივედი, იქ შეგვატყვეს, რომ არ ვიცოდით არაფერი და მასწავლებელმა სულ თავიდან დამაწყებინა და ამისხნა ყველაფერი. ისე გამეხსნა გონება, რომ ყველაზე ნიჭიერი მოსწავლედ ვითვლებოდი. მეთერთმეტე კლასის გამოცდაზე ისეთი რთული ამოცანა მოვიდა, რომ არცერთ წელს არ მოსულა ასეთი. მასწავლებლებსაც კი გაუჭირდათ მისი ამოხსნა და მხოლოდ მე ამოვხსენი, მაგრამ გვიან გადასცეს კომისიას და გამოცდები უკვე გადადებული იყო. აბა, მთელ ბავშვებს ორებს ხომ არ დაუწერდნენ.

- რამე საინტერესო, კურორტულ მომენტს ხომ ვერ გაიხსენებდით თეატრალურში ჩაბარების პერიოდთან?

- როგორ ვერა, რუსულის გამოცდაზე რომ მივედი, გამოცდელმა მკარნახა ოთხსიტყვიანი წინადადება და აღმოჩნდა, რომ რვა შეცდომა მქონდა. რომელ გარჩევასე იყო ლაპარაკი, რუსულის იჩი-ბიჩი არ ვიცოდი. არც ახლა ვიცი. კეთილი კაცი იყო და მე ვთხოვე, ნუ დამიწერ ორიანს, ხუთი



ხუთიანი მაქვს მიღებული-მეთქი. გაუკვირდა, აბა მომიტანე ცნობაო. ვისაც ხუთი ხუთიანი ჰქონდა, ის უკვე მიღებული იყო. ჩემს ცნობაზე მივიანმა რაღაც პაროლი დაწერა. ის რომ ნახა, მითხრა: ახლა წაშალე ეგ, ვინმემ არ დანახოს, ოთხიანს გიწერო. ვუთხარი, კი არ წაშალი, ამ დაფას ფანჯრიდან გადავაგებ მეთქი. ბოლოს მოხვდი ინსტიტუტში. არ სჯეროდათ ჩემებს, ორჯერ ნახეს სიები მამაჩემმა და ბიძაჩემმა. წინა დღეს რომ ნახეს და დალიეს სიხარულსგან, მეორე დღეს კიდევ მოვიდნენ სიების სანახავად.

- რომელი იყო თქვენი პირველი როლი?

- ჩემი პირველი როლი თეატრში მქონდა. აკაკი ხორავამ გამაგზავნა აკაკი ვასაძესთან და როგორც მათემატიკის მასწავლებელმა გამიხსნა ტვინი, ასევე გამაგზავნა ყველაფერი აკაკი ვასაძემაც. ჩემთვის აბსოლუტურად ნათელი გახდა ყველაფერი და, თქვენ წარმოიდგინეთ, ხალხი კორიფების დანახვაზე ტაშს უკრავდა და ოთხ წელიწადში, უკვე ჩემს დანახვაზეც ტაშს უკრავდნენ, ისე კარგად ვთამაშობდი თეატრში. არც წამოვიდოდი კინოში, მათ ჩემთვის ერთოთახიანი ბინა რომ მოეცათ. თეატრს ვერ მოვწყვდებოდი, ბევრი მიხანი მქონდა.

- ბოლოს როგორ და როდის გადაწყვიტეთ დაოჯახება?

- დაოჯახება ადვილად მოხდა, ოღონდ საგანგებო იყო ძალიან. ჩემმა ძმაცამა მითხრა, ჩემი შორეული ნათესავია, ძალიან ლამაზი გოგოა და მზნარისით მე ვაგებ პასუხს, შენ მხოლოდ ნახეო. წავედი და ვნახეთ გოგო.

- უკვე ნაცნობი იყავით საზოგადო-

რეზონანსს საკუთარ კაბინეტში ვესაუბრე პარლამენტში. იგი მომიყვა როგორ გახდა მსახიობი სოფლიდან ჩამოსული ბიჭი, რომელიც გეპეში საინჟინროზე აბარებდა. როგორი შეცდომები დაუშვა რუსულის გამოცდაზე, როგორ შეირთო ცოლი და რომელი სადღეგრძელო უყვარს ყველაზე მეტად.

ბატონმა ზურაბმა გვითხრა, რომ ძალიან უყვარს ღვინო, მაგრამ არც ღვინოს უყვარს ნაკლებად. აღნიშნა, რომ პარლამენტში, მის კაბინეტშიც კი უქეიფია თავის მეგობრებთან ერთად და იმაზე იცინოდა კიდევ, რომ მეგობრებს უთქვამთ: ყველგან გვიქეიფია პარლამენტის გარდა და აქაც მოვხვდითო.

ებისთვის?

- ორი როლი მქონდა ნათამაშები ფილმში. მოკლედ, მომიყვანეს და რომ დაეინახე, მომეწონა. მე ვინც მიყვარდა, არ მოხდა, ჰქონდა რაღაც ხინჯები. მაშინ ქალს ძალიან დიდ ყურადღებას ვაქცევდით, ყველა თვისება დადებითი უნდა ჰქონოდა. მომიყვანეს და მენდვენ. მაშინ ასეთი წესი იყო - რომ გაგატანდნენ, ხელი არ უნდა გეხლო, მაგრამ ხასიათს ხომ უნდა შექვეოდი. ერთ მშვენიერ დღეს ჩავსვი მანქანაში და წავიყვანე რაჭაში მშობლების გასაცნობად. რომ მივიყვანე, დედაჩემი მეუბნება, ვიცნობ ამ გოგოსო და ჩემი საცოლევც მეუბნება, მეც ვიცნობ ამ ქალსო. ვეღარ გავიგე რა ხდებოდა, თურმე, რაღაც პერიოდის წინ სპექტაკლი მქონდა და დედაჩემი და მამიდა ჩემი ფეხით მოდიოდნენ, საპირისპირო მხრიდან ჩემი საცოლე და მისი მეგობრები მოდიოდნენ. დედაჩემს რომ შეუხვდავს, უთქვამს: ნუტაე ასეთ გოგოს მამგერადღეს ჩემი ზურა ცოლად, იმდენად მოსწონებია. თანაც სოფელში ქალებმა გოგონების რაღაცნაირი "ნაგლი" დათვალა იციან. ისე უყურებდა, რომ ჩემს საცოლეს უფიქრია: რამე ხომ არ მაცნია, რას მიყურებს ეს ქალიო. იმდენად შთაბეჭდილი იყო ის ფაქტი, დაამახსოვრდა.

- თამაღობა ხშირად ვიხდებათ?

- ხშირად, მაგრამ აღარ მიყვარს. რატომ და სულ დაძაბული უნდა იყო, აუცილებლად ჭკვიანური უნდა თქვა, უნდა მოეფერო და აწი სხვამ იტმოს კისერი, რაგარც უნდა, ისე ქნას, მე კი დავლევ.

- რომელიმე გამორჩეული სადღეგრძელო თუ გავიქ?

- კი, ოღონდ შესანდობარის და ჩემია, ეს არავისი არ არის. "ვინც

კარგი ლექსი დაწერა, ვინც კარგი სიმღერა დაწერა, ვინც კარგი მოთხრობა დაწერა, ვინც კარგად იმღერა, ვინც იდიდგორაუა, ვინც სამას ათაგველა, იმაცხრანხეხეულიძევა. ვინც კარგად აჩუქებთო, ვინც კარგი დედა იყო, ვინც პირველად გამოაცხო პური, ვინც კარგი ვენახი დატოვა და ვინც კარგი ღვინო დააყენა, ვინც პურზე ღვინო დაასხა და თქვა შესანდობარი იყოს სულებისო, აი იქდან მოყოლებული, სამაჩაბლო-აფხაზეთისა და ახლა ვინც იღუპება, იმითი შესანდობარი იყოს-მეთქი," - ასე ვამბობ.

- ღვინოსთან დამოკიდებულებაში როგორ ხართ, სვამთ?

- აბა, რას ქვია დამოკიდებულებაში.

- რომელ სასმელს?

- თავი დავანებე არაყს, ლუდს, სიგარეტს, კონიაკს, მხოლოდ ღვინოს ვსვამ. მეკითხებიან, ღვინო გიყვარსო. მე კი მიყვარს ღვინო, მაგრამ ღვინოსაც მაგრა ვუყვარვარ. მე ქეიფი მიყვარს სუფრასთან და ისინი არცერთი არ არის საქეიფო ელემენტი.

- როდისმე დამოკიდებულხართ კარგად, გემრიელად?

- დავმთვრალვარ! რომელი დღე დავისახელო. მაგალითად, იმ იანვრიდან ამ იანვრამდე ყოველდღე ვთვრები. როცა წიგნზე ვმუშაობ, მაშინ არ ვსვამ, იმას ფხიზელი თვალი უნდა. მაგრამ მე უკვე ვიცი, რა როგორ არის და ამიტომ თავს ვამღევ დაღვეის უფლებას. უნიჭოს რომ ღვინოს დაუღვევლობა აგენიოსებდეს, ვინ დაღვეს საქართველოში! მაგრამ ღვინოს აქვს თვისება: ბატს-აბატებს, მომღერალს-ამღერებს, ლომს-ალომებს, გენიოსს-აგენიოსებს. რას ვჩიან ღვინოს.

ნონა კუტიავაშვილი

ამ დღეებში ამერიკამ კიდევ ერთხელ მოგვაცხვია საკუთარი ნება და, არც მეტი, არც ნაკლები, ქუთაისში გაშლილი სუფრის თამადა პირდაპირ ნიუ იორკიდან დაგვინიშნა!

სუფრა მისი დაფინანსებული იყო და, აბა, რას იზამდა! მაგრამ სატელეფონო ხიდიც რომ გამართა: „ნიუ იორკი - ქუთაისი“? - ეს უკვე მეტიმეტტი იყო!

ამერიკა ყოველ 20-30 წუთში ტელეფონით აკონტროლებდა: „რავარი“ იყო ბაჭყალიძის ღვინო, მაგიდას ხომ არაფერი აკლდა, რა სადღეგრძელო შეისვა, უახლოეს წუთებში კიდევ რას დალევდნენ, რას ლაპარაკობდნენ, როგორ გამოიყურებიან, ახლა რა სიტუაციაა სუფრასთან და ასე შემდეგ.

„ნუ მიშლი მუშაობაში ხელს!“ - გულამომჯდარი ჩასძახოდა ყურმილის ამერიკის შერჩეული თამადა.

„ნუ იხარჯები ამდენს, ნუ რეკავ, დაგვანებე თავი, მეტი აღარ შეგვიძლია!“ - იხვეწებოდნენ სუფრის წევრებიც.

მაგრამ ამერიკამ მაინც იმდენი ქნა, 59 ქორწილისა და უთვალავი საბატო მაცივრის სწორუბოვარ თამადას, ალექო ბაჭყალიძეს, იუმორიც დაეკარგა, ენაც დაება და... ტირილიც მოერია.

ეს ჯერ კიდევ არაფერი, ვაჟა ჭყონიას (დიახ, ვაჟა ჭყონიას!) საერთოდ დაავიწყდა სიცილი და... მხოლოდ ქალბატონი დარეკოს გატყინებული ცხვირსახოციდა ახსოვდა... ცრემლების მოსაწმენდად.

ცრემლებმა „განაიარადეს“: ქუთაისური სუფრების განუყოფელი კოლორიტი სოსო ხარაბაძე! ნოგელი თორთლაძე! მისი ძმა - თოსო! თენგიზ ნიციფი! პაპუჩია (დათო ქელბაქიანი)! - შენ ხარ ჩემი ბატონი, - ძმები შუქრი და ემზარ კიკნაველიძეები, ალექო ხარაბაძე, გურამ ივარდავა... მოკლედ, „სასტუმროს ბირჟის ბიჭები“.

ქუთაისს ჯერ რომ არ გაუფონია, ისეთი საქმე მოხდა: არ გამოვიდა, არ შედგა იმ დღეს სუფრა! არ აეწყო განთქმული ქუთაისური იუმორი და სიმღერა!

მაგიდაზე ხელუხლებლად იდო მშვენიერი პურ-მარილი, ბოლმამოწოლილი „ბიჭები“ კი თამადას გარეშეც ეძალბოდნენ ღვინოს, რადგან...

ტელეფონის ყურმილში აქეთ რომ ამათ აუკანკალდებოდათ ხმა, იქით - ამერიკა ტირილიდა...

ამერიკა ანუ **დათო ვაჟა** - ნიუ იორკიდან.

ეს სტატია საქართველოში გამოქვეყნდა ერთ-ერთ გაზეთში დაიბეჭდა. იგი ამერიკაში გადმოხვეწილ კიდევ ერთ კარგ ქართველს გვაცნობს. საჭიროდ ჩავთვალეთ მასალა ჩვენს გაზეთში გადმოგვებეჭდა და ამით გავკენს ახალი რუბრიკა **მართლმადიდებელი ამერიკაში**

ნო ხიდი „ნიუ იორკი - ქუთაისი“ (როგორც თავად დათომ დაარქვა ამ სუფრას).

აქ რომ სიყრმის მეგობრები მაგიდასთან ისხდნენ, იმ დროს დათო გაუთას ქართული მურაბა დაქაქონდა მაღაზიებში (ნიუ იორკში ექსპენდიტორობის მსგავსი სამუშაო აქვს), თან ყოველ 20-30 წუთში რეკავდა და ცდილობდა, თვითონაც „ქუთაისში ყოფილიყო“, ამათთან.

„ბიჭების“ მოფერება უნდოდა, ავი მიტომაც ვაამლევიანა ეს სუფრა. მაგრამ ვერც მან გაუძლო მოძალბებულ სევდას და ვერც სუფრასთან მსხდომებმა შეიკავეს თავი.

რეალობის განცდა იმდენად მძაფრი აღმოჩნდა, რომ აღარავის მიე-

# ქართველები ამერიკაში



რაფოდ დაფუმატე, - სად იყო, ბიჭო, ხაში-თქვა?

გაეცინა: - შენ დოლარი მითხარი, ჭყონია, დოლარი, თორემ ხვალ დილით, თუ გინდა, სპილოს ფეხების ხაშს ვაჭმევო!

\*\*\*  
- რა მითხრა ახლა ტელეფონში, იცით? სად მოხვდით, ალექო, აქ! არაფერი ტრადიცია ამათ არ გააჩნიათო.

ბიჭო, მაგათი სახელმწიფოს ხნის ჩვენში ზოგიერთებს მუხა უდგათ, რა გიკვირს-მეთქი?

- არც პანაშვიდი იციან, არც გავსვენება, არც ორმოცი, არც წლისთავი... გასვენებაში წასვლა მომენატრაო...

გესმით? რავარი საქმეა!

\*\*\*  
- ამერიკაში როგორ გაემგზავრა, ამერიკაში! ისაა საინტერესო. თურმე, მის წინ, სამი კაცი შევიდა კონსულთან, იმან არც ერთი არ გაუშვა.

ახლა დათოს რიგია. ეკითხება, რატომ მიდინარ ამერიკაში?

- იქ დაქალი მყავს, მისი ქორწილია და თამადად ვარ მიწვეულიო. მომკვდარა კინაღამ სიცილით კონსულს და... მოუწერია ხელი.

\*\*\*  
- ჩვენი დათო როგორი „სუსტი ნებისყოფისა“, მეგობრებზე და სუფრაზე საოცრად შეყვარებული, ის უნდა მოვყვე ახლა.

„ინდკერვის“ დირექტორი რომ გახდა, კურსებზე უნდა გამგზავრებულიყო მოსკოვში. მოემზადა ეკონომიურადაც, ცოლ-შვილს გამოემშვიდობა და...

იმ დღეს ბიჭებმა თვითმფრინავის ბილეთი დაუხიეს. ჰოდა რაინდი ჯავახიძესთან დარჩა სახლში, რაინდის ცოლ-შვილი თბილისში ჰყავდა გაგზავნილი.

16-შიც დარჩა.

17-ში კიდევ იყიდა ბილეთი და სალამოს დოღელიას „გადაბრუნებულში“ დაუხიეს.

ასე იყო 18-შიც.

მერე, 19-ში, რაინდისთან გაიმართა მაგიდა და, ბუნებრივია, იქაც დარჩა.

22-ში მე მივაკითხე სასტუმროში: რაინდის ცოლ-შვილი წინა დღით ჩამოსვლიდა და დათო ახლა სასტუმროში იყო გადასული. ოჯახმა რომ იცის, მოსკოვშია წასული, დღე ვეღარ გამოდის გარეთ, შვიდი დღის გაუპარსავი წვერი აქვს.

ამ დროს ჯარისკაცებმა გაიარეს სასტუმროსთან.

ალექო, ახლა ესენი მკობია მეო. რატომ-მეთქი? მაგათმა პატრონებმა კი იციან, რომ შვილები ჯარში არიან, ჩემმა პატრონმა არ იცის, სად ვარო... და მთხოვა, მკვდრის პარკმანერი მომიყვანე, ბიჭო, გამპარსავსო.

მეცხრე დღეს გავუშვი. შემოდგომა იყო, უკვე ციოდა და ჩემს სოფიკოს ჩუმად მოვატანინე „დუბლიონკა“ სახლიდან.

\*\*\*

- დათოს მეუღლე, მარინა ჩირაძე, ქალაქში ცნობილი ექიმი. ახლა, რა პიროვნებაა! დათოს სუფრა ხომ ძალიან უყვარს, ერთხელაც არ გვახსოვს, ნასვამი რომ მიუვიდოდა მარინას, იმას ქმრისთვის წარბი შეეხაროს, რამე ეთქვას, ან, მერე რომ შეგვედებოდით, ხმაში რაიმე დასტყობოდა!

საოცარი გულიანი გოგოა, ჩვენი „ძმა“, ნამდვილი მეგობარი და მესაიღუმლე.

ამ ცხოვრების დედა ვატირებ მართლა! ასეთი მოსიყვარულე ცოლ-ქმარი დააშორა, ეთიკოს, სოფიკოს და სანდროს მამა გადაუტარა. როდის ჩამოვა დათო, როდის დაბრუნდება ოჯახში? ესაა საქმე?

\*\*\*  
**პი, ასეთი რამეები ითქვა სუფრასთან.**

**და კიდევ ისეთებიც, თავისი ლექსიკითა და ინტონაციებით მართლ მამაკაცთა წრეში რომ არის სათქმელი და დახატოვებული.**

**პაპუჩია ქელბაქიანს კი სუფრასთან ის განხეინება და მოუყოლია, მოსკოვიდან როგორ დაურეკა მისმა მეგობარმა, განთქმულმა თბილისელმა ვაჟაკმა გილარა ზაქარეიშვილმა თავის უფროს დაქალს, ჩიტოლია ჩხეიძეს, და, მშობლიურ ბუდეს მოწვევტილი, მთელი ოთხი საათი როგორ ამღერებდა და ალაპარაკებდა მას ტელეფონში.**

**„- რა ყოფილა სამშობლოს მონატრებაო!..“**

**ამ გრძობამ არ ამღერა ტელეფონში „მიმინოს“ ვალიკო მიწანდარიც და თელავში დაამკვიდრებული ქუთაისელი ებრაელიც?!**

**ამიტომ იტირა დათო გაგუამაც. კაცის ცრემლზე მწარე კი ქვეყნად არაფერია.**

ნანული ცხევიანი

# ხათის ტანჯვა ხელს...

ისეთი არაფერი მომხდარა, რაც დღევანდელი ჩვენი ყოფისათვის უჩვეულო იყოს: ხელმოკლეობამ, სტუდენტი ვიღების სწავლის გადასახადსა და ოჯახის შენახვაზე ფიქრმა კიდევ ერთი ქართველი გადახვეწა ოკეანის გაღმა.

ამგვარი განუყოფელი მასობრივი გაჭირვება და სიღუპიერი რომ არ ყოფილიყო, როგორ დატოვებდა თავის საფიცარ ქუთაისს, ოჯახს, ნათესავ-მეგობრებს დათო ვაგუა, - ამერიკაში რა უნდოდა „ინდკერვის“ ყოფილ ხელმძღვანელს, სამი შვილის მამას, უმშვენიერესი ქალბატონის მეუღლეს, დიდი სამომავლოდ პატრონს!


- გასამგზავრებელი თანხა სად ქონდა ჩვენს „საშასო“, - მისი მეგობრები ყვებიან, - მაგრამ ისეთი ბიჭია და იმდენი მაღლი აქვს ქვაზე დადებული, აკი წინ დახვდაო:

წლების წინათ, თურმე, ერთ-ერთ მეგობარს მამა რომ დალუპავდა ავტო-კატასტროფაში, დათო უმალ გაქცეულა „მორგში“, მიცვალბულის საპატრონოდ, იქ, მეგობრის მამის გვერდით, უცნობი მიცვალბულიც ესვენა. ის საწყალიც ჭარმაგი, კარგი კაცი ყოფილა, ისიც მანქანას გაეტანა.

ჭირისუფალი არა ჰყავსო, რომ გაეგო, დათომ ასი მანეთი მისცა პერსონალს უპატრონო მიცვალბულის გასაბატონებლად. მერე დოქით ღვინოც მოატანინა და... მორგშივე დალიეს მისი შესანდობარი.

8-10 წელი გავიდა. ერთხელაც უცხო პიროვნება მოსულა დათოსთან. მე იმ კაცის შვილი ვარ, შენ რომ უპატრონო. რუსეთში ვიყავი წასული, არაფერი ვიცოდი, შენ კი, სრულიად უცნობმა აღამიანმა, მამაჩემი ისე გამიბატონის! როგორც იყო, მოგაგენი, ისიც გავიგე, რომ საზღვარგარეთ წასვლა გინდა, მაგრამ ფულთან დაკავშირებული პრობლემები გაქვს, მე დაგეხმარები.

მოკლედ, სწორედ ამ მაღლიან კაცს დაუფინანსებია დათო. ტრაგედია იყო მთელი მისი სა-



ხლობლოსთვის ასეთი ალალი, მოსიყვარულე, დიდსულოვანი, ტრადიციების უსაზღვროდ პატივისცემელი კაცის გამგზავრება. პური არსობისას“ გამო ოკეანის გაღმა გადახვეწილი, დედის დასაფლავებაზეც კი ვეღარ ჩამოვიდა და მეგობრებმა საკუთარი მშობლებიგვით დაიტრიალ დათო ვაგუას მოხუცი დედა.

\*\*\*  
მერე მონატრებამ თავისი ქნა და, შორეთს გადახვეწილმა ქუთათურმა, ერთხელაც, სასტუმრო „ქუთაისის“ დირექტორს ალექო ხარაბაძეს დაურეკა - ფულს გადმოგზავნი შენს სახელზე და „ბირჟის ბიჭები“, ესენი და ესენი, მაგიდასთან დამიბატოე, ღვინო ბაჭყალიძესთან მაქვს დატოვებულიო (ამერიკაში რომ მიდიოდა, ალექო ბაჭყალიძე მაშინ შეჰპირებია: რამდენ წელსაც დაჰყოფ იქ, იმდენ ბოცა ღვინოს შეგინახავო).

ხარაბაძეს საუცხოო ორგანიზება გაუკეთებია სუფრისთვის, დათოს დაბატოებული „ბიჭებიც“ სათითაოდ მოუქმენია, მისი ვაჟი - სანდრო ვაგუაც (მეგობართან ერთად) მოუწვევია და...

ზუსტად დანიშნულ დროს დაწყებულა ეს უჩვეულო „სატელეფო-

ცა თავდავიწყებისა და იუმორის ამოფარების შესაძლებლობა.

გუნებადამძიმებული „ბიჭები“ მხოლოდ იმას ახერხებდნენ, სანამ ნიუ იორკიდან ტელეფონი კვლავ დაურეკავდა და სუფრასთან „ნილი ჩაერთებოდა“, ნაირ-ნაირი ტკბილსევიანი თავგადასავალი მოეყოლათ. ამ ამბების ერთადერთი და უცვლელი გმირი კი, ცხადია, უცხოეთში გადახვეწილი მათი მეგობარი იყო: კეთილი, უცნაური, თვითმყოფადობით გამორჩეული.

\*\*\*

- ერთ სალამოს ვახშამზე ვართ ოჯახში და ამერიკიდან რეკავს ამ დროს დათო. შევატყვე, ნასვამია.

- ჭყონია, თუ მიხვდები, რას ვმობი ახლა მეო?

მე ვუთხარი, პატარას შარაფობ, რა თქმა უნდა-თქვა.

- ჭყონია, თუ მიხვდები, რა მაქვს ახლა სუფრაზეო.

რავარი კულინარია ჩვენი დათო, ქე იცით, ხოდა, ვუთხარი: რა დაგაკლდება, ბიჭო, მანდ, პროდუქტი არ გაქვს, თუ კეთება არ იცი? მაინც, რას მობი ისეთს-თქვა?

ხაშს ვჭამო... ბიჭო!

- ამ შუაღამეზე? - ვერ გავთვალე, რომ იქ უკვე დილა იყო, მერე სასწ-

საქართველოს ისტორიული ნაწილი, ტაო-კლარჯეთი, რამდენიმე საუკუნეა თურქეთის სახელმწიფოს ტერიტორიად ითვლება. მე-16 საუკუნის ბოლოს ოსმალეთმა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის 1160 ქართველი აღწერა და „გურჯისტანის ვილაიეთში“ ანუ ახალციხის საფაშოში გააერთიანა. მოსახლეობა აიძულეს სარწმუნოება შეეცვალა და მუჰამედის მოძღვრება ელიარებინა. იქაურმა ქართველებმა არც მშობლიური ენა დაივიწყეს და არც ქართული ტრადიციები. ბევრი ქართული ტაძარი ხელუხლებლად შემორჩინდა.

ტაოში თამარ მეფეზე ასეთი თქმულებაა გავრცელებული: ერთ-ერთი ბრძოლის დროს თამარ მეფე ჯარს ფეხშიშველი მიუძღოდა. ბატარა ლაშა-გიორგი გულში ჰყოლია ჩახუტებული. თამარი დალილია და ბავშვი ქვაზე დაუსვა. ღვთის ძალით ქვა დარბილებულა და ლაშა-გიორგის ფეხების ნაკვალევი მასზე აღბეჭდილა. დღემდე, როცა იმ მთის გადასვლისას იღლებიან, ურმა მეფის ნატერფალს ხელით ეხებიან და ძალის მომატებას ევედრებიან. თურმე ეს ქვა მართლაც სასწაულებს ახდენს, ქართველს ძალას მატებს.

ტაო-კლარჯეთი ხანძთის, შატბერდის, ოპიზის, იშნის, ოშკის, წყაროსთავის, ბანას, პარხლის მონასტრებიტაა ცნობილი, რომლებიც შორეულ წარსულში ქართულ ქრისტიანულ-საგანმანათლებლო კერებს წარმოადგენდა. დღეს იქ წირვა-ლოცვა აღარ აღევლინება. ტაძრებისა და იქაური ქართველების შესახებ თითქმის არაფერი ვიცით.

გასული საუკუნის 90-იან წლებში ამ ადგილებში ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა შუშანა ფაბაჩაძემ იმოგზაურა და იქაური ქართველების დიალექტზე დაწერა წიგნი, რომელსაც „ჩვენებურების ქართული“ უწოდა. პროფესორმა ტაო-კლარჯეთის მონასტრების დღევანდელ მდგომარეობაზე, იქ მომხდარ სასწაულებსა და თქმულებებზე გვიამბო.

ჩემს ბავშვობაში ზაფხულობით ბებიას მთებში, იალაღებზე დავყავდი. ჩვენი სოფლის საზაფხულო საძოვრები აჭარა-შავშეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზეა შეფენილი. ბებიასაგან ვიცოდი, რომ უღელტეხილის იქითაც საქართველო იყო. ჩვენს მეზობლად ორი მოხუცი ცხოვრობდა, რომლებიც ტაო-კლარჯეთიდან, არტაშანიდან და შავშეთიდან იყვნენ გამოთხოვილი. მათ არტაშანულ და შავშეთულ ნენეს ვეძახდით. ისინი ხშირად იცქირებოდნენ გადაღმა მთებისაკენ და ტირილიდნენ. ბოლშევიკების მიერ „რკინის ფარდის“ ჩამოფარების შემდეგ ბევრი ველარ ნახულობდა ძმებს, მშობლებს, ნათესავებს.

1877-78 წლებში რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ ბევრი ქართველი თურქეთში გადასახლდა, რადგან რუსმა გენერალიტეტმა მუსლიმ ქართველებს საქართველოს დატოვება მოსთხოვა. იმ პერიოდში ემიგრაციაში მილიონამდე ქართველი წავიდა. ჩემმა ბებრმა ნათესავმაც დატოვა საქართველო და თურქეთში გადასახლდა. კომუნისტური რეჟიმის დამყარების შემდეგ იქაურ ქართველებთან კავშირი შეწყდა. პირველად ჩემს ნათესავებს 1989 წელს შევხვდი. თურქეთში მე და ჩემი გოგონა წავიდეთ. ნეიტრალურ ზონაზე რომ გადავიდეთ. ჩვენს 65 წლის მამაკაცი წამოვიდა. არავინ მითხრას, სისხლის ყვილი არ არსებობსო. ვიგრძენი, სისხლი ქვემოთაა ზემოთ როგორ წამოვიდა. გავეჭანე და უცნობ მამაკაცს ჩავეხუტე. ორივემ უთქმელად ვიგრძენით, რომ ერთი სისხლი და ხორცი ვიყავით, ერთმანეთს ვეხვეოდით და ვტიროდით. მესაზღვრები გაოცებულები გვიყურებდნენ. ჩემმა ნათესავმა უთხრა, არ გაგიკვირდეთ, 120 წლის დაკარგული სისხლი ვნახეთ.

იმ წელს თურქეთში სამი თვე დავვაივი ქართველები მოდიოდნენ, თავის დებზე, ძმებზე, ნათესავებზე მეკითხებოდნენ, ძველ ტრადიციებს იხსენებდნენ. ერთმა ქალბატონმა ტირილით მითხრა, რატომ არ ჩამოდიოდით, ნუთუ არ ქალბატონობდითო.

**ქალბატონო შუშანა, თუ ნახეთ, ტაო-კლარჯეთში დღეს ქართული ტაძრები რა მდგომარეობაშია?**

- ბევრი ჩვენი ქრისტიანული ძეგლი საქართველოში გაცილებით სავალალო მდგომარეობაშია, ვიდრე თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ეკლესია-მონასტრები.

ქრისტეს შობიდან 2000 წლის აღსანიშნავად თურქეთის ხელი-სუფლებამ ქრისტიანი მლოცველებისათვის ტაძრებთან მისასვლელი გზები მოაპირკეთა. გასულ წელს თურქეთის რესპუბლიკის კულტურის სამინისტრომ დაბეჭდა წიგნი, სადაც ტაო-კლარჯეთის ისტორიული ძეგლები აღწერა. წიგნში ჩვენს ტაძრებზე წერია, რომ ისინი ქართველი ადამიანების მიერ არის აშენებული. ასეთი რამ აქამდე არსად დაბეჭდილა. ერთხელ სოფელ ტბეთში უსამოვნო ფაქტი მომხდარა. არაქართველ

მოსახლეობას ქართველებთან უჩხუბია. კამათის შემდეგ ერთ-ერთ არაქართველს ტბეთის ტაძრის ერთი ნაწილი აუფეთქებია. იმ საღამოს დიდი ქარიშხალი ამოვარდნილა, ხეები ფეხგებინად მოუთხრია, სახლებისათვის სახურავები აუხდია. ამ სასწაულს ყველა შეუშინებია. დარწმუნებულან, რომ ის ადგილი წმინდაა. მოსახლეობამ ისიც იცის, რომ იმ ადგილიდან ერთი ნატეხი ქვაც არ უნდა წამოიღოს. განსაკუთრებით უფრთხილდებოდნენ წარწერიან ქვებს. ვინც ტაძრის ქვებს უპატიებლად მოქცევია, ყველა ოჯახი დაქვეულა. შატბერდის მონასტრის გვერდით ერთ კაცს სახლი აუშენებია და იგი სამჭერ დაწვია. სახლის პატრონს აგუხსენი, ეს ღმერთის ნიშანია, რადგან სახლი ამ ადგილას არ უნდა აგეშენებინა მეთქი. შეწულა, რა იქნებოდა, ერთი წლის წინ წინ გეთქვა, უკვე დავამთავრე ახალი სახლის მშენებლობაო.

ოპიზის ტაძარი ექვთიმე თაყაიშვილის მოგზაურობისას კარგად ყოფილა შენახული. მიწისძვრის შემდეგ კი დანგრეულა. ტაძრის ქვები მეჩეთის ასაშენებლად გამოუყენებიათ. წარწერაინი ქვა მეჩეთშია მოყოლილი. სოფელი ფაქტობრივად დაცარიელებულია. მხოლოდ რამდენიმე ოჯახი ცხოვრობს. მოხუცმა კაცმა გვითხრა, ეკლესიის ქვები მეჩეთის ასაშენებლად რაც გამოვიყენეთ, სიკეთე ვერ ვნახეთ, სოფელი დაცარიელდა და მეჩეთი მრევლის გარეშე დარჩა, შვევდით, იმ ქვებით ისევ ტაძარი უნდა შეგვეკეთებინაო.

სახულის ტაძარი ბაგრატ მესამემ მათე საუკუნის დასასრულსა და მეტერთემეტე საუკუნის დამდეგს ააშენა. იგი დღესაც კარგადაა შემონახული. ოსმალეთის იმპერიის ფარგლებში ტაოს მოქცევის შემდეგ სოფელ ხახულის მოსახლეობა მუსლიმი გახდა. ტაძარში აღარ ლოცულობდნენ. ეწინოდათ. მუსლიმები ერთ და ქრისტიანულ ტაძარში რომ შევიდეთ ღმერთი დაგვსჯისო. ტაძარი დაუკეტავთ და წლების განმავლობაში კარსაც არ აღებდნენ.

გადმოცემის თანახმად, ერთი ძალი, რომელსაც მაჰმადიანობა იძულებით ჰქონდა მიღებული, მდინარის ნაპირზე სილით ჯამჭურჭელს ხეხავდა. ქალს უფიქრია, რა იქნება, ეკლესიის ზარების ხმა გავიგო ან ტაძრის კარი გაიღოს, შევიდე და იქ ვილოცოო. ამ ფიქრის შემდეგ ეკლესიის ზარების ხმა მართლაც ჩაესმა. უფიქრია, ღმერთო, იმის საშუალებად მომეცი, მარიამ ღვთისმშობელი ტაძარში ვადიდოო. ქალს ციდან ხმა ჩაესმა „ნუ გეშინია, დადგება დრო ტაძარში შეხვალთ და ილოცვებით და ამის დასტურსაც იხილავთ, ეკლესია უპატრონოდ არ უნდა დატოვოთ“. ამის შემდეგ მართლაც მომხდარა სასწაული. ტაძარი მოხრილა, გუმბათზე აღმართული გვრის ქიმი იმ ქალის გასახეხად გამოტანილი ტაფის ჩამოსაკიდ რგოლში გაყრილა და ისევ აღმართულა. ქალის ტაფა



ოპიზის ტაძარი თურქეთში

# თურქეთის ლოცვის კალა

გუმბათზე დაეკიდა. იდუმალ ხმას ისევ უთქვამს „ეს არის დასტური, მრევლი დაგიკრებს, ტაძარში შევა და ილოცვასო. ქალი სოფელში გაქცეულა, მეჩეთის ეზოში შეკრებილი ხალხისათვის უთქვამს, ჩვენ აქ არ უნდა ვილოცოთ, ტაძარში უნდა შევიდეთ და ღმერთი იქ ვადიდოთო. ქართველებიც ხახულის ტაძართან მისულან და სასწაული რომ უხილავთ, ქალის-თვის დაუკრებიათ, ტაძარში შესულან და ლოცვები აღუვლენიათ. ეს ამბავი ორი საუკუნის წინ მოხდა.

ექვთიმე თაყაიშვილი ტაო-კლარჯეთში მოგზაურობის შესახებ წიგნში წერს „ვინც ხახულის ტაძარში შევა, კარის უკან ნიში უნდა მონახოს, სადაც ჩუქურთმებით ღვთისმშობელია გამოსახული და იგი სასწაულმოქმედიო“. „ხახულის ტაძარში ჩავიდა, ტაძრის კარი ხოჯამ გაგვიღო“ - გვიამბობს ქალბატონი შუშანა, - გვითხრა, ვაშლსა და ნიგოზს დავკრეფე და გავიმასპინძლდებოთო. რომ წავიდა, დრო ვიხელთე, ღვთისმშობელთან სანთელი დავანთე და ვილოცე. თან მეშინოდა, იმამს არ დაეწახა და სანთელი არ ჩაეჭრო. ის კი თურმე ხედავდა, სანთელი რომ ავანთე. ეზოში რომ გამოვედი, მადლობა გადამიხადა, ქალბატონო, კარგად მოიქეცით, სანთელი რომ აანთეთო. ეს კაცი წარმოშობით ქართველი გახლდათ. მან ერთი უცნაური ამბავი მიაბო: „წლების წინ ხახულის ტაძარი მეჩეთად იყო გადაქცეული. 10-15 წლის წლის წინ სოფელი რომ გაძლიერდა, ახალი მეჩეთი ააშენეს. ჩემი მრევლი იქ გადავიდა და მეც მრევლს გავყვევი, ეს ტაძარი კი დავკეტეთ. ახალ მეჩეთში პირ-

ველი ლოცვა რომ წარვმართე, იმავე ღამით საშინელი სიზმარი დამესიზმრა „ხახულის ტაძარი ჩამოინგრა და ნანგრევებში მოგვეყვი. ერთი ფიჭალი მკერდზე დამეცა. დიდი წვალების შემდეგ ამ ნანგრევებიდან თავი დავაღწიე. ერთი კვირის განმავლობაში ერთსა და იმავე სიზმარს ვხედავდი, თან იდუმალი ხმა ჩამძახოდა „ხახული უპატრონოდ არ დატოვო, შენ იქ უნდა ილოცოო“. ბოლოს ისე შევწუხდი ამ სიზმრებით, რომ ავად გავხდი. მივედი მრევლთან და ვუთხარი, სხვა იმამი აირჩიეთ, მე თქვენ ველარ გიწინამძღვრებთ-მეთქი. ხახულის ტაძარი გავაღე და ლოცვები წავიკითხე. იმ დღის შემდეგ ტაძარს ყოველდღე ვალე-

დაცვლილი ბერებისა და საზოგადო მოღვაწეების სულები არიან-მეთქი. ოშკში ხომ გიორგი მთაწმინდელი, გრიგოლ ოშკელი და ექვთიმე ათონელი მოღვაწეობდნენ. ახლაც მკერა, რომ იმ დღეს მათი სულები ხარობდნენ“.

\*\*\*  
ქართველი პროფესორი საქართველოში რომ მოდიოდა, სოფელ მელოსთან, მდინარე ჭოროხზე კაშხლებს აგებდნენ, გზები გაჭყავდათ და აფეთქებები მიმდინარეობდა. მგზავრები გზაზე გააჩერეს და უთხრეს, საათნახევი უნდა დაელოდოთო. ქალბატონმა შუშანამ სამრეკლო და ეკლესიის ნანგრევი შენიშნა. მეგობართან გა-

დაწვიტა ეკლესიის ნანგრევებთან ჩასულიყო და სანთელი აენთო. მივედით, სამრეკლო გავაღეთ, რომელიც მოსახლეს სათივედ ჰქონდა გამოყენებული. სანთელი ავანთეთ, ვილოცეთ, რომ გამოვედით, ხურმის ტოტები ჩიტებით იყო დახუნძლული. რომ წამოვედით, ჩიტები უკან გამოგვყენენ. ცა გაშავდა, უკან იმდენი ჩიტები მოგვევებოდა. იქაური მოსახლეობა გაოცებული გვიყურებდა, ამდენი ფრინველი ჯერ აქ არ გვიხეხავსო. ვუთხარით, იმ ადგილას სალოცავია, ფრთხილად იყავით, ცუდად არ მოუქცეთ, არ დააბინძუროთ-თქო“-გვითხრა ქალბატონმა შუშანამ.

\*\*\*  
„შატბერდში ფორთას გავლით ავედით. იქ ერთი დიდი სალოცავია, სალოცავის წინ გრძელი საფეხის ქვაა. თქმულების მიხედვით, იქ დიდი პიროვნება დასაფლავებული, რომელსაც მირი ერქვა. იგი ავ სულებსა და ეშმაკეულებს ხოცავდა. ამბობენ, იმ ქვაზე ადამიანი რომ დაწვება, სიზმარს ნახავს, სიზმარში კი თავისი ავადმყოფობის წამალს ისწავლისო. შემდეგ ქართული ცხოვრებაში ვნახეთ, რომ საქართველოში მართლაც ცხოვრობდა ხალხის საუკრელო, ცნობილი გმირი - მირი. ჩვენმა მეგობრმა, რომელიც სოფელ კლარჯეთიდან იყო, თქმულება გვიამბო ნოეს კიდობანსა და წმინდა ნინოს ცხოვრების შესახებ. ეს კაცი გვიმტკიცებდა - ნოეს კიდობანის კიჩო დღესაც არის კლდეში შესობილიო. იქიდან შატბერდში ჩავედით. შატბერდის გუმბათის პერანგი სხვადასხვა ფერის ქვებითაა შემოსილი. ყველას გუსურვებ, ამ ქვეყნიდან ისე არ წავიდნენ, შატბერდი მზის ჩასვლისას არ ნა-



ხონ. მზე რომ მიადგება ფერად ქვეს, საოცარი სანახავია. ეს ტადარი თავის დროზე გრიგოლ ხანძთელის ლოცვა-კურთხევით აშენდა. წმინდა გრიგოლის მითითებით, იმ ადგილას წყაროც გამოუყვანიათ. წყაროს წყალი ავადმყოფებს კურნავს. ამ ადგილებში მოგზაურობისას ნიკო მარი ციებ-საგან განიკურნა. თავის დღიურებში დიდი მეცნიერი აღნიშნავს, ამ წყალმა განმკურნაო.

\*\*\*

ერუშეთში (ჩილდირი) ერთ ციხესიმაგრეს ქაჩეთის ციხეს უწოდებენ. შოთა რუსთაველის ქაჩეთის ციხის მსგავსად მიუგალია. იქ მცხოვრებ ქართველს ერთი თქმულება უამბია ქართველი პროფესორისათვის: ციხე-სიმაგრეში ორი ოთახია. ერთ ოთახში თამარის საუნჯე ოქრო-ვერცხლია მოთავსებული, მეორეში კი ოქროს კუბო, რომელშიც თამარი ასვენია. ოქროს კუბო ცხენებზე მულ ოქროსსავე ეტლზე დევს. ეს ამბავი მთხრობელს მამისგან სცოდნია. რომელიც თურმე ეხვეწებოდა, არ დაგავიწყდეთ, თაობიდან თაობას გადაეცით, იქნებ როდისმე მოვიდნენ ქართველები და მათ უამბეთო. გამოცემის მიხედვით თამარი კუბოში უხრწებოდა. ერუშელ ქართველს ქალბატონ შუშანასთვის უთხოვია, იქნებ ქართველი არქეოლოგები თურქ არქეოლოგებს შეუთანხმდნენ და ეს ადგილი გათხარონ, მინდა, ჩემს სიცოცხლეშივე ვიხილო ის მეფე, რომელზეც ამდენ ლეგენდას ეყვებინაო.

ტაოს ბუნება ხევსურეთისას და უახვევისას ძალიან ზგავს. დღემდე რამდენიმე სოფელში სუფთა ქართულით მეტყველებენ. ერთმა იქაურმა ქართველმა მთქმელმა ქართველ პროფესორსა და მის თანხლებზე ქართული დაუწუნა, უთხრა, მშობლიური ენა დაგვიწყნიათ, როგორი ქართულით საუბრობთ, ჩვენ თამარ მეფის ენაზე ვმეტყველებთო.

არსებობს ლეგენდა, თუ როგორ ააშენა თამარმა პარხლის მონასტერი. თურმე მონასტერს მრავალრიცხოვანი ჯარი აშენებდა. ჭვებს ხელით ეხიდებოდნენ. მეფეს ჯარის გამოკვება ძალიან გასჭირვებია. ერთ ადგილობრივ ახნაურს ბევრი ცხვარი და თხა ჰყოლია. თამარ მეფეს მისთვის უთხოვია, ჯარი გამომაკვებინეო. ეს კაცი დათანხმებულა, მაგრამ უთქვამს, ამ სიმაღლე მთებიდან რძე როგორ ჩამოვიტანოო. თამარ მეფეს უბრძანებია მეომრებისათვის, ხის ღარები დაეშახადებინათ. რძეს მთაში რომ მოწველიდნენ, ხის ღარში ასხამდნენ და ბარხალში ღარებით ჩამოდიოდა. ეს ადგილი უწყოა. აქვე წყარო, რომელსაც სავრიათის წყალს უწოდებენ. საოცარია მისი ხილვა, რადგან კლდე შუაშია გაჭრილი და იქიდან მოდის წყალი, რომელიც წისკვილებს აბრუნებს. გადმოცემის თანახმად, თამარს უთქვამს, ყველაზე ძნელი ჩემთვის სავრიათის წყალის გამოყვანა იყო, ჩემი ყველა სამკაული გავეიდე, ბოლოს თმის ოქროს სარკვი მჭონდა და ისიც ფულად ვაქციე, რომ ეს წყალი გამომეყვანაო. ტაოში თამარს აღმერთებენ.

ასეთი ლეგენდაც არსებობს: ერთ-ერთი ბრძოლის დროს ჯარს თამარი მიუძღვოდა. უცებ მაღალ მთას უხარმახარი კლდე მოსწყდა და დაგორდა. თამარს ღმერთისათვის უთხოვია, ღმერთო, ჯარი არ დამიხოცო, ჩაქოლვისაგან დამიფარეო. როგორც კი ლოცვა დაუმთავრებია, კლდე გაჩერებულა. დღესაც არ იცინა, კლდეს იმ ადგილას რა აჩერებს. უხარმახარი ჭვა ფაქტობრივად ჰაერში კიდია.

# ქალაქი დინოზავრები დაღონ

## მსოფლიო ბუნების უნიკალურ ძეგლს კარგავს

### ქუთაისის მახლობლად სათაფლიაზე მეცნიერთა ჯგუფის მიერ ჩატარებულმა არამართებულმა სამუშაოებმა დინოზავრის ნაკვალევი განადგურებისათვის გასწირა.

„ეს ნაკვალევი გაქცეული დინოზავრს ეკუთვნის. ალბათ შიოდა, ამ დროს კი ზღვის ტალღამ რაღაც ცხოველი გამოიყვანა, მან ეს შენიშნა და მისკენ გაქანდა.“- ასე აღწერდა პეტრე ჭაბუკიანი 1933 წელს მის მიერვე ქუთაისთან, სათაფლიის გერიტორიაზე აღმოჩენილ დინოზავრის ნაკვალევს. მაშინ ნაკვალევი იმდენად მეტყველი იყო, რომ მოსიერზე და გაქცეული დინოზავრის კვალი ერთმანეთისაგან განირჩეოდა. დღეს სათაფლიაზე დინოზავრის კვალზე მეტყველი ადამიანის ნაკვალეობა: მოუვლელობით დამსკლარი ქანი და ბეგონის რკალშემოვლებული დინოზავრის ნაფეხურები. სათაფლიაზე არსებულ დინოზავრის ნაკვალევის პალეონტოლოგებმა უნიკალურობის გამო სათაფლიანოზავრის კი უწოდეს. მსოფლიოში არსად სხვაგან გარდა სათაფლიისა არ არის წარმოდგენილი დინოზავრის ორი სახეობის: ბალახისმჭამელისა და მტაცებლის ნაკვალევი ერთად. პეტრე ჭაბუკიანის მიერ გაწმენილი ორ შრეზე მუსკად 70 წლის წინათ 260-მდე ნაკვალი იკითხებოდა. დღეს 100-ს თუ ღაითვლი.

1998 წლის 2 აგვისტოდან - 1 ოქტომბრამდე თბილისის გეოლოგიური ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფმა ქალბატონ ეთერ კილასონიას ხელმძღვანელობით სათაფლიაზე „დინოზავრის ნაკვალევის შესანარჩუნებელი სამუშაოები“ ჩაატარა. პროექტზე 9 ათასი ლოლარის ოდენობის გრანტი „სოროსის ფონდმა“ გამოყო. ამ თანხით, როგორც თავად ჯგუფის წევრები ჩანაწერების წიგნში აღნიშნავენ „ჩაბატონის ღრმულები, ნაკვალევის სათითაოდ შემოაღეს გეოლოგიური წყლებისაგან დამცავი ბეგონის ჯებირი და სათითაოდ გადახურეს მინით“.

- მეცნიერიც რომ არ იყო, ამის გარეშეც იოლი მისახვედრია, რომ ქანის დაბურღვა, ჩვეულებრივი ბეგონის დასხმა და, ჩვეულებრივი მინით გადახურვა ნაკვალევის გაანადგურებს - აცხადებს ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, ქალბატონი ლალი ბაგჩიანი.

- ბეგონის ჯებირმა მხოლოდ გეოლოგიური წყლებისაგან მიყენებული მარალი შეამცირა. მაგრამ წვიმა ხომ შემოდან მოვა, იგი CO<sub>2</sub> -თაა გაჯერებული, რაც უფრო მეტია CO<sub>2</sub> მით უფრო მიანდება და იშლება ნაკვალევი. მინით კუსტარული გადახურვებიც ყოვლად გაუმართლებელი იყო, მინა ადრე თუ გვიან თავად გატყდებოდა, მაგრამ მანამდე შეიქმნა ე.წ. „სათბურის ეფექტი“, რამაც ნაკვალევი უფრო დააზიანა“- მეცნიერულად გვიხსნის გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატი ომარ ჩხეიძე.

ქუთაისელმა მეცნიერებმა უკვე დამტკიცებულ და დაფინანსებულ პროექტში ვერაფერი შეცვალეს, მანამდე კი მათთვის რჩევა არავის უკითხავს. საქმის კურსში არ ჩაუყენებიათ არც ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, არც პეტრე ჭაბუკიანის მემკვიდრეები და არც თვით სათაფლიის ნაკრძალის ადმინისტრაცია.

- იცით რას მაგონებდა გეოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერთა მოქმედება; შენს სახლში რომ შემოხდის კაცი მოვიდეს და კედელი მოგინგრისო - პროექტისთვის ასე აჯობებსო... ჩვენი ვერაფერი გავაწყვეთ, მაინც თავისი გაიგანეს და ნაკვალევი გაგვინადგურეს! - სწუხს ბატონი ანდრეი ოსტაპენკო, იმერეთის მეცნიერებათა კავშირის „სპექტრის“ წარმომადგენელი.

- უნდა გაკეთებულიყო ისე, როგორც ბაბუას სურდა: შემოდან, ერთიანად უნდა გადახურათ ნაკვალევი, ეს არ გაკეთდა, ხოლო რაც მოხდა, ეს საშინელებაა! - აღშფოთებულია პეტრე ჭაბუკიანის შვილიშვილი, ქალბატონი ქვიციანი შირიძე.

ქუთაისელი მეცნიერები აღსაკურებენ, რომ ერთადერთი და მსოფლიოში აპრობირებული მეთოდი დინოზავრის ნაკვალევის შენარჩუნებისა, ეს მათი მინით მალევე გადახურვაა. ოღონდ აქც მუსკი გათვლებია საჭირო „სათბურის ეფექტის“ თავიდან ასაცილებლად.

- მინის პავილიონის შესაქმნელად დიდი თანხებია საჭირო, გასაგებია რომ 9 ათასი ლოლარი ამას არ ეყოფოდა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში საერთოდ არ უნდა შეხებოდნენ ძეგლს“ - ამბობს ლალი ბაგჩიანი.

1998 წლის სამუშაოები რამდენიმე ნაკვალს არ შეხებია, ისინი სხვებთან შესადარებლად დაგოვს. ხელშეუხებელი ნაკვალევი დღეს უკეთ გამოიყურება, ვიდრე სხვა დანარჩენი. თუმცა ჩატარებული სამუშაოს შედეგის შესაფასებლად გეოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფიდან 1998 წლის შემდეგ სათაფლიაზე არავინ გამოჩენილა.

1998 წელს ქუთაისში კიდევ ერთი საინტერესო რამ მოხდა დინოზავრებთან დაკავშირებით. ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტმა ირაკლი ხუციშვილმა მდინარე „წყალწითელას“ სანაპიროსთან ცარცული პერიოდის ქანიდან სავარაუდოდ დინოზავრის ხერხემლის ძალები ამოიღო.

**ირაკლი ხუციშვილი** - ჩემი ერთგვარი პოზი მთაწვეთის შეგროვებაა, მე მათ ცარცული პერიოდის ქანში ვპოულობ, მაგრამ თუ ოდესმე ასეთ რამეს ვიპოვიდი, ვერ წარმოგივლი!

ირაკლის ვერც ის წარმოვლია, თუ მის აღმოჩენას უყურადღებოდ მოეკიდებოდნენ.

- მიმოწერა მქონდა თბილისში, პალეონტოლოგებთან. - ყველა ირაკლი - მაგრამ დიდი დინოზავრებია არ გამოუხატავთ. მხოლოდ ერთმა მისოვა მისთვის დამეთმო ძელები. მე დაკარგვის შემეშინდა.

- შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ძეგლის დეგადაცილი ფორმის, სიდიდის და სხვა მონაცემთა მიხედვით დინოზავრს ეკუთვნის, მაგრამ საჭიროა უფრო ღრმა ანალიზი, რისი საშუალებაც ქუთაისში არ არის, - აცხადებს მამა სანაპირო ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმიდან.

- მსურს გავიგო რასთან გვაქვს საქმე და ამას ვცდილობ აგერ უკვე 5 წელია - ამბობს ირაკლი - თუმცა მე ამის გარეშეც ვიცი, რომ ჩვენს ქალაქში დინოზავრები დადიოდნენ.

დინოზავრები დღესაც დადიან, ოღონდ ესაა ქალაქსა და ქვეყანას მხოლოდ ორფენა გრანტისმჭამელი შემორჩენი.

**ნათია კუარაყვილი**



# გნატიკური მსოფლიოს აპოკალიფსის

- "რა საჭიროა ასეთი ზეწოლა, მხატვარი მთელ მსოფლიოს ეკუთვნის" - ამ სიტყვებით მოუხდა თავის დაცვა ამერიკაში მყოფი გამოჩენილი ქართველი მხატვარს **ვლადიმერ კანდელაკს**, როდესაც ამერიკაში რუსეთის ოფიციალური წარმომადგენლის მიერ შეთავაზებულ წინადადებაზე გამხდარიყო რუსეთის მოქალაქე უარი თქვა. რის სანაცვლოდაც იგი მიიღება ყველა იმ სიკეთეს, რაც ღვთის ანაბარა მიტოვებულს ჰპირივით ესაჭიროებოდა.

ეს შეთავაზება მხატვარმა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის საბოლოოდ დაშლამდე (1990 წელს) მიიღო, როდესაც ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველო-ამერიკის პირველი ერთობლივი კომპანიის "Lileo Arts"-ის მიწვევით გაემგზავრა. გავიდა თვეები და კონტრაქტის არც ერთი პუნქტი არ შესრულდა: არც გამოფენა ფილადელფიის მუზეუმში, არც მისი ნამუშევრების ალბომი, არც თარჯიმანი, რომელიც ინგლისურის უცოდინარ კანდელაკს ხალხთან ურთიერთობაში დაეხმარებოდა. მხატვრის ორასამდე ნახატი ხან ერთი სპონსორის სახლის დარბაზებში ეწყო, ხან მეორისა. სპონსორები იმედოვნებდნენ რომ კანდელაკი დოლარს დახარბდებოდა და თავისი შემოქმედების უმთავრეს ტილოებს "ორ შაურად" გაიმუტებდა. სპონსორების ამოსავალი იყო "მთარული" ფრაზა - "ამერიკელები სახელებს ყიდულობენ და არა ნახატებს".

"მაგრამ, მათ არ იცოდნენ კანდელაკის კერეები ხასიათი, რომ კანდელაკი ის პიროვნებაა "რომელსაც ხელში გულაბი მსხალი უჭირავს და პანტის ასაკურფად არ დაიხრება". არც დაიხარა, გაჭირვება და შიმშილი არჩია, მის სახელოსნოში სტუმრად მისულ მხატვრობის მოყვარულთა შემოთავაზებებს, კახიკებად გაეყოდა თავისი ტილოები", - გვითხრა ვლადიმერ კანდელაკის მენეჯერმა ჯანეტა ქორიძემ.

რა იცოდნენ სპონსორებმა რომ სულ რამდენიმე წლის შემდეგ, გამოჩენილ ქართველ მხატვარს თავად ამერიკელები აღიარებდნენ.

ვლადიმერ კანდელაკის შემოქმედების პირველი პერიოდი საქართველოს ეძღვნება. მის მიერ დახატული სამშობლოს პორტრეტი მეტად ეროვნულია არა მხოლოდ გარეგნულად "ფარშეკანგის", "დოქის", "ბუკის" და "კოჭის" სიმბოლოებით გადმოცემული, არამედ სულიერადაც, რაც ქრისტიანული ჯვრის სიმბოლოებში ჩაიხილავს და ფერად-ფერად სააღდგომო კვერცხებში იხატება. "რიყულეობიანი აივნებიდან დანახული კანდელაკის თუ შუთი, კახეთი, სვანეთი თუ ხევსურეთი" (ჯ. ჩარკვიანი), ძველი თბილისის ქუჩები და უბნები ისე ოსტატურადაა მოცემული, რომ ისინი მახლობელი ხედებიან ყველა ხალხისათვის.

70-იან წლებში ვლადიმერ კანდელაკი რომანტიკული საქართველოს თემატიკის ჩარჩოებიდან გამოდის და იწყებს საბჭოთა კავშირზე "თხრობას". პოლიტიკაზე, დაუმორჩილებლობაზე, სოციალისტების ჩარჩოების გარღვევაზე მამის ცოტანი თუ ფიქრობდნენ. კანდელაკი ბედავდა, რომ ნონკონფორმისტული ნაწარმოებები შეექმნა.

ცნობისათვის, ვლადიმერ კანდელაკი ის თამამი მხატვარია, რომელმაც ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში, ამ წილობისათვის თავისი შეხედულება ტილოზე გადაიტანა და ილიჩის თავი ნათურაში მოათავსა...

სცენების, სიმბოლოებისა და დეტალების სახეობრიობა მთავარია მისთვის, ფორმას შინაარსი განსაზღვრავს, სიმბოლოები და სურათები მასშტაბიდან გამოსვლის ტექნიკის გამოყენებით მხატვრული ასახვის გასაღები ხდება. კანდელაკის სურათების ორატორიულობა ირონიულ ხასიათს იღებს, ბოლოს კი სარკაზმში გადადის. ასეთებია: ტრიპტიქი "ჯვრის პროცესია", ანსამბლი "შემოდგომის პარკი", ტილოები "ფარშეკანგი გალიაში", "ილიჩის ნათურა" და ტრიპტიქი "ბანქოს სახლი" კიდევ ერთი სიმბოლოა საბჭოთა სისტემის მერყეობისა და არასტაბილურობისა. მხატვარმა შეძლო ბავშვური თამაშის იდეიდან ძლიერი პოლიტიკური ალეგორია შეექმნა.

"ბანქოს სახლი", "ცარიელი ბუდე", "დაბლა, დაბლა, კიდევ უფრო დაბლა...", "ლენინი ვამინგტონში", "ფასეულობათა გაუფასურება", "შეცარი რეალობა" კონცეპტუალური აზროვნების შესანიშნავი მაგალითებია. ისინი ავგურებენ კანდელაკის მიერ ორი ათეული წლის წინ დაწყებულ სერიას "საზეიმო მსეულობა" - ეს

გახლავთ 20 წლიანი ირონიული მოთხრობა საბჭოთა რეჟიმზე.

"ჩოხა" საქართველოს სიმბოლური პორტრეტია. ამ "ჩოხით" წავიდა ვლადიმერ კანდელაკი ამერიკაში და ამ ჩოხის პატრიოტად დარჩა 10 წლის განმავლობაში. "განათლებულ თუ საბჭოთა პროპაგანდით დაბნეულ ამერიკელებთან ბევრჯერ ულაპარაკა ამ ნაციონალურ ტანსაცმელზე, როგორც ქართველი კაცის ჰაბიტუსის განსახიერებაზე, როგორც მისი დახვეწილი სისადავისა და გემოვნების გამოვლინებაზე. საქართველოს პროპაგანდა მისი მდიდარი სახელმწიფოებრივი ისტორიით, ქრისტიანული რელიგიით და კულტურული წარსულით, მუდამ წამყვანი თემა იყო კანდელაკის პრინციპიტაცებსა და გამოფენებზე, რადგან მის შემოქმედებაზე საუბარი გამორიცხვლია ეროვნულის ცნების გარეშე." - გვითხრა მხატვრის მენეჯერმა ჯანეტა ქორიძემ.

დღეს ვლადიმერ კანდელაკის ნახატები ამერიკის საუკეთესო მუზეუმების კოლექციაშია. ქართველი მხატვარი ყველაზე სოლიდურად (50 ფურწერი და გრაფიკული ნამუშევარი) წარმოდგენილია ნორტონ დოჯის კოლექციაში "ნონკონფორმისტული ხელოვნება ყოფილი საბჭოთა კავშირიდან", რომელიც რადგერსის უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული ზიმერლის სახელობის მუზეუმს ეკუთვნის. კანდელაკის დამსახურება ამავე კოლექციის გამდიდრება ჭეშმარიტად ნონკონფორმისტი ქართველი მხატვრების ნამუშევრებით.

შემთხვევითი არც ის არის, რომ კანდელაკის "ბანქოს სალი" ამჟღავნებს საუკუნის დასასრულის პოპულარულ წიგნს "The Rise and The Fall of the Soviet Union".

ვლადიმერ კანდელაკმა 10 წლის მანძილზე 15-მდე პერსონალური და ჯგუფური გამოფენა გამართა ამერიკის დიდ ქალაქებში. ეს ზეიმური სვლა ახლახან დაგვირგვინდა გაეროს ცენტრალურ სახლში მოწყობილი პერსონალური გამოფენით, სადაც მხატვრის 50-მდე ნამუშევარი იყო წარმოდგენილი. გამოფენის გახსნას ამერიკაში 500-მდე მოღვაწე სხვადასხვა ქვეყნის დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები დაესწრო.

უახლოეს ხანში ვამინგტონის გალერეა-მუზეუმში "Fonda Del Son" დანიშნულია ვლადიმერ კანდელაკის ნამუშევრების გამოფენა, სადაც მხატვრის კუთვნილ ნაწარმოებებთან ერთად მნახველს საშუალება მიეცემა

რადგერსის უნივერსიტეტის ზიმერლის სახელობის მუზეუმის კუთვნილ 50 კანდელაკის ნამუშევრიდან 15-მდე ტილოს და კოლაჟს გაეცნოს. ამ კოლექციის მფლობელი თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი კოლექციონერი ნორტონ დოჯი გახლავთ, რომელიც მუზეუმის დირექტორთან ერთად აპირებს, აღნიშნული გამოფენის ამერიკის უდიდეს ქალაქებში: ნიუ-იორკში, ბოსტონში და ასე შემდეგ ჩვენებას.

კანდელაკის გაორებული ბუნების და წინააღმდეგობით აღსავსე ცხოვრების მნიშვნელოვანი მომენტია, მისი ინგლისის საპრობილეში ორ კვირიანი დაკავება. რასაც, სასამართლოს მოლოდინში ლონდონში იძულებითი ყოფნა მოყვა. "მას უქმად ყოფნა არ უყვარს და ინგლისში სტუმრობა სათავისოდ გამოიყენა" - მოგვიყვანა ჯანეტა ქორიძემ, მისივე თქმით ლონდონის ციხეში გაკეთებულ ჩანახატებს მხატვარი მალე კოლაჟების სერიას მიუძღვნის.

## სამართლებრივი კორუფციის მხროლვე ლაპარაკობან

ერთხელ, უფრო სწორად, 1995 წელს, გაეროს რუსული მისიის სასახლის დარბაზებში გამოფენის გახსნაზე ამერიკელმა ტელე-ჟურნალისტებმა კანდელაკს ჰკითხეს: სად უფრო კარგად გრძნობთ თავს, ძველ სამშობლოში თუ ამერიკაში? მხატვარმა იუმორით უპასუხა: თქვენ წარმოიდგინეთ თვითმფრინავში. თვითმფრინავი იმედით მავსებს, აი, კიდევ ერთ გამოფენას გავხსნი, კიდევ ერთ თვანისმცემელს შევიძენ, მეთქი, ასე ვიცნებობ. ისე კი არის დედამიწა და ის არის ჩემი სამშობლო.

ამის ნათელი დასტურია "ვლადიმერ კანდელაკის საკვლავმოქმედო ფონდი", რომელიც 1998 წელს დაარსდა და რომელმაც იმთავითვე მიზნად დაისახა ქართულ-ამერიკული კულტურების დაახლოება.

"ვლადიმერ კანდელაკის ფონდის" საქველმოქმედო საქმიანობიდან, აღსანიშნავია ქართველი მხატვრის სერგო ქობულაძის უნიკალური მეცნიერული ნაშრომის "ოქროს კვება" და ინგლისურ ენოვანი წიგნის "Georgian Culture" გამოცემა და პოპულარიზაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში.

"ვლადიმერ კანდელაკის ფონდის" გვირგვინად ნაგულისხმევია "კანდელაკის მუზეუმი-სახელოსნო", სადაც განთავსებულია ძველებური იარაღისა და ყოფის ნივთების საკუთარი უნიკალური კოლექცია (მე-18, მე-19, მე-20 საუკუნის დასაწყისი). რომელიც მხატვარმა გასული წლის შემოდგომაზე საქართველოს ანუქა. კავკასიურ იარაღს (მათ შორის არის რამდენიმე ბრინჯაოს ხანის ნიმუშიც), მასონერ ხმლებს, ქართულ, რუსულ, სპარსულ და ირანულ ხმლებსა და დამბარებს, უნაგერებს, ყოფის ნივთებსა და სამკაულებს ვლადიმერ კანდელაკი მთელი სიცოცხლის მანძილზე აგროვებდა და ამ დიდებულ კოლექციას თავისი მხატვრული ნამუშევრების პარალელურად ქმნიდა.

"მუზეუმმა-მუზეუმში" დაარსებისთანავე მიზნად დასახა საერთაშორისო სიმპოზიუმები, გაცვლითი გამოფენები და კონფერენციები, შემოქმედებითი მივლინებები.

როგორც, დასაწყისში ვწერდით "კანდელაკის ფონდი" და მუზეუმი ჩაფიქრებულია როგორც ამერიკელ და რუს მხატვრების, ფრანგ და ინგლისელ, სამხრეთამერიკელ და ჩინელ შემოქმედთა სამო სახლი, სადაც ისინი საქართველოს მდიდარ კულტურასა და ისტორიას გაეცნობიან.



## ბინი-ლოსი

დაიბადა 1943 წლის 4 ივნისს თბილისში. 1969-1990 წლებში იყო სსრკ მხატვართა კავშირის წევრი; 1990 წელს გახდა საქართველოს ხელოვნების დამსხვრებული მოღვაწე; 1993 წელს მხატვართა საერთაშორისო ფედერაციის - ოუნესკოს წევრი. 1999 წელს თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის საპატიო პროფესორი; 1993 წელს ინფორმატივიკაციის საერთაშორისო აკადემიის წევრი.

1966-2000 წლებში მას ჰქონდა 11 პერსონალური და 19 ჯგუფური გამოფენები.

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში მისი პედაგოგები იყვნენ გამოჩენილი მხატვრები: ვალენტინ შერპილოვი, ვასილი შუხაევი, დიმიტრი გაბაშვილი, აპოლონ ქუთათელაძე, უჩა ჯაფარიძე, გოგი თოთიაძე. ვლადიმერ კანდელაკი განსაკუთრებული სითბოთი და მადლიერებით იკონებს მხატვარ სერგო ქობულაძეს - დიდ შემოქმედსა და აღმამს.

"კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო". სწორედ ასეა დღეს საქმე. ამერიკული მენტალიტეტისთვის ძალიან ძნელია იმის დაჯერება, რომ "ფონდის" საქმეებში, ფინანსებში, რომელიც სულ მცირე 600 ათას ამერიკულ დოლარს ითვლის, კორუმპირებული მათა ჩაჯდა "ფონდის" ყოფილი პრეზიდენტის ეთერ შაგულაძის მეთაურობით და აღნიშნული თანხა არამიზნობრივად დახარჯა, განსხვავდა და გაანია. მართალი გითხრა, საქართველოს უშიშროების სამინისტრო, პროკურატურა და სახელმწიფო საგადასახადო ლეგიონი უკვე ორი წელია ცდილობენ სამართალი იპოვონ და ფონდს თავისი თანხები დაუბრუნონ, მაგრამ ჯერჯერობით უშედეგოდ. რაც იმის დასტურია, რომ მართლდება მთარული ფრაზა: "საქართველოში კორუფციას არ ებრძვიან, საქართველოში კორუფციაზე მხოლოდ ლაპარაკობენ."

და ბოლოს ჯანეტა ქორიძე იგონებს: ერთხელ საქართველოს ელჩთან გაეროში ზურაბ ჩხეიძესთან სტუმრობისას კანდელაკი თავის გვარზე ლაპარაკობდა. მის პირველ ნახევარს უსვამდა ხაზს "candle" - სანთელი არის ჩემი გვარის ფუძე, რაზედაც ზურაბ ჩხეიძემ ხუმრობით უთხრა: "ვოვა, შენ შენი გვარის მეორე ნახევარი გირჩენია გვარის ფუძედ აირჩიო", რაც "lucky" - ბედნიერს მიშვას.

ჩვენ გვინდა ბატონი ზურაბ ჩხეიძის ვერსიას დაუჯეროთ, რადგან, მიუხედავად დასაწყისში გადატანილი სიმწიფისა, ამერიკა ბედნიერების და წარმატების მომტანი აღმოჩნდა ვლადიმერ კანდელაკისთვის. მისმა სურათებმა ბინა დაიდეს არაერთ ამერიკულ მუზეუმებში. - გვითხრა დასასრულს ჯანეტა ქორიძემ.

თამარ მაისურაძე

# პოეზიის სვეტი

მარტო მარტი და გასაფხულს უძალ გეაჩენ მარტო მარტი, გამოუტან ზამთარს განაჩენს... მშვიდდება მარტი ნაგვიანები გასაფხულის სურვილით საყვ.

სულის პრიფული სინამდვილეს ვერ მივამსგავსე და ვერც იმ გოგოს, ალუბლის ფეხებს რომ იბნედა თქმში და ასე ალუბლისფერი გულწრფელობით უკვრად მთებ, როგორც მამის ძლიერი მხრები, როგორც ზღაპრები...

ოცნება გეჭრა, ბეგრაც აღბათ დარჩა უოქმელი, ოცნება გეჭრა, მოილა ტყეში ხურტყელი... მე ავიტყე თქვენი მხერა გნებ თუ ნებით, როგორც დარბაზს აყოლილი აბოლისმეჩნტი


ვინცები ხებთ... სულგანბული, თითქოს ათასი წელი ვისმჩდი!.. მარტო მარტი - ათეუთი და გასაფხულით თაგურელსმხელი, მარტის დღესათი ვარ ბუნდოვანი, ნატვრის შესაეთი სურვილსმხელი... მარტო მარტი, ან დამჯერე უკვე მარტო - უნდა მარტო, ან გასხვისე ან გაჩეყე

გასაფხულს მიუხეზე რომ დევიქოქო, გასაფხულს თვალი რომ გეუქსირო, ზამთრის მშესაეთი რომ არ გეცერო, თბით სული რომ დავიპურო და ქმელებით გადავიპურო... მარტის მანტა რომ მოვიხერო, მარტოვით კარი არ გაიხერო უხმუროდ და უამდლოდ მარტის დღესათი უნდა დამთბე, მარტის მშესაეთი უნდა დამდლო... გასაფხულს მიუხეზე რომ დევიქოქო, უნდა მარტო, მარტი მარტო!..

\* \* \*

ეს გასაფხული კი არ მოვიდა, კი არ მოვიდა, მე მოვიყვანე. ჯერ არნახული სიმარტოვიდან მშის სინაილზე გამოვიყვანე. ეს გასაფხული კი არ გამეწილო, ძალის ძალათი გადმოვიბირე. ისევე აპრილის ვალი დამელო, მარტი ჭკუიდან შეშლას მიპირებს. ეს გასაფხული, ჯერ არნახული, სისმრის სიცხადით ხსოვნას მიბრუნებს, ეს გასაფხული, ბოლოსდაბოლოს, ძველი ვალივით მე დამიბრუნებს. ეს გასაფხული კი არ მოვიდა, კი არ მოვიდა, მე მოვიყვანე. ჩემი ჯვარცმული სიმარტოვიდან საამკაროდ გამოვიტანე...

## მამა ბაქრაძე



# ობია იოსელიანის ნათქვამი მწარე სიპართლე გვიჩვენებს ლახვარად ხვდებოდა გულში და, ალბათ, ამიტომაც, რომ კალიან გვიჩვენებს უკვე გაუგებების მასთან ურთიერთობას.



მწერალი თავისი "დაჩის ზღაპრების" გამოცემის პრეზენტაციაზე რომ ვიხილეთ, პირველი, რაც ვკითხეთ, ეს იყო: რა ხდება წყალტუბოში საარჩევნო? შეკითხვის დასმის ერთგვარი მიზეზი ისიც გახლდათ, რომ წყალტუბოს მაჟორიტარობას მწერლის შვილიც აპირებს. მწერალმა - ეს რა გულბრველი კითხვა დამისვითო და ხმაძარებელი დაიფიქრა, - წყალტუბოში ძალიან პატრონს ვერ ცნობს. თანაც დაყოფა, - მასე კი არ უნდა მკითხო, რა ხდება წყალტუბოში, უნდა მკითხო, იქვეა ქვეყანა თუ არაო. საოცრება ისაა, რომ რაინა გვეჭირდება ეს ყველაფერი, ეს არჩევნები და ასეთი ამბავი, ვერ გევიყვებ. ხომ გვეჭირდება პარლამენტი არჩეული ერთხელ, ორჯერ, სამჯერ, რა შედეგი მოგვცა? არაფერი. დეიქა ქვეყანა. ახლა ისევე განაგრძობს. ვითომ ქვეყნის აღმშენებლები იყვნენ, ისე მოაქვთ თავი.

- რატომ, ხომ შეიძლება უკეთესი თაობა მოვიდეს პარლამენტში? თქვენ რატომ წერათ იმდენ წინასწარ?

- რა ხდება, მართლა ვერ გევიყვებ. მე კი არა, თვითონაც ვერ გეპულობენ. ამდენი ხანია წვალობენ და სია ვერ დოუდგენიათ. ისედაც შემოგვევლია ხალხი, ახლა ამბობენ, მკვდრები მომრავლდნენო, თანაც რავალი მკვდრები, მკვდრებსაც ხო გააჩნია. 1800-იან წლებში რო არიან დაბადებულები, იმხარები არიან სივრცეში. წესიერ ქვეყანაში, ნორმალურში, რამდენი კვერცხი იდება, იგი უნდა იცოდნენ, ჩვენთან იგი ვერ დოუთვლიათ, რამდენი ამომრჩეველია. ჩვენ თუ ხმები ვერ დევითვალეთ, აბა რა უნდა ქნან ჩინელებმა?

- თქვენ თუ მოიხიეთ თქვენი

თავი სიაში?

- არ მომიძებნია, არც ვიცო, რა იყო და რა არა. იმიტომ, რომ არ ვაპირებ მაგ საქმეში გარეგანს.

- როგორ, ბატონო ობია, თქვენი შვილი პირდაპირ საარჩევნო სუბიექტია, დაეანებოთ თავი სხვას, თქვენ რა, შვილსაც არ აძლევთ ხმას?

- შვილი მე ვიცი საკუთარ სახლში. იმის იქით რო არის, ვეიც ჩემი შვილია, იგიც და შენც. ყველა ის, ვინც ქვეყნისთვის რამეს აკეთებს. შვილებისადმი განსაკუთრებული მიდგომა არ მიყვარს. მე ალიყვი არა ვარ, მეგვიდრეობა დავტოვო. ჩემი შვილია ყველა ის, ვინც ქვეყანას არგია.

- ესე იგი, უკმაყოფილო ხართ იმით, რომ თქვენი შვილი კერძო იყოს?

- მართლაც და პატიოსან კაცს რა უნდა იქნებ? მაპატიეთ ცუდი შედარებისთვის, ადრეც მითქვამს და ახლაც გევიმეორებ, საღორეში რო შეხვალ, რაც არ უნდა პისკად დაწვე, სულ ერთია, მანაც დეის-ვრები.

- თუ ასე იყო, ვერ ურჩიეთ თქვენს შვილსაც, რა გინდა საღორეში?

- შვილი შენია 15-16 წლამდე. მერე რა უფლება გაქვს მის საქმეში ჩარევის? ეს შეურაცხყოფაა, მისი უფლებების დარღვევაა.

- საარჩევნო სამზადისზე რას იტყვი, მართლა რა ხდება წყალტუბოში?

- ვერაფერს ვერ გეტყვით, მე ყანაში ვარ და რა ვიცი, რა ხდება? მკითხე სიმინდების ამბავი, გეტყვი, როგორი მოსავალია.

- როგორი შემოდგომა გქონდათ? ბარაქიანი იყო?

- სხვათა შორის, წელს არა

უშავდა, მარა, რათ გინდა, ალებას ვერ ვახერხებთ. ბუნებაც გაჯოუტდა, გვაწვიმს ყოველდღე. წყალს მიაქვს ყველაფერი. თანაც, არა კაცი რო არაა დამუშავებული, რა მიტოვებული ყველაფერი, მოსავალი რო არ აინტერესებთ? უბატრონოდ ყრია ყველაფერი. ჩვენ ხო აღარაფერს არ ვაკეთებთ, ჩვენ მართო არჩევნები გვაქვს სადარდებელი. არჩევნები, რომელიც არაფერში არ გვარგია.

- ისე, არჩევნებს თუ უნდობლობას უცხადებთ და არ მდიხართ, გამოდის, არც რეფერენდუმში მიიღებთ მონაწილეობას? არ მიესალმებით პარლამენტში დეპუტატთა რაოდენობის შემცირებას?

- რავა, 235-ს რო ირჩევდნენ, მკითხა ვინმემ რამე თუ? რომელ ქართველს ნახავ ახლა, მაგის მოხზე არ იყო? მე მაქვს შვიდი ლარი ჰენსია (აბა ჰენსია 14 ლარი რო დანიშნეს, მაშინ ერთი ერთხე იყო დოლარი და ლარი, ახლა კი ერთი ორხეა), თუმანი გეჩვენა შენ ხელფასი, მაგენმა კი თვითონ 400-700 ლარი დეინიშნეს. ხელი რატო არ მოტყდათ, ეს რო დაკანონეს. ამას გარდა, იმუნტეტი აქვთ. რათ მინდა მე იმუნტეტი, არაფრად არ მჭირდება, მარა მაგენს რათ უნდათ, ხო გასაკება? ჩემთვის შეურაცხყოფელია, რომ მითხრა იმუნტეტს დაეინიშნავო, მაგას ვერ მაკადრებ შენ მე. მე მაქ ჩემი იმუნტეტი. რათ უნდათ იმუნტეტი, თუ არაფერს იპარაკებ? ესე იგი, უუსნით ხელეებს, არიქა იპარეთო. მაგი მე ახლა კი არაა, წინა არჩევნებზე უუსნათი ნინოს, რათ გინდათ იმუნტეტი-თქვა? მითხრა, გაიკითვალისწინებო, დაეყენებ მაგ საკითხსო. შენ კი დაეყენებ, მარა ხმას ვინ მოგცემს-თქვა. ამასწინათ ერთ განხილვაში გამოქვეყნებული იყო სხდომებზე დეპუტატთა დასწრების სია. 41 სხდომიდან ერთს 39 გაცდენა პქონდა, ამის მერე ზოგი ოცდათვრამეტანი იყო, ზოგიც ოცდაჩვიდმეტანი. რა უნდათ მაგათ პარლამენტში? ერთი თუთხმეტი კიდე ხელფასი რო რიგდებოდა თურმე მაშინ მიდიოდა.

- ბოლოს და ბოლოს, ორი ნომბრის მერე რას ელოდებით?

- გააჩნია, ვინ რას შეინდობებს. პრეზიდენტის არჩევნებზე ოცი პროცენტი არ მისულა, მარა ასე თქვეს, 80-მა პროცენტმა აირჩიაო. რავა ბოვშევით კითხულობ რას ელოდებით. არ იცი, რაც იქნება? რაღა დროისაა ჩვენი აზრის გათვალისწინება. რათ გინდა პარლამენტი, მისი რომელი დადგენილება სრულდება? გევიყვანეს რუსის ჯარი? დაადვა იმ კაცმა ზედ ველო და სამუშაოდ დატოვა იგენი იქნე. კანონს რომ მივიღებთ, თუ არ იყანონა, რა აზრი აქვს 235 კაცის იქნე შეყვარს?

## ივლიანო პაჩი

10 წელი სრულდება ჩემი ძმის, დათო ბოლქვაძის ტრაგიკულად დაღუპვიდან... 10 მწარე წელი... 1993 წლის 28 ოქტომბერს იგი ლოთი ქობალიამ დახვრიტა. დათო ღრობით ხობის მიწაში მიიბარა, ნომბრის დასაწყისში თბილისში ჩაიხურა თავის უბეში...

19 მარტი ჩემი და დათოს დაბადების დღეა. მე მისი ტყუპისცალი ვარ, ბევრი რამ კარგი შემძღობა გავიხსენო ჩემი ხანმოკლე დამბობიდან. მრავალი ისეთი თვისება ჰქონდა, ჩემს გარდა სხვასაც რომ ახარებდა.

იმ მშვიდობიან წლებში დაბადებულ ბავშვებს, ომი ქორივით შემოგვეპარა ჩვენსავე მიწაზე და ხან ვისი დაღუპვის ამბავი გვესმოდა და ხან ვისი, უდროოდ გარდასულთა შესანდობარში დათომ ერთხელ თქვა, თუ მეც ნადრევედ მიწვრია წასვლა, ღმერთო, უსიყვარულოდ ნუ მომკვალვ!

დიდი, უნაპირო და უღამაზესი სიყვარული ეწვია მას. სიხარულით ცაში ფრინავდა, ისე მოსწონდა თავისი რჩეული. საქორწილოდ ვეშადებოდით. ეკონომიკურად განვითარებულად არ გვიცხოვრია, მაგრამ მცირედითაც კმაყოფილები ვიყავით, ერთმანეთს ვახარებდით.

მინდა, გავიხსენო 1993 წლის 24 ოქტომბერი, როცა დიანამ დათო დაბადების დღეზე მიიწვია. იმ დღეებში დედ-მამა შინ არ გვეყავდა და ფულიც არ გვექონდა. დათომ ისეხსნა 30.000 რუბლი და დაბადების დღეზე, ოცი ვარდით სუბელიანების ოჯახში წავიდა. საოცარი სილალით მოუხსენია. შინ უბედნიერესი დაბრუნდა. მომიყვა, რა კარგი ადამიანები გაიცნო და რა კარგი დღე გაუთენდა... სიცოცხლე უხაროდა...

26 ოქტომბერს ხელშეკრულება გააფორმა უცხოეთის ტელესაგენტოსთან და 27 ოქტომბერს დასავლეთ საქართველოში გადამტანე გაემგზავრა...

ქობალიამ შავად გავკეთენა 28 ოქტომბერი.

დათოს დაღუპვის შემდეგ 20 წლის დიანამ მითხრა, მორიძეული ვარდი ოცი კი არა ოცდაერთი გამოდგათ... ლარნაკში ჩაწოხილი ხასხასა ვარდები იმავე საღამოსვე დატყნა და ეს ცუდად მენიშნაო... ის ოცდაერთი გამხმარი ვარდი, ხუთი წელი ელაგა ლარნაკში...

დათომ კი ბედ-იბაღი დაულოცა დიანას და ფართო ნაბჯებით უსასრულობაში შეაბიჯა...

ნიკო ბოლქვაძე

## უხსნ სოფლის დაპირებით გვიჩვენებს!

ტელეკომუნიკაციების დათო ბოლქვამ 34 წლის ვახტანგოდა. ქობალიამ დათოსთან ერთად ხუთი ქართველი ჯაბუკი დახვრიტა.

დღეს მოგითხრობთ ერთ-ერთი უშუალო თვითმხილველის, ჟურნალისტ დათო ჩხვიციანიის ნაამბობს. ჩემი შვილის პანაშვიდზე მოსული იმდენად იყო დაზარალებული, რომ თხრობის დროს ხშირად ისევნებდა.

ქალაქში გრიგალისებური სროლების გამო შესვლა ვეღარ შევძელით და ხობის გარეუბანში დაველოდეთ დათო ბოლქვაძეს. ვფიქრობდი, აუ, რა ექსკლუზიური მასალას გაინაღლებს დათო, ნეტა მეც შემიძლია ხობში. ცეტ-ის პროდიუსერი გლენ ბრინსი ძალიან ნერვიულობდა თავისი ოპერატორის დათო ბოლქვაძის იმ "ურაგანში" ყოფნას. ამ დროს უცხოური მანქანით მოგვადგა ქობალია და მისი რანჟი. თვალი შევაკვლე რამდენიმე ჩიჩქნასაც, ფაშისტებივით გადმოცივიდნენ მანქანიდან, უშვერი სიტყვებით გადაგვივარდნეს ხელეში. როდესაც გაიგეს, ჟურნალისტები ვიყავით, ესენიც მოგვკლათ, ხუნტის ტელევიზიის იმ ჟურნალისტის დამქაშები იქნებოდნენ. "ესენიც მოგვკლათ" - ცუდად მენიშნა! ციმა ოფლმა დამასხა, მივხვდი, რომ დათო უკვე მოკლეს. არადა, მეც II არხის მოწმობა მელო ჯიბეში. ქობალიას ახლდა ერთი დაბალი, წითური კაცი, რომელიც განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა. მას ჩემს საფეთქელზე ჰქონდა მიბჯენილი რევოლვერის ლულა და მეგრული კილოთი ეკითხებოდა ქობალიას: "მოკლა, ლოთი, მოკლა..." მე მივხვდი, თუ საქტელეკომის მოწმობას აღმომიჩინდნენ, დათო ბოლქვაძესავით მომკვლავდნენ და გლენს ინგლისურად დაუწვევ ლაპარაკი. იმას კი ვუთხარი, - გასწვი, ბიჭო, ლულა, შემთხვევით არ გაგივარდეს, მე მოსკოველი ჟურნალისტი ვარ, ეს უცხოელი ზეიდ გამსახურდისთან ინტერვიუსთვის ჩამოვიყვანე და ზუგდიდში მივდივით-მეთქი. თან გლენს ინგლისურად ვუთხარი, რუსულად გაესაუბრე, ამასობაში მოწმობას შარვალში ჩავაცურებ-მეთქი. დმერთს ვევედრებოდი, ფენსაცემის მაღალ ყელში ჩაცურებულიყო და არა მიწაზე. ბედად, მოწმობა ფენსაცემელში ჩავარდა და შევბით ამოვიხსნიეთ. გლენის მანქანის საჭესთან ვიჯექ დასვეს და ზუგდიდში წავიყვანეს. იქ უკვე მათი ვარისკაცების საუბრიდან ზუსტად გაიგეთ, რომ ხობში "ის ხუნტის ტელევიზიის ჟურნალისტი" მოკლეს. ზეიდამ გამსახურდამ გვითხრა, მანქანას დაგებურებენო, მაგრამ ვინ ისმინა მისი ბრძანება, მანქანა თვალსა და ხელს შუა გააქრეს. მანქანას აღარ ეჩიოდით, სასწრაფოდ წამოვედით ხობში. კითხვა-კითხვით მივაგენით ხობის საავადმყოფოს, რომლის ენოციც, თვითმხილველთა თქმით, დათო და ხუთი გვარდიელი დაუსაფლავებიათ ქრისტთან ხობელებს. დათოს სახელდახელო საფლავი საავადმყოფოს ექიმმა მაჩვენა, რომელიც შეძრწუნებული იყო ქობალიას ავკაცობით. კიდევ ერთხელ დაგვწმუნდი, რას გადავურჩით.

ასე რომ, ქობალიას ამპარზონი საქციელის პირველი მაცნე ჩემს ოჯახში დათო ჩხვიციანი იყო. ღმერთს მადლობას ვწირავდი, რომ ის მანაც გადაურჩა ჯალათს. ამის შემდეგ დათო ჩხვიციანი მოდიოდა ჩემი შვილის საფლავზე, თანავიგობებოდა. გამოიყვანა ჩვენება მისცა და როდესაც ქობალია დააპატიმრეს, სასამართლოზე ჩვენების მისაცემად ეშადებოდა, მაგრამ... უეცრად, ყველასათვის მოულოდნელად, პროცესზე ჩვენებას თავი აარიდა. მმაცაცისაგან ასეთი საქციელი მოულოდნელი იყო... გმირობას ყველას ვერ მოსთხოვ...

ღმერთმა შეგინდოს, დათო ჩხვიციანი! შენ იცი, რომ შვილივით მიყვარდი, შენც ხომ დავითი გქვია!...

ლია ისინი-ბოლქვაძე

**რედაქტორისათვის:**  
**ძვირფასო მკითხველო,**  
**მინდა, რომ შეგამზადო ამ წიგნის წასაკითხად...**  
**იგი მშობლივად, აღმამთავრებელი, სამწესიერად...**  
**- თუმცა სიმართლე და ჩვენი დღევანდელი...**  
**გმადლობა იმ იმედით, რომ ეს ყველაფერი წაბრუნდება,**  
**ჩამატდება და უკეთესი „ხელო“ გვქონება,-**  
**- პატივსაცემი შტაბის აგებელი სიტყვებით!**

ვერობა რომ სახეს იყო ქართველი ემიგრანტებით, კარგა ხანია გაგონილი მქონდა. ისიც ვიცოდი, უმეტეს მათგანს არაპატიოსანი გზით რომ გაჰქონდა თავი. ის კი ნამდვილად არ ვიცოდი, ასეთი მტკივნეული თუ იქნებოდა ჩემთვის მათთან პირისპირ შეხვედრა...

შარშან თებერვალ-აპრილში ვენაში ვიყავი მიწვეული. შემთხვევა მომეცა ვეროპის სხვა ქალაქებში დამთავრებული, ვიყავი ვენეციაში, პარიზში, ამსტერდამში და როტერდამში. ქართველ ლტოლვილებს ვენის გარდა სად აღარ შეხვდი...

გთავაზობთ ნაწევრებს ვეროპაში დაწერილი დღიურიდან, რომელიც ასახავს ჩემს შეხვედრებს სამშობლოდან გაქცეულ საქართველოს შეილებთან.

**12 თებერვალი**

ორი დღეა, რაც ვენაში ვარ. დღეს გავიგე, რომ თურმე ჩვენთან გერმანულის კურსზე ქართველი კაცი ივლის, ასე 40 წლის, ფეხბურთის მწვრთნელი. ხვალ გავიცნობ. ძალიან გამეხარდა ქართველის გამოჩენა პარიზში. ავსტრიელები კარგები არიან, მაგრამ ქართველების ქართველი მაინც სხვა არის. მამაჩემი კი მაფრთხილებს, ქართველებს ერადეო, მაგრამ ხომ არ შეიძლება ყველა ბანდიტი და არამზადა იყოს? თანაც ეს სპორტსმენია, ასე რომ ვნახოთ, დავიცადოთ ხელამდე...

**13 თებერვალი**

დღეს დილას გერმანულზე გავიციანი ჩემი ჯგუფი ქართველი კაცი, თამაზ ბოლქვაძე, ფეხბურთის მწვრთნელი, ჩაცმული პეწიანად და ძვრფასად, არმანის საათითა და რამდენიმე ათას დოლარიანი ტანსაცმლით. თამაზმა გაკეთების შემდეგ წამიყვანა მის საცხოვრებელ ადგილთან ახლოს, ქართველების მალაზიაში, სადაც რამდენიმე ქართველი ვნახე. თამაზი გარდა ფეხბურთის მწვრთნელია, რადიო-რადიო საქმეებსაც ატრიალებს. ფული არ უჭირს, უტყობა. მალაზიაში მაცივარია 46 ევროიანი ფეხსაცმელი 20 ევროდ. გუშინ სონის მოპარული დეპტობი ვიყიდე სულ რაღაც 150 დოლარად, გადამრია თამაზმა, თუ ვინდა, იქნებ გიშოვნო შენცო. თამაზს ცოლ-შვილი თბილისში ჰყავს და ყველაფერს აქედან უგზავნის საჭმლიდან დაწვეული ველოსიპედებითა და მანქანებით დამთავრებული. მაგარი ჩალია ვილაცაა, ზედ აწერია.

**16 თებერვალი**

მეტროში ორი ბიჭი ქართველებს მივაგვანე, და მართლა ქართველები არ აღმოჩნდნენ? ერთს თვალეები ისე ჰქონდა ნაწითლებული, აღნაშთაწვე თბილისელებს რომ აქვთ ხოლმე, და იმით მივაგვანე ქართველს. ის მართლა თბილისელი აღმოჩნდა, და მეორე კი - ქუთაისელი, სუფთა ქუთაისური აქცენტით. 2 კვი-

რის ჩამოსულები ვართო, ლტოლვილების სტატუსი მოგცესო. რას აკეთებთ-მეთქი, რომ ვკითხე. ქუთაისელმა ღრეკვით მიპასუხა: ვენაში ბევრი რამე ცუდად დევსო და ჩვენი საკბილო ხდებაო...

**24 თებერვალი**

რუსული ეკლესიიდან რომ

დახვდებოდა. არ ვიცი როგორ უნდა იცხოვროს ქართველმა უცხოეთში მაგ ფილმის შემდეგ... მუდმივად ცხოვრებას ვუფლისხმობ, თორემ დროებით შეიძლება გაძლო კაცმა. თუმცა ამჟამად წასული ახალგაზრდების უმრავლესობა იმას გაიძახის, დროებით მივდივართო, მაგრამ უმეტესობა ალბათ ვეღარ ჩამოვა. აღარ კი არა, ვეღარ... ისე, დღეს შეხვედრილმა ბიჭებმა მითხრეს, ჩვენთან სხვებზე იყვნენო, გერმანიაში გადასვლას რომ ვცდილობდითო, ჰოდა რომ არ გავიშვეს, ერთმა მათგანმა უკან მონდობა დაბრუნება, საქართველოში, და დოკუმენტები არ ჰქონდა წესრიგში და არ დართეს ნება საქართველოში დაბრუნებისო... წარმიდგინე...

რი... მივედით აეროპორტში. რამდენიმე ქართველი იდგა შორიასლო, ვიღაცას ელოდნენ ისინიც. მათ შორის ყველაზე ელვანტური ერთ-ერთი სომეხის ნაცნობი აღმოჩნდა, ადრე ერთად ყოფილან ჩეხეთის ბანაკში. ჩვენთან მოვიდა და დაველაპარაკე. სახელი გარეგნობის შესაფერისი ჰქონდა - მირიანი. იცი, როგორი ელვანტური იყო, რომ შეხედავდი, ქუჩაში ფეხით მიმავალსაც კი ვერ წარმოიდგენდი, იფიქრებდი ეს ალბათ (ქართველების საყვარელი გამოთქმით რომ ვთქვა) "შისოტკა მერსედესით" დაბრძანდებო. ბლანზე არ მიყვარს, მაგრამ ძალიან უხვებოდა ბლანზე. მხატვარი ვარო. დღესაც მი ლექტორია აკადემიაში.

თბილისს რომ ვადარებ, რატომღაც სულ მეჩვენება, რომ თბილისში არავის არაფრის ხალისი არ აქვს. პრინციპში ეს არაა მართალი, ვილაცხვებოდა ხომ ნამდვილად აქვთ ყველაფრის ხალისი, მაგრამ რაღაც არა მგონია მოხუც კაცებს შამპუნის თვისებები აინტერესებდეთ მანდ. რა ვქნა, მე ვერ წარმოვიდგინე და შეიძლება ვცდები, გამისწორეთ. თამაზი ვერ ვნახე და ერთ ქალს გამოველაპარაკე, ქართველს, ნამდვილ ქართველს, არა ებრაელს. ქართველ ებრაელებს შეუკედლებიათ, ტირილით მომიყვა თავისი გაჭირვების ამბავი საქართველოში - რუსთაველი უცხოვრია. ავად გახდომის გვეშიონდა ძალიანო, წამალს ვერ ვიყიდე და ექიმთან ვერ წავიდოდითო. უკანმოუხედავად გამოიქცა საქართველოდან, დაბრუნებას არ აპირებს. შეილები წამოიყვანა, ქმარი ჯერ ვერა. მისმა ბიჭმა, ასე 13-ოდე წლისამ, გაიგო რა, რომ ველოსიპედი მინდოდა ძალიან, ვერევე მათხოვა თავისი, მე კიდევ 3 მაქსო (ყველა მოპარული). ამ ქალისთვის დაურეკავს რუსთაველიან მეზობელს ამას წინათ და უთქვამს, შენი ქმარი დარდისაგან სასმელს მიეძალაო და თუ დროზე არ წაიყვანე, მალე მოგიკვდებაო. ქალი ცრემლებიანი თვალებით მეკითხებოდა, რა ვქნა, როგორ წამოვიყვანო, სახლგარეშე ვერ გადმოვა, ერთი საწვავი კაციო...

**15 მარტი**

ორი დღის წინ ერთმა ქართველმა ბიჭმა დამირეკა, სონის კომპიუტერი არ გინდა? შეგხვდითო. ძველი იყო საკმაოდ და არ ვიყიდე. ვთხოვე მოეყოლა თავისი ისტორია. ათი წელი ამერიკაში ვიცხოვრე, რაღაც დავაშავე და გამომაგდეს ამერიკიდან, დეპორტაცია გამოკეთესო (ცოცხალი თავით არ გაამხილა, რა დააშავა). 2 კვირის ჩამოსული ვარ ვენაში და აქ დიდხანს დარჩენას არ ვაპირებ, იტალიის გავლით ირლანდიაში მინდა წასვლაო...

**18 მარტი**

დღეს მეტროში ორ ქართველს შეხვდი, ბიჭსა და კაცს. ბიჭი 21 წლის იყო, ალგო გაგნიძე, ნახალგოკელი, ის კაცი არ ვიცი, ალბათ ორმოცამდე, სახელად დათო, ისიც თბილისელი და ცოლ-შვილიანი (ცოლ-შვილი თბილისში ჰყავს). საკმაოდ დიდხანს ვისაუბრეთ ჯერ ვაგონში და მერე განქრებაზე. ალგო მომიყვა, რომ არის ფრთიანი ანგელოზი და ტყუილად დაინაგრა ავსტრიაში. ახლა მთლად ანგელოზობა არ დაუბრალდება, ვაზვიადებ. თქვა, რომ ვეროპაში ცხოვრება უნდოდა და დაადო თავი და წამოვიდა საქართველოდან, ჩააღწია ჩეხეთში, ჩეხეთიდან გადმოვიდა ავსტრიაში, ჩაბარდა პოლიტიკურ (!) ლტოლვილად, გაამწესეს ტრასკირპენში (ლტოლვილების ბანაკი ვენასთან ახლოს), იქ რაღაც დააშავა, იქიდან გამოაგდეს, იმის მერე ვენაშია. ვენაში ერთ მალაზიაში ის და კიდევ ერთი ქართველი ბიჭი მაშინ შევიდნენ, როცა იმ მალაზიაში 2 სხვა ქართველი დაიჭირეს ქურდობისთვის, ჰოდა რომ გამოდიოდა მალაზიიდან, ამთავც კითხეს, ქართველები ხართ? და ამითმა კოო. ჰოდა წაიყვანეს ესენიც და ჩააყუდეს ვირის აბანოში, ცემეს და ყველა საბუთი ჩამოართვეს. წავედი

**ფურცლები დღიურიდან**

**ქალთვანი ემიგრანტების**

**ევროპული ოქლისა**

**პაი, სირსხვილო!**

წამოვედი, ტრამვაში ავედი. ვზივარ და რაღაცას ვფიქრობ ჩემთვის. ამ დროს უკნიდან ქართულად ლაპარაკი მესმის. სიტყვები ვერ გაგარჩიე, მაგრამ ინტონაცია და კილო აშკარად ქართულია, ქართული მეტყველების დამახასიათებელი. ჯერ ვიფიქრე, მეჩვენება-მეთქი, მაგრამ კიდევ გავიგონე, ამჯერად უკვე სიტყვებიც... გული ამომიგარდა კინაღამ, ისე გამიხარდა... ორი ბიჭი იჯდა ჩემს უკან, ჩემგან რამდენიმე ნაბიჯით მოშორებით და ქართულად საუბრობდნენ. ავედი, მივედი, წინა სკამზე დაჯექი და მივესალმე. გაეღიმათ, გაგიმარჯოსო. წინა ბიჭებისგან განსხვავებით საკმაოდ ინტელიგენტური გარეგნობა ჰქონდათ. რუსულ ექვლესიაში ვიყავით ჩვენცო... ჩეხეთიდან გერმანიაში გვიწოდოდა გადასვლა, ვერაფრით მოვახერხეთ და ბოლოს ავსტრიაში ვადმოვედით და ჩაგბარდით ხელი-სუფლებასო. მაინც გერმანიაში გვინდა წასვლა და ვცდილობთო, მაგრამ ჯერ არ გამოგვდისო. საქართველოში ჩვენიანი აღარავინ დარჩა, ყველა უცხოეთში წავიდაო... ტირილი მომიწია... ვენა როგორ მოგწონსო? ძალიან-მეთქი. ჰოდა, რა გინდა, უკან რომ მიდიხარ, შენც აქ დარჩიო. მე საქართველოში ქმარ-შვილი მგლოდობა-მეთქი. მერე ადექი და ჩამოიყვანე ისინიც აქეთო...

**ჩემი საწყალი**

**საქართველო...**

სადამოს ამხანაგებს (მაკედონიელ წყვილს) ქართული ფილმი "ფესვები" მოუყუვეო. მოუყუვეო, მაგრამ ვაი ასეთ მოყოლას. რაც მე ვიტყვი- მაგ ფილმის ნახვისას ხომ სულ ცრემლებად ვიდვრებო ხოლმე, განსაკუთრებით ბოლო სცენაზე: რომ ჩამოდის გადახვეწილი ქართველის შვილიშვილი (აწ განსვენებული ცხოვრებული ახალგაზრდა მსახიობი ლევან აბაშიძე) და სადგურზე მოულოდნელად მთელი სოფელი რომ

P.S. საკუთარი თავის გაფრთხილება - საფულეში მიღვეს და ყოველთვის თან დამაქვს უბრალო ფურცელი ზედ წაწერილი სიტყვებით: არასოდეს დაივიწყო საქართველო!

**1 მარტი**

გამოფენის შემდეგ ქუჩას გავეყუვე მეტროსკენ. შემხვედრი მიმართულებით ორი შავგერმანი ემარწვილი მიდიოდა, ერთი რაღაცას უყვებოდა მეორეს გაცხარებით. გვერდზე რომ ჩამიარეს, ყური მოგკარი საკუთარი თუ სხვისი დედის გინების შემცველ ფრაზას ქართულ ენაზე და იმ კილოზე, მე რომ "გლავობას" ვეძახი. ადგილზე გავეშეშდი, შემოვბრუნდი და დიდხანს გაყურებდი ბიჭებს - მათ ყურადღება არ მოუქცევიათ... უნდა ვადიარო, საკმაოდ არასასიამოვნო გამომეტყველება ჰქონდათ...

**3 მარტი**

დღეს დილაადრიან აეროპორტში წავედი. მატარებლით ჩემთან ერთად ორმა თბილისელმა ბიჭმა იმგზავრა, სომხები იყვნენ, ვიღაცას უნდა დახვედროდნენ თბილისიდან ჩამოსულს. ხან რუსულად ვლაპარაკობდი, ხან ქართულად, მშვენივრად იცოდნენ ორივე ენა. ერთად ცხოვრობენ ბანაკში, ვენის შორიასლოს ერთი ცოლ-შვილითაა აქ, 5 თვის ბავშვით, მეორე კი მარტო. ეს ცოლ-შვილიანი 6 თვე ჩეხეთში ყოფილა, იქ ჩაბარებია ხელისუფლებას, ბავშვიც იქ დაბადებულა, ბანაკში. 2 კვირაა აქ ვართო. ძალიან ნორმალურად ვცვთა და ნორმალურად მსჯელობდნენ. არაფერს არ ვაკეთებთო, არც კარგს და არც ცუდსო, ქურდობას არ დავიწყებთ ნამდვილად, გვირჩევენა მუშაობის უფლებას დაველოდოთ (ალბათ 6 თვის მერე მოგვცემენო) და პატიოსნად ვიმუშაოთო. ცხოვრებაში არ მომიპარავს და არ ვაპირებ ქურდობით ვიცხოვრო, ორივემ წინარი ხალხი ჩანდა, ადამიანუ-

მამაც რაღაც მაგდაგვარი თქვა, არ მასხოვს ზუსტად. იდგა ამაყად ყელმოღებულები და ვიღაც კაცებს ელოდა თბილისიდან. გაიფიქრე, მეშველა, წესიერი ადამიანი ვნახე ძლივს-მეთქი, და ვეკითხები, რას აკეთებ ვენაში-მეთქი. რას უნდა ვაკეთებდე, ვიპარავო, მითხრა ამაყად და გამიცინა. კერძო სასტუმროში ვცხოვრობო, ბანაკში რა მინდაო (!). პატიოსანი შრომის დედა ვატირე, დღეში 50 ევროს თუ ვიშოვი და არ მეყოფა (!), სამაგიეროდ ასე დღეში 150 ევრო მრჩებაო (!)...

სომხებმა მითხრეს შემდეგ, ვე ნამდვილად ნარკომანიაო, თორემ დღეში 50 ევრო როგორ არ ეყოფოდითო! არ მინდოდა დაჯერება...

მეორე ქართველი მოგვიახლოვდა მერე. და ორივემ შემომთავაზეს დახმარება, თუ რამე დაგჭირდეს იაფად, არ მოგერილოს, გაგვაგებინეთ (!)

რა ვთქვა მეტი, რა დავამატო... ბანაკში უამრავი ქართველია ჩვენთან და სამწუხაროდ მათი 90 % ქურდიაო, სომხებმა... მე არ ვიცი, თავს ვერ დავდებ სომხებზე, შეიძლება ისინიც ქურდები არიან (თუმცა არა მგონია რაღაც), მაგრამ დავმეს მაინც ეს ხელობა. ქართველებს კი თავი მოაქვთ!


**9 მარტი**

ძალიან დამწყდა გული მირიანზე. ვაი, სირცხვილო...

**9 მარტი**

დღეს დილას წავედი მექსიკო-სითიში, ესაა პატარა უბანი ებრაის პირას, სახეს ქართველი ებრაელებით, აი თამაზი რომ ცხოვრობს. წარმიდგინე, ქუჩაში უმეტესობა ქართულად ლაპარაკობს. ორი მოხუცი კაცი იქვე, მალაზიის წინ, ქართულად არჩევდა რომელიღაცეა შამპუნის თვისებებს და გულში გამეცინა, ვერაფრით ვერ წარმოვიდგინე იგივე კაცები თბილისში იგივე საუბრით გართულები. ვენასა და

კონსულთანო, ვუთხარი რამე საბუთი მაინც მომეცო, რომ საფრანგეთში გადავიდო. მოკლედ ალექო გამწარებულა ამ კონსულზე, ახლა რომ პოლიციამ დამიჭიროს, ციხეში გამიშვებენო და მერე არ ვიცი რას ვუზამ... საუბარში მერე კაცი ერთგება: - ბევრი რამე ვუთხარი. შვილო, ვეუბნები, რომ დაადე თავი და წამოხვედი ევროპაში საცხოვრებლად, ჯერ ეს გამაგებინე, შენს ოჯახს თუ უჭირს თბილისში მეთქი. არაო, 2 თვეა აქეთ ვარ და ამ ორ თვეში შვილასი დოლარი აქეთ გამომიგზავნესო (!). აბა ადამიანო, ეს 21 წლის ბიჭი, განათლება შენ არა გაქვს, ენა შენ არ იცი, რა უნდა აკეთო, უმაღლესი მაინც დაგემთავრებინა (იურიდიულის მეოთხე კურსიდან წამოვედი) და ისე წამოსულიყავი, ცოტა გეფიქრა მაინც-მეთქი. რას აკეთებ-მეთქი, რას უნდა ვაკეთებდე, ვკურდობო.



ბები აქეთო. 16 წლის გოგონა ჰყავდათ, სოფიკო გიორგაძე. ვითხე, არ გწყდება გული, შენი ქვეყანა რომ დატოვე და წამოხვედი-მეთქი? მეგობრებზე მწყდება გული, მეტი არაფერზე. არაფერზე არ წყდებოდა გული მის საკმაოდ ხნიერ დედ-მამასაც - ბიზნესი გექონდა აწვობილი საქართველოში და ჩაგვივარდაო, ჰოდა იძულებული გავხდიო სხვაგან გვეძებნა საარსებო სახსარიო. წავალთ, ვნახეთ, თუ არ მოგვეწონება - დაგებრუნდებითო. დაბრუნდებიან კი?!

**28 მარტი**  
დილას ამსტერდამში ჩამოვედი. ჯერ კიდევ რკინიგზის სადგურში ვიყავი და ბილეთს ვიღებდი როტერდამისკენ, რომ გვერდით სადღაროსთან რიგში ორი ქართველი ქალბატონი დაეინახე. ისე პეწიანად ეცვათ, ვიფიქრე, ესენი ნამდვილად მდიდარი ბიზნესმენების ცოლები ან რაღაც მაგდაგვარები არიან-მეთქი. არაფერიც - ლტოლვილები აღმოჩნდნენ!!! აუღიათ შენგენის ვიზა, გადაფრენიდან თურქეთში, იქიდან - ამსტერდამში, ჰოდა იდგნენ ახლა და თვითონ არ იცოდნენ რა ექნათ. რა ბილეთი გინდათ-მეთქი და - ჩვენ თვითონ არ ვიცითო. არავინ არ გვევს ჰოლანდიისაშიო. აბა რას მოდიოდით აქეთ-მეთქი? უბრალოდ ვიცით, რომ ჰოლანდია საცხოვრებლად კარგი ქვეყანაა, და ვიფიქრეთ აქ წამოსვლა... საფრანგეთში აღმოჩნდა ერთ-ერთს მეზობელი, 5 წლის წინათ წასულა და დარჩენილა, ჰოდა იმასთან გვიჩინა დარეკვა და საფრანგეთში როგორ დავერეთო აქედან, არ ვიცითო!!! არც რომელიმე უცხო ენა იცოდნენ. დაეურეკე საფრანგეთში, ელაპარაკენ იქ ცხოვრებ ქართველ ქალს, მანაც უთხრა აქ ჩამოდიო, ჰოდა მადლობის მოხდით დამეშვიდობნენ და წავიდნენ საფრანგეთის ბილეთის ასაღებად... ასე ალაღბულზე დახეტიალობდა ორი დარბაისელი ქართველი ქალბატონი ევროპაში... ნეტა რა ბედი ეწიათ? ვინ იცის...

**17 აპრილი**  
დღეს სადამოს მეტროში 2 ქართველი ბიჭი შეგხვდა, მაგარი გათიშულები იყვნენ, მოწეულები არიან აშკარად, ჩემმა ამხანაგმა თქვა, ველაპარაკე ჩეხეთიდან გადმოვედი 2 კვირააო. დღეს ვენაში ერთი ქართველი კაცის ხსოვნისა დავლიეთ, რამდენიმე დღის წინ მშენებლობაზე გული გაუსკდა და ადგილზე გარდაიცვალაო. ძლივს გადავასვენეთ საქართველოშიო. 45 წლისა იყო...

**20 აპრილი**  
თიკო მესტუმრა გერმანიიდან.

ქართველების უბანში გავიარეთ. ორი ბიჭია წინ, თვალებს აცეცებენ, და ერთი გერმანულად გვეუბნება, იყიდეთ მობილური, იაფად მოგცემთო, 30 ევროდო. ქართველი ხარ-მეთქი? ქართულად ვითხე, და ქართულადვე მიპასუხა, კოო. თან რაღაცნაირად გაიდრიჭა, აი უტიფარი დიმილი რომ ქვია, ისე თიკომ თქვა, მოერიდა ჩვენიო, ქართველები რომ აღმოვჩნდითო, მე კი რა ვიცი, არ გამჩენია ვგ გრძობა, რომ ჩვენი მოერიდა და იმიტომ მიიღო ისეთი სახე... ვაი საწყალო საქართველო...

ველოსიპედი დაგებრუნე მის მფლობელს, და დაუჯერებელი ამბავიც გავიგე: თურმე თამაზ ბოლქვაძე დაუჭერიათ, ქურდი ყოფილა და ჩავარდნილა. არანარი ფეხბურთის მწვრთნელი არ ყოფილა, და არც ბოლქვაძე ყოფილა მისი ნამდვილი გვარი, ჰოდა გამოუხსრეკიათ სინამდვილე (აღრე ნასამართლევი ყოფილა) და დაუჭერიათ კიდევ. რას ვიფიქრებდი, რომ ეს პეწიანი ქართველი კაცი, თავი რომ მოჰქონდა, ვეგლას ვაპატრონობო, თვითონ ქურდი აღმოჩნდებოდა...

აი სულ ესაა, რაც ევროპაში ვნახე. გამოვიტყდებით, ძალიან დამეწვა გული. ამბობენ, გერმანიაში ყველაზე ხელიდან წასული ლტოლვილები ქართველები არიანო. არც ჰოლანდიაშია უკეთესი მდგომარეობა თურმე. ვენაში ხომ ისე აქეთ სახელი გატეხილი, მეტი არ შეიძლება. ჰო, მართლა, კიდევ ერთი: ერთ ქართველ კაცთან ვიყავი სტუმრად ვენის ცენტრში ერთ-ერთ საერთაშორისო ორგანიზაციაში და მითხრა, გვერდზე ციხეა და იქიდან სადამოებით ქართველების გადაძახილ-გადმოძახილი მესმისო...

ვაი, სირცხვილო...

**ლელა მანაბაძე**  
P.S. ეს ჩემი შარშანდელი დღიურის ნაწყვეტებია. სამწუხაროდ, სიტუაცია მას შემდეგ უკეთესობისაკენ არ შეცვლილა. ახლახანს კიდევ ერთხელ ვიყავი ვენაში და „ბუნდნიურება“ მქონდა შევსწრებოდი, თუ როგორ ასწავლიდა ქუჩაში ერთი ქართველი ბიჭი მფორეს ნაჭურდალი საქონლის საიმედოდ შენახვას...



ერთი საიდუმლო, მიფრანი მონერილობა, რომლითაც მზარის უფროსს ვეალებოდა თვალყური ედევნებინა ილია ჭავჭავაძისათვის და სათანადო ცნობები ეგზავნა გუბერნატორისა და ყანდარმთა სამმართველოსათვის... დიდ ილიას კარგად ვიცნობდი, დიდად ვაფასებდი მას და დროგამომშვებით ვშველოდი კიდევაც ამ საამაყო ქართველს. დუქეთში, ჩემს კაზინოში ყოფნის დროს, შემატყობინეს: ილია ჭავჭავაძე მოკლეს ნინამურშიო. თავბარდაცემული დავჯექი ცხენზე და რაზმის თანხლებით ელვის სისწრაფით მივიქერ მკვლელობის ადგილას. ვხედავ, მარაგზაზე ასვენია ტყვიით განგმირული ილია, იქვე მოკლულია მისი მზარეული; ილიას მეუღლე - ოლღა სახედაჩქიკილი და თავგატეხილი უგრძობობად გდია მინაზე. ალყა შემოვარტყი ტყეს. ბოროტმოქმედთა აღმოსაჩენად აქეთ-იქით დავგზავნე ჩემი მსვლელები. მიცვალეული და ილიას მეუღლე ურემზე მოვათავსეთ და საგურამოსკენ გავნიეთ... კაში ფუსფუსებდა, ნუხდა, თავს იკლავდა, - ეს რა უბედურება მოხდაო? ჩემმა კაცებმა უცხო ვერავინ ნახეს იმ არემარემი. ილიას მეუღლე ამბობდა: თავდასხმელები თეთრ ხალათებში იყვნენ, სამხედრო პირებს ჰგავდნენო.

ილიას მეუღლისათვის პირველი დახმარების აღმოჩენისა და მიცვალეულის სახლში დასვენების შემდეგ შევედი სოფლის კანცელარიაში, დავიბარე სხვადასხვა პირები, დაკითხვა დავიწყე. ჩემმა „ურადენიკმა“ მითხრა: ერთი მოხუცებული კაცია ვილაღ და მითხრეს მოგასულიყო, რომ თქვენი ნახვა უნდაო.

- შემოიყვანეთ! - ვუპასუხე მე. შემოვიდა, ასე, 65-70 წლის მოხუცი.

- რა გინდათ? - შევეკითხე. ეცუბოდა, მოხუცს არ უნდოდა ელაპარაკა სხვისი თანდასწრებით. მდივანი დავითხოვე ოთახიდან.

- ბატონო, - დაიწყო მან, - თქვენ, მგონი, ილიას მკვლელებს ეძებთ! გეტყვით, ოღონდ, თუ გამცემთ, გადამწავან, ცოლ-შვილს ამინიკებენ.

- პირობა მივეცი, არ გამეთქვა, - დასძინა ფაღავამ, - სინდისს ვფიცავ, პირობა შევესრულე, თუმცა 1907 წელს სასამართლოში ძალიან დამჭირდა მისი დასახლება; მიცემული სიტყვის გამო თავი შევიკავე მისი სახელისა და გვარის ხსენებისაგან, ამ საიდუმლოს ახლა ვაძხვლ მხოლოდ...

- მოხუცმა მითხრა, - განაგრძო ფაღავამ, - ჯამმა მოამწყო ეს საზიზღარი საქმე. ილიას მკვლელები არიან ყაჩაღი გიგოლა ბერბიჭაშვილი, ილიას მელორე ნიზანიძე-ლი, ნამამასახლარი ივანიშვილი და აფციურიო. მადლობა ვუთხარი და გავისტუმრე მოხუცი. რამდენიმე კაცი ისე დავეკითხე - თვალის ასახვევად და გზის ასახვევად, თორემ მე უკვე ვიცოდი იმ პაკიოსანი კაცის მეოხებით ნამდვილი მკვლელების სახელები და გვარები... ჯამი დავაპატიმრე. სამ თვეს ვანარმოებდი გამოძიებას დუქეთში. დავამთავრე გამოძიება და საქმეები პაკიმრებთან ერთად გადმოვგზავნე თბილისში.

აქვე უნდა ვთქვა, რომ ბერბიჭაშვილის ძებნას გადავწყვი. ას მანეთზე მეტი სხვადასხვა აგენტებს მივეცი. მეტყობდნენ, ამა თუ



იმ ცხვარში იმალებო. მივიდოდი, ვერ ვნახულობდი...

ბრალდებულ ბერბიჭაშვილო, თუ გაქვთ რაიმე შეკითხვა მონზე ფაღავას მიმართ? - დაარღვია ცოტაოდენი ჰაუზა თავმჯდომარემ.

- არა მაქვს! - არხინად უპასუხა ბერბიჭაშვილმა.

რამდენიმე მონზე დაკითხეს კიდევ. ყველამ აჩვენა, რომ ბერბიჭაშვილი იყო ბინძური ადამიანი, ქურდბაცავა, მძარცველი, აგენტო...

სასამართლოს რვა სხდომაზე ბევრი რამ ითქვა, საქმის ბევრი დეტალი გამოიჩინა. გამოქვეყნდა სხვადასხვა საინტერესო საბუთი, ცნობა იმის დასამტკიცებლად, რომ ი. ჭავჭავაძე სამიმი კაცი იყო თვითმპყრობელობისათვის და მისი „თავიდან მოცილება უნდა და მეფის ყანდარმერიას. არაერთხელ მიუწერიათ ყანდარმერიებსა და ცენზორებს ჰეტერუგისათვის, რომ ილია ჭავჭავაძე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერია საქართველოში, მის ბინაზე საუკუო და სამიმი პირები იკრიბებიან, რომ ილია ჭავჭავაძე ცდილობს შეაპაროს ცენზორებს მთავრობის საზინააღმდეგო წერილებით და სხვა.

ილია ჭავჭავაძის მკვლელობა ყანდარმერიის აგენტებმა რომ მოახყეს და ყანდარმერიამ რომ იცოდა - სად და რომელ საათზე მოკლავდნენ ილიას - იქიდან ჩანს, რომ დანაშაულის დღესა და საათზე დეპუტა გაიგზავნა ჰეტერბურგში ილიას მოკვლის შესახებ, თუმცა დეპუტის გაგზავნის ნუთებში ილია ჯერ კიდევ მოკლული არ იყო...

ნათელი გახდა ისიც, რომ ყანდარმერიამ მოახერხა ისე მოეკლა ილია, რომ მისი მკვლელობა სოციალ-დემოკრატიული პარტიისათვის დაეხრალენინა. ამ მიზნით ჩაითრიეს საზიზღარ საქმეებში ბრძენი: ხიზანიშვილი და აფციური...

... მონზე ფაღავამ განაგრძო:

- ... 1907 წელს სასამართლოს სკამზე იჯდა მხოლოდ ორი მკვლეული (ხიზანიშვილი და აფციური); მკვლელობის ორგანიზატორი და სულის ჩამდგმელი ჯამი აშკარად „გამოძვრა“. ნამამასახლისარ ივანიშვილს, დაკითხვის შემდეგ ციხეში რომ მიჰყავდათ, უთხარი - გაიქეცი, მკვლელები თოფს არ გესვრიანო. გაიქეცა, ესროლეს, მოკლეს. მესამე აგენტს, რომლის ტყვიითაც მოკვდა ილია - გ. ბერბიჭაშვილს - ხელს არ უშლიდნენ დამალულიყო... დახვრიტეს ბრმა იარაღები - ხიზანიშვილი და აფციური.

პროკურორმა მიწასთან გაასწორა ნაძირალა ბერბიჭაშვილი: ილიას საფლავზე ვარდი და იანი ამოვლენ... მაშინ და ბულბულნი აჭიკიკილებიან, ხოლო ბერბიჭაშვილის საფლავს ნაკავი დაფარავს და ჭიადლები დაესვეიანო - თქვა მან.

სასამართლოს დადგენილებით, ბრალდებული გიორგი ჰეტრეს ძე ბერბიჭაშვილი ცნობილი იქნა დამნაშავედ და მიესაჯა სასჯელის მიხედვით. მეტყობდნენ, ამა თუ



ჯერ კიდევ თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტმა ლეილა აბაშიძემ შესანიშნავად გაართვა თავი რთულ და სახასიათო როლს. ამ დროისათვის მას უკვე ნათამაშევი ჰქონდა „ქაჩანასა“ და „აკაკის აკვანში“. მასთან ერთად კინოში პირველი ნაბიჯები გადადგეს რამაზ ჩხიკვაძემ და დოდო აბაშიძემაც. ფილმის წარმატება მსახიობების შერჩევამაც განაპირობა. ამერიკულმა პრესამ იმ პერიოდში ლეილა აბაშიძეში მერი პიკფორდი შეიცნო. ლეილამ ცელქი, ჯიუტი, თავნება და ბებებისაგან განებივრებული გოგონას ხასიათი ბრწყინვალედ გადმოსცა ეკრანზე. იგი ჰრიტინას შემდეგ უაღრესად პოპულარული გახდა როგორც საბჭოთა კავშირში, ასევე საზღვარგარეთაც.

„ჰრიტინა“ დაუვიწყარი კომედიაა. მისი ცქერა ადამიანს ხალისს და დადებით ემოციებს მატებს. სამწუხაროდ, სიკო დოლიძეს აღარ მოუწია ამ უანრში მუშაობა. მისი ფილმები ყველას ახსოვს: „ფატიმა“, „შეხვედრა წარსულთან“ და ა.შ.

ფილმის ოპერატორი დავით კანდელაკი გახლავთ. კომპოზიტორმა სულხან ცინცაძემ მშვენიერი მელოდია დაწერა, რომელსაც მერი ნაკაშიძე ასრულებს. ვინაიდან ქალბატონმა ლეილა აბაშიძემ უარი განაცხადა ინტერვიუზე, ვესაუბრეთ არანაკლებ დასამახსოვრებელ გმირს ფილმიდან - ცქრილას, რომელსაც მედეა ჩახავა შესანიშნავად თამაშობს და რეჟისორ ქეთი დოლიძეს, სიკო დოლიძის ქალიშვილს. ფილმებში.

**ქეთი დოლიძე:**  
- ლეილა აბაშიძე თეატრალური ინსტიტუტში იპოვეს, პირველი კურსის სტუდენტი იყო. მიუხედავად იმისა, რომ უკვე გადაღებული იყო „ქაჩანასა“ და „აკაკის აკვანში“, სადაც ეპიზოდური, მაგრამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, ვფიქრობ, რომ იგი სწორედ „ჰრიტინაში“ დაიბადა. ფილმის გამოსვლის შემდეგ უცხოეთის პრესაში მასზე წერდნენ, რომ ეს ქართველი მერი პიკფორდი იყო. ამ ფილმში თავმოყრილია მთელი ანსამბლი ქართველი მსახიობებისა. სხვათა შორის, მასში გადაღებული ვართ მე და ჩემი ბიძაშვილი თამრიკო დოლიძე, ძმები არველაძეების დედაც ერთ-ერთ ეპიზოდში. გახსოვთ ალბათ, ბატარა გოგონები რომ მიუსხდებოდა ჰრიტინას გვერდით, მიჩურინის ვაშლით, რომ იძა-

# „ჰრიტინა“ მედეა ჩახავის დიდი ცკრილი იყო!

1953 წელს კინორეჟისორი სიკო დოლიძე მარიკა ბარათაშვილისა და ლერი ხოტივარის სცენარ „ჰრიტინას“ გადაღებას შეუდგა. ამ პერიოდში მას მეუღლე ახალი გარდაცვლილი ჰყავდა. ფილმზე მუშაობა კი დეპრესიიდან გამოსვლაში დაეხმარა. მარიკა ბარათაშვილმა „ჰრიტინა“ მშვენიერი ქალბატონის, მედეა ჩახავისთვის დაწერა. ეს ითამაშა კიდევ ქალბატონმა მედეამ მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე გიგა ლორთქიფანიძის სპექტაკლში, კინოში კი იგი ლეილა აბაშიძემ შეცვალა.



ბიან, ის გოგონები ჩვენ ვართ. ყველაზე საინტერესო ალბათ ის იყო, რომ რამდენჯერაც მოგვეცეს ვაშლი, იმდენჯერ შეგვპატივობდა. გადაირია მამაჩემი, მოტანას ვერ ასწრებდნენ, რომ გვამდით და გადაღების დროს აღარ გვქონდა. მშვივრები ვიყავით და შემოგვეჭებოდა ხოლმე. მე დათამრიკო უგონოდ ვიყავით შეუვარებულნი ლეილაზე, მაგრამ ჰყუას ვკარგავდით რამაზ ჩხიკვაძეზე. ვობრავდი და კენსოდი ისე მიყვარდა. მამას ვთხოვდი ხოლმე, წამიყვანე რამაზი ბიძისთან-მეთქი. მქონდა მისი ურიცხვი სურათები წარწერებით.

გადაღებზე გურიში მეც ვახლდი მამას და ეს ჩემთვის დიდი ბედნიერება იყო. მამა საერთოდ არც ერთი წუთით მიცილებდა. რამაზს შუაზე გადაჭრილი ჰქონდა ერთი დიდი საერთო რგული და ზემოდან ჯვარი ჰქონდა დასმული. მეცივნეობდა ხოლმე ამაზე. მაშინ პარალელურად რამაზი თუმანიშვილის სპექტაკლ „ესპანელ მღვდელში“ თამაშობდა. თავისუფალ დროს სწავლობდა ხოლმე როლს, ხელიდან არ უშვებდა, სულ თან დაჰქონდა. მქონდა ძალიან ხალისიანი, სასიამოვნო, დაუვიწყარი დღეები. ეს ის პერიოდი იყო, რომ მედეა ჩახავას მაკა ახალი გაჩენილი ჰყავდა. ამიტომ ცოტა პუტკუნა იყო და ამას განიცდიდა, რადგან ფორმაში ვერ იყო.

50-იანი წლების დასაწყისში ქართული კინო პრაქტიკულად გაჩერდა. არავინ იღებდა ფილმებს და ეს იმ ადამიანების სინდისზე იყო, ვინც ისე გააკეთა, რომ მამაჩემის, პიპინაშვილის, რონდელის და ხოტივარისნაირი რეჟისორები ვერაფერს იღებდნენ 7-8 წლის განმავლობაში. ჩადიოდნენ მოსკოვში, სცენარი იდო, იდო, მერე თავისებურად გადააკეთებდნენ. ჩამოდიოდნენ რეჟისორები და მაინც არაფერი. მერე რომ წამოვიხარდე, მიგხვდი, რომ „ჰრიტინა“ მამაჩემის გადარჩენა იყო, რადგან ხოტივარს არაფერი გამოსდიოდა. 1952 წელს დედაჩემი გარდაიცვალა, მაშინ როცა ხუთი წლის ვიყავი. მამამ ძალიან განიცადა ეს ამბავი. თითქმის ერთი წელი სახლიდან არ გამოსულა. იჯდა სავარძელში, ოთახში ჩაკეტილი და ცრემლიანი თვალებით უყურებდა დედაჩემის უხარმაზარ პორტრეტს. ახლა იმ ოთახში მამას პატარა მუზეუმი მაქვს მოწყობილი. აი, ამ მდგომარეობიდან მამა სწორედ „ჰრიტინამ“ გამოიყვანა. გადაღებები 1953 წელს დაიწყო და დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში იყო წარმოებაში. ფილმს რაღაც არანორმალური წარმატება ჰქონდა. ამას წარმატებაც არ ჰქვია, იგი იყიდეს აღმოსავლური და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. უხარმაზარი თანხა შევიდა

მოსკოვში, ცენტრალურ ბიუჯეტში.

**მედეა ჩახავა:**  
- ყოველთვის ძნელი იყო კინოში იმ მსახიობების თამაში, რომლებიც ამავდროულად თეატრშიც იყვნენ დაკავებულნი. თუმცა ჩემი გამოცდილება დიდ გამოდინარე, შემოძლია ვთქვა, რომ მსახიობისათვის დიდი ბედნიერებაა კინოში თამაში. ისევე, როგორც თეატრს, კინოსაც თავის ღირსებები აქვს და, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ეს არის პოპულარობა, ეკრანი ხომ სრული გარანტიანა პოპულარობისათვის.

ფილმის გადაღების დროს ძალიან კარგ კოლექტივში მოვხვდი. ჩემ გვერდით იყვნენ უსაყვარლესი ადამიანები. დასაწყისში ბათუმში ვიყავით. იქ შემატყობინეს, რუსთაველის თეატრი დაიწვია. ხუმრობად ჩავთვალე. მერე რომ გავიგე, სიმართლე იყო, ისტერიკა დამემართა, ვერ მოვისვენე. იმ საღამოს ამიღეს ბილეთი მატარებელზე და გამომიშვეს. რამდენიმე დღის შემდეგ კი გადაღებებზე დავბრუნდი. ვცდილობდი მოვრგებოდი იმ როლს, რომელიც შემომთავაზეს. საერთოდ, ხდება ხოლმე, რომ მსახიობს არ მოსწონს შეთავაზებული როლი და სხვა როლს ადებს ხელს. არასოდეს მომდომებია ის, რასაც რეჟისორი ჩემში ვერ ხედავდა. მაგალითად, „ნინოში“ ეს თავის-



დაუნებურად მოხდა. თავდაპირველად ექთნის როლში გამოსინჯეს და ვიცოდი, რომ ბოლომდე ეს როლი უნდა მეთამაშა. მერე მითხრეს, რომ მთავარ როლზე ვიყავი დამტკიცებული. „ჰრიტინას“ გადაღების დროს ზაფხულის წვიმას ზამთარში ვიღებდით. თეატრი არ მიშვებდა გადაღებებზე - გაცივდებოდა. ჩემს გამო შეეშლებოდა მათ. გახსოვთ ალბათ ჩემი და დოდოს ეპიზოდი, ქოლგით რომ ვდგავარ აივანზე და ვკისკისებ. ეს გადაღებულია ძველი კინოსტუდიის ძველ პავილიონში. დაგვირდნენ, რომ თბილ წყალს გამოუშვებდნენ. ერთი დუბლი არ იყო საკმარისი ამ ეპიზოდისათვის. მეორე დუბლისათვის დასველებული ტანსაცმელი უთოთი უნდა გაგვეშრო. სპირტით მხელდნენ, რომ არ გავცივებულიყავი. მოგეხსენებათ, დოდო ჩანიანი კაცი იყო და, თუ რამე მოერეოდა, არც თვითონ და არც არვის ეგონა. დამინახა ერთი-ორჯერ, რომ მხელდნენ და ჰკითხა, რითი ზელთო. ასე უნდა, მომეცით აქ, მე გაჩვენებთ, როგორ არის საჭიროო და გადაჭკრა. ეს ისე დამაჩერებლად თქვა, გვეგონა, ახლა რაღაცას ისეთს იტყვის განსაკუთრებულსო. მერე თქვა, იფრა კარგი იყო, როგორ შემერგო, ახლა კარგ ხასიათზე დავექვი.

„ჰრიტინა“ 50 წლის წინანდელი ფილმია. ძალიან მიყვარდა ეს როლი და გატაცებით ვმუშაობდი. მიხდა, ერთი-ორი სიტყვა ვთქვა რეჟისორზეც. სიკო დოლიძე ძალიან რბილი და თბილი ადამიანი იყო. ეტრფოდა მსახიობს, თვითონ წერდა სცენარებს და იცოდა, რომელი მსახიობს უნდა აემტყვევებინა მისი ნაოცნებარი. ჰრიტინას როლში მედეა ჩახავარიც უნდა გადაღებულიყო, იგი წარმოუდგენლად კარგი იყო ამ როლისათვის. მაშინ ფეხმძიმედ იყო ლაშაზე და უკვე ეტყობოდა მუცელი, თითქოს ერიდებოდა ხოლმე გამოჩენის. ჩვენ ბოლო წლები ერთად გავატარეთ ლიკანში და იქაც ახსენებოდა ეს ფილმი, რომ მისი უსაყვარლესი როლი კინოში ვერ ითამაშა.

... „მზე შემოდგომისა“ და „სანამ წვიმა გადაივლიდეს“... ქალბატონი მედეა ამით შემორჩა ქართულ კინოს. აღარაფერს ვამბობთ განუმეორებელ „ქეთო და კოტეზე“.

მაგრამ წარმოიდგინეთ, თუ როგორი ინებოდა იგი ჰრიტინას როლში?

მკა პატარაია

კაზინოების ქალაქს „ლას ვეგას“ რას არ ეძახდნენ - ყვითელი ეშმაკის, ცოდვის, ყველაზე ძვირფასი ტანსაცმლის ქალაქს. ეს ის ქალაქია, სადაც მხოლოდ აგებენ და ბავშვები ამ ქალაქში არ ცხოვრობენ. ლას ვეგასის ბიოგრაფიაში არაფერია ნათქვამი იმაზე, რომ მის დაარსებაში დიდი წვლილი მიუძღვის „ლოს-ანჯელესელ“ მაფიოზს, ბარნი ზოგელს. სწორედ მან იწინასწარმეტყველა, რომ ქალაქი აზარტული თამაშების მსოფლიო ცენტრი გახდებოდა. ერთი კაზინო შეისყიდა, გადააკეთა და საყვარელი ქალის, ჰოლივუდის ვარსკვლავის, ვირჯინია ჰილის პატრისადაც გადასცემს „ფლამინგო“ დაარქვა.

კაზინოს გახსნის დღე, 1946 წლის 26 დეკემბერი, ქალაქის არაოფიციალური დაბადების დღეა.

ესპანელი ვაჭრები 1700-იან წლებში უკვე დადიოდნენ ღოს ანჯელესში. გზად დიდი უდაბნო უნდა გადაეკვეთათ. მის გავლას ხიკვილი მოგზაურობას ეძახდნენ. რთულ რივიერა პირველი ევროპელი იყო, რომელმაც ამ უდაბნოში მშენებელი ველი აღმოაჩინა. ეს იყო დაუსახლებელი, ბალახით დაფარული ადგილი. მას ლას ვეგასი. ესპანურად - მდელი. დაარქვეს.

1844 წელს ლას ვეგასზე სახელგანთქმულმა კაპიტანმა ჯონ ფრემონტმა დაწერა: იქამდე ქალაქის შესახებ. ესპანელი მოგზაურების, ადგილობრივი ინდიელების და მიხონერების გარდა, არავინ არაფერი იცოდა. 1855 წელს ლას ვეგასში დასახლებულად 30 მორმონი გააგზავნეს. იქ ჩახულმა მორმონებმა ეს ადგილი შემდგომად აღწერეს: „წყნარი, ბალახით დაფარული ადგილი ველურ უდაბნოში“. ეს არანდრეული პირველი დასახლება იყო იმ რეგიონში. მორმონებს დაავალეს ინდიელებისათვის მიწის დამუშავება ესწავლებინათ. იქ მცხოვრებმა პაიუტის ტომის ინდიელებმა ამაზე უარი განაცხადეს. ისინი დასახლებას დროდადრო თავს ესხმოდნენ და აწიოკებდნენ. ხალხი თავს მშვიდად ვერ გრძობდა და თანდათანობით ლას ვეგასი ისევ უკაცრიელი გახდა.

მეცხრამეტე საუკუნეში ძვირფასი ლითონების საბადოები აღმოაჩინეს და ხალხი იქითკენ დაიძრა. საუკუნის დასაწყისში იქ იყო სადგური, რამდენიმე სახლი, სალონი და საროკიპო. სულ მალე ლას ვეგასში რკინიგზა გაიყვანეს. ხალხმა მიწის დამუშავება დაიწყო. რკინიგზამ ქალაქი სამხრეთ კალიფორნიასთან, მორმონების დედაქალაქს სოლტ ლეიკ სიტისთან შეაერთა. ამ უდაბნოში წყალიც ბევრი იყო და მიწაც ნაყოფიერი აღმოჩნდა. ქალაქი ნევადის შტატის შემადგენლობაში შევიდა.

მეორე საუკუნის დასაწყისში რამდენიმე მოვლენა მოხდა, რომელმაც ამ ადგილების ბედი განსაზღვრა. 1931 წელს ნევადის შტატში აზარტული თამაშების ბიზნესი კანონიერი გახდა. ორ თვეში ქალაქს ექვსი კაზინოს ლიცენზია მიხცეს. ამავე შტატში შემოიღეს მთელ ამერიკაში ყველაზე ლიბერალური გაყრის კანონი. განქორწინების ცნობის მიღება მხოლოდ ექვსი თვე სჭირდებოდა. გაყრის მსურველები ქალაქში ჩადიოდნენ. ექვსი თვე სასტუმროში ცხოვრობდნენ და ცნობის მიღების შემდეგ უკან ბრუნდებოდნენ.

მორმონების ჩასვლიდან 100 წლის შემდეგ ლას ვეგასში მათი ბარნი ზოგელი ჩავიდა. ამბობენ, რომ იგი მაშინვე მიხვდა, როგორი ხარფიანი საქმის წამოწყება შეიძლებოდა და მუშაობა დაიწყო.

**ბარნი ზოგელი „ჰილტონ ფლამინგოს“ შექმნის**

ბარნის ულამაზესი ვირჯინია უყვარდა. სიარულის განსაკუთრებული მანერის გამო მას ფლამინგოს ეძახდნენ. ბარნიმაც გადაწყვიტა, კაზინოსთვის ეს სახელი დაერქვა. კაზინოს მშენებლობას ვირჯინია ხელმძღვანელობდა. მისი აშენება წინასწარ განსაზღვრული 1.5 მლნ დოლარის ნაცვლად 6 მლნ დაჯდა. ვირჯინიამ ნახევარი ფული ბარნიზაგან მოიპარა. ბარნიმ შუა უდაბნოში აშენებული ქალაქის კაზინოში ზალხის მისაზიდად ქურნალისტები მოიხიდა. მათ სენსაციური ისტორიების თხრობა დაიწყეს იმ უბრალო ამერიკელებზე, რომლებიც პირველად შევიდნენ კაზინოში და ნახევარ საათში გამდიდრდნენ. ზოგი იმასაც ამბობს, შესაძლოა ეს შეთხზული ისტორიები სულაც არ იყო, რადგან ბევრი ახალბედა მხოლოდ ცნობისმოყვარეობის გამო შედის კაზინოში, ცოტა ფულს დებს, მოიგებს და თამაშს აღარ აგრძელებს. მოგებული თანხით უკანვე მიდის. სასტუმროს ახაშენებლად ფულის მოპარვა ზიგელს პარტნიორებმა არ აპატიეს. ამ საქმეში სრულიად უდანაშაულო ბარნი ლუჩანოს კლანმა „ფლამინგოს“ გახსნიდან ორ თვეში ღოს ანჯელესში, საკუთარ სახლში მოკლა. კაზინო „ჰილტონ ფლამინგო“ დღესაც დგას ლას ვეგასში და არსებობის მანძილზე 1.100 მილიარდის მოგება აქვს მოტანილი.

**ჯალონური სხლი**

„კაზინო“ იტალიური სიტყვაა და ჯადოხნურ სახლს ნიშნავს. იქ მართლაც არარეალური, იდუმალი გარემოა. ლას ვეგასისა და ატლანტიკ სიტის აშენებისას მოთამაშეების გარემომცველი სამყაროსაგან გამოთიშვა გადაწყვიტეს და კაზინოში საათები აკრძალეს. ეს დაუწერელი კანონი მხოლოდ 2000 წელს დაარღვიეს. ატლანტიკ სიტის ერთ კაზინოში უზარმაზარი საათი დგას. მაგრამ სხვაგან მას ვერხად ნახავთ. ბარნი ზიგელის დროს ქალაქში სულ 9 ათასი ადამიანი თუ ცხოვრობდა. იგი ძალზე იზოლირებული იყო. მაგრამ ცხოვრების მაღალმა სტანდარტებმა იდეალურ ადგილად აქცია. განსაკუთრებული მდებარეობის გამო კი იქ აშშ-ის რამდენიმე სამხედრო ბაზა დაარსეს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაშენებულმა უძვირფასესმა კაზინოებმა და სასტუმროებმა ლას ვეგასი მსოფლიოს ყველაზე ცნობილ ქალაქად აქცია. ვარაუდობენ, რომ 2005 წლიდან მოსახლეობის რაოდენობა 5 მილიონს გადააჭარბებს.

კაზინოებისაგან ლას ვეგასი მსოფლიოს სხვა ქალაქებისაგან იხილ გამოარჩევს, რომ იქ ათი



# ლას ვეგასი კაზინოში თაბაში ეკრძალებათ

ათასი ტაბრია, რომელთაც ჯგერისწერისათვის იყენებენ. ჯგერის დაწერა ქალაქში ჩასვლიდან 48 საათის შემდეგ ნებონსიძე მსურველს შეუძლია. ახალი ათასწლეულის დადგომამდე ქალაქის მმართველობამ მთელ მსოფლიოში ყველა შეყვარებულს მოუწოდებდა, ახალ საუკუნესა და ათას წლეულში ლას ვეგასში დაეწერათ ჯგერი. ასეც მოხდა. დაახლოებით 50 ათასი მსურველი ჩავიდა.

ქალაქს უზარმაზარი აეროპორტი „მაკკერონი“ ემსახურება, მასში სათამაშო ავტომატები დგას. დამის ლას ვეგასი ათას ფერად განათებულია. მას ასლები ქალაქსაც ეძახიან. რადგან იქ მსოფლიოს თითქმის ყველა ცნობილი შენობის ასლი დგას - პირამიდის, ეიფელის კოშკის, ხინური სახლის და ა.შ. როგორც კაზინოებს ისე სასტუმროებს კონკურენციის მკაცრი პირობებში უხდებოდა არსებობა და, როგორც წესი, ისინი ოთხ წელიწადში ერთხელ აახლებენ ავეჯს, ზალიჩებს, ყველა ნივთს ყრიან და ანადგურებენ. მსოფლიოს ყველაზე დიდი სასტუმრო - 5 ათას ნომრისანი „ემჯიემ“- ლას ვეგასში დგას, დღე დამეში აპარტამენტი 10 ათასი დოლარი ღირს. ამბობენ, ერთი ასეთი ნომრის გაკეთება 8 მილიონი დაჯდა. სასტუმრო „დექსორს“ პირამიდის ფორმა და ხეოვების პირამიდის ზომები აქვს. მისი შესახველი კაიროს ეროვნული მუსეუმის შესახველის ასლია. სტინქს ფარაონ ტუტანხამონის ნიდაბი უკეთია. შიგნით ზღაპრული გარემოა, თითქმის ვერტიკალურად განლაგებული კიბეები, ხელოვნური მარმარილო, ოქრო. პირამიდის წვერიდან ცამოჩანს. ლას ვეგასში დამით ჩახულეები დასახვენებლად სასტუმროში კი არ ჩერდებიან, ქალაქის დასავალიერებლად მიდიან. ლას ვეგასი დამით ისეა განათებული, რომ მისი არქიტექტურული საოცრებების - ციხე-კოშკების, ურჩხულების, გიგანტური ლამაზმანების და კლოუნების დანახვა ყოველთვის შეიძლება. კაზინოებში უთვალავი ავტომატი და სათამაშო მაგიდა დგას. 21 წლამდე ახალგაზრდებს თამაში ეკრძალებათ. ვინც ასაკთან შედარებით ახალგაზრდად გამოიყურება, რაიმე ცნობა უნდა წარადგინოს. ქალაქში ყოველთვიურად 5 ათასი ადამიანი ჩადის საცხოვრებლად და 2.5 ათასი უკან მიემგზავრება. ამის მთავარი მიზეზი აზარტული თამაშებია. საქმე ის არის, რომ მათ, ვინც ქალაქში ცხოვრობს ან მუშაობს, თამაში ეკრძალებათ. ვინც ამ საქმიანობაში ერთვება და ეს უჩვეულო სულაც არ არის, რადგან ქალაქში აზარტული ატმოსფეროა, ზოგჯერ თვეში მთელი თვის ხელფასს აგებს და მოთამაშე ხდება. „ლუქსორთან“ ახლოს უძვირფასესი სასტუმრო „ტროპიკანია“. ამ კაზინოს უკანასკნელ ხართულზე აუზებია, იქ ცურვაც შეიძლება, დაღვავც და თამაშიც. სათამაშო აპარატები პირდაპირ აუზებშია განლაგებული. იქვე ბანკოტების გამაშრობი სპეციალური ავტომატია.

ლას ვეგასშია კაზინო „იმპერიულ დალასი“. მისი მფლობელი უძვირფასესი მანქანების კოლექციონერია და ამავე დროს მგზნებარე ფანჯისტიც. ადოლფ ჰიტლერის დაბადების დღეზე დიდი წვეულება მოაწყო. ქალაქის მმართველობა იძულებული გახდა, იგი დაეჯარიმებინა. ქალაქის ცენტრში მსოფლიოს ყველაზე დიდი ტელეეკრანი დგას. იგი 2 მილიონი ნათურისაგან შედგება, მის დაშლადებას 700

მლნ დოლარი დასჭირდა, თანხის ნახევარი ქალაქის მმართველობამ გადაიხადა. ეკრანის დამონტაჟების შემდეგ ამ რაიონების კაზინოების შემოხვალმა მკვეთრად იმატა. მზის ჩასვლისთანავე ეკრანზე გრანდიოზულ შოუს უჩვენებენ, რომლის მსგავსიც მსოფლიოში არ არის. დიდ ჯგუფებად შეკრებილი ხალხი თვალმოუშორებლად უყურებს სანახაობას. ლას ვეგასის, ერთი შეხედვით, სრულიად ჩვეულებრივ კაზინოებში პოკერის მსოფლიო ჩემპიონატები ტარდება. ყველაზე პატარა პრიზი 500 ათასი დოლარია, მონაწილეთათვის ბილეთი 25 ათასი დოლარი ღირს.

1985 წლის შემდეგ ნევადის გუბერნატორმა მოაწერა ხელი ახალ კანონს, რომლის მიხედვითაც, მოთამაშეებს ეკრძალებათ ისეთი ზელსაწყობების გამოყენება, რომლითაც თამაშის შედეგების წინასწარი განსაზღვრა შეიძლება. მათ შორისაა პორტატული კომპიუტერი და გამოთვლელი უძვირფასესი სასტუმრო „ტროპიკანია“. ამ კაზინოს უკანასკნელ ხართულზე აუზებია, იქ ცურვაც შეიძლება, დაღვავც და თამაშიც. სათამაშო აპარატები პირდაპირ აუზებშია განლაგებული. იქვე ბანკოტების გამაშრობი სპეციალური ავტომატია.

მოამზადა 6060 სულხიამ

რედაქტორისაგან:

დღეიდან ჩვენი გაზეთი იწყებს დაბეჭდვას ფილმ "ფეხების" უჩვეულო სცენარისა. ასეთი იყო სცენარის პირვანდელი ვარიანტი გადაღებამდე.

იგი იმდენად საინტერესოდ და ქართულ ემიგრანტ-თათვის ამაღლებულად მოგვეჩვენა, რომ გადაწყვეტილ დღეიდან დაგვეწყო მისი დაბეჭდვა და სერიულად მოგვეწოდებინა თქვენთვის.

როცა რედაქციაში სცენარი წავიკითხეთ, გაოცდით, რომ ფურცელზე დაწერილმა ისე აგავიორიაქა, როგორც ფილმად აკინძულმა. ამოუცნობი ენერგიით დამუშებულმა სტრიქონებმა თუ აბზაცებმა კიდევ ერთხელ მოგვგვარა ცრემლი და ჩვენს ბელზე დაგვაფიქრა.

დარჩით ჩვენთან და ამაში თავად დარწმუნდებით!

თვითმფრინავი ათი კილომეტრის სიმაღლეზე მიფრინავს. ილუმინატორიდან ვიყურები დაბლა. აქედან დედამიწა ბუნდოვნად მჩანხარ, როგორც გაუმართავი ფოკუსით გადაღებული სურათი. შიშის ოქროსფერი გარსის შიგნით გადაშლილი უსასრულო სილურჯე აქა-იქ მოყვითალო და მონაცრისფრო ფორაჯებიანა აჭრელბუდია... ჩემს გვერდით სქელ-სქელი მანძილისანი წის, როგორც კი თვითმფრინავი პარიზის აეროდრომს მოწყდა, ამ ქალმა ძილს მისცა თავი და ეტყობა, მისკოვამდე არც აბირებს გადავიტყობას. ერთობრავრ მეც შევეცადე, თვალის მომეტყუებინა, მაგრამ არაფერი გამომივიდა. ან კი რა დამაძინებს, როცა ბირვულად მივამგზავრებ უცხოეთში და თანაც ასე შორს. ... ვერა და ვერ ვილაპარაკებ მღვდლადგარბას. შინიდან ადევნებული ფიქრები ერთი წამითაც არ მასვენებენ...

სად მივდივარ? იქ ვინ დამხვდება? ან დამხვდება კი ვინმე? მუხლებზე მიდევს მუყაოს ყუთი, რომელშიც მოთავსებულია ურთა ბაბუაჩემის, ვიღაცეა ზაქარეიშვილის ფერფლით. ამ ყუთის ისე ვარ ჩაფრინილი ორთავე ხელით, თითქოს ვინმე მის წართმევას მიპირებდეს. ყურებში კი ბაბუაჩემის ხმა ჩამეძვინის.

— ,,ძალიან გაუფრთხილდი, ბაბაია, თორემ მორიდ კი ვეღარ დაგვიფრულდება!...“

— მიითვით, მუსიე!

მომხმედვლად მომიღმარი სტიუარდესა ფორთხლის წვეწის მთავაზობს. სინიდან ჭიქის ვიდე და სულ მოუთქმელად ვსვამ.

— მომპოვდით თქვენი ყუთი, მუსიე, — მეუბნება სტიუარდესა. — ძალია შემოვდებ.

— იყოს... ეს ყუთი არ არის. — გუბებზე მე და ილუმინატორისაკენ ვტრიალდები.

სტიუარდესა გულმოდკოდ იღობს, მხრებს იჩინს და მშორდება.

ძრავების გუგუნს ერთბაშად ეცლება და დაბნელობა. ვგრძობ თვითმფრინავის მსუბუქ შეწყვეტას და ყურები მიგუბდება.

— პატრიცია მუხარებო, ვთხოვთ, შეიბნით საღატეები. — მისიხის სადღაცეიდან ხრიალა ხმა. — თხოუბეტი წუთის შემდეგ ჩვენი თვითმფრინავი მთახდენს ძირს და მშობას "შერეპეტევის" აერობორტში. ტექნიკატურა მისკოვში პლოუს 22 გრადუსია.

დაბლა უკვე გარკვევით მჩანხარს მწვანე მინდვრები, ჩამუჭებული ტყეები, ლარისით სწორ გზატკეცილზე მონრავი პაწია ავტოები... მდინარის მისანვევით თეთრი შენობები გაივლენ. პატარა ქალაქი აღმოჩნდება. მისკოვი სადღაც წინაა, იქ სერევი მელიდება. სერევი ბაბუა ანრის შვილია. მისკოვში მუშაობს რომელიღაც ფრანგული ფირმის წარმომადგენლობაში...

... საერთაშორისო აერობორტი შერეპეტევი.

ვრცელი დარბაზი საგსეა წამსვლელებით, ჩამოსულებით, გამცილებლებითა და დამხვდურებით. რუბ-

როდუქტორებიდან სხვადასხვა ენებზე გადმოსცემენ ცნობებს თვითმფრინავების მოფრენისა თუ გაფრენის თაობაზე. სერევი კუთხეში დგას და მოწყენილი იფრთხილავს გარანტიებს პრიალა იატაკზე მოფრეფრე ადამიანებს. ისმის დიქტორის ხმა რუსულ და ფრანგულ ენებზე:

— მოფრინდა თვითმფრინავი პარიზიდან რეისით 421...

სერევი გამოცოცხლდება. იგი საბაჟოს მოხელესთან მიდის და რაღაცას ეკითხება. მერე გვერდზე მიდგება და მოუთმუნლად იყურება იქით, საიდანაც მგზავრები გამოდიან...

სხვებთან ერთად გამოსასვლელი საკენ მივდივარ. ერთ ხელში ჩემოდანი მიჭირავს, მეორეთი მუყაოს კილოფი მაქვს ახუტებული მკერდზე. შორიდან ვე ვხედავ სერევი. აი, მანაც დაძინა. ცერებზე წამოიწია და ხელი დამიჭნია. ხმაძალია გამოძახის:

— შორეი...

მე შორიდან გუდიმი მას და ნაბიჯს ვუჭარბებ. მცირე ფორმალა საბაჟოსთან და აი, უკვე გამოცდი ტინრულს. ჩემოდანს ძირს ვდვამ, მუყაოს კილოფს საბაჟო დეკლარაციებით მოფენილ მაგიდაზე ვდებ და სერეუს ხელს ვართმევ...

— მიიღე ჩემი თანაგრძობა, შორეი. — მეუბნება სერევი. — ძალიან დამამწუხრა ამ აბზაცმა. შენ ხომ იცი, როგორ მიყვარდა ბიბია შორეი!...

— ვიცი — ვბასუნობ მე.

— ის არის? — შეკითხვას სერევი და მუყაოს ყუთზე მანიშნებს. მე უსიტყვოდ ვაქნევ თავს. სერევი ქუდს იხდის, რამდენიმე წამს თავდახრილი და გარინდებული დგას ყუთის წინ. მერე ქუდს იხურავს, ჩემოდანს ხელს წამოაღებს და გასასვლელისაკენ მიმდევება.

— ბილეთი უკვე ავიღე. მატარებელი მისკოვის დროით ხუთ საათზე გადის. — გზადგავს მიყვება იგი. — ხო. საათის გადაყვანა არ დაგავლყყვდა... ახლა მისკოვის დროით... თუშეცა სჯობს პირდაპირ თბილისის დროზე დააყენო, — შენ ხომ იქით მიდიხარ. გადასწიე ისრები საში საათით წინ...

ჩვენ აერობორტის შენობიდან გამოვდივართ. სერევი „სიტროენს“ მიაშურებს. ჩემოდანს საბარგულში დებს და მანქანის კარს მიღებს. თვითონ საჭესთან ვდებ და მანქანას ადგილიდან ძრავს...

მანქანა გზატკეცილზე მიქრის. დაფიქრებული გავყურებ გზის ორთავე მხარეზე გადაშლილ უცნობ ქვეყანას.

— ჩქარი მატარებლით იქამდე ორმოცი საათის საგალია — ჰყვება სერევი. — პატარა სადგურზე, სადაც შენ უნდა ჩახვიდე, მატარებელი სულ ორ წუთს ჩერდება. ასე რომ, დროულად მოემზადე ჩასასვლელად. ტელეგრამა ამ დღით გაგვზავნე ბაბუაშენის დის და მისი სახელზე. ორივე ტელეგრამის ტექსტი ერთნაირია აი... — სერევი ვაძიდან ქაღალდს იღებს, თან გზას გასცქერის, თან კითხულობს:

— ,,ჩამოვდივარ თქვადროში, ვაგონი ცხრა, მომაქვს ბაბუა ვიორგის ნეშტი“ როგორ ფიქრობ, ცოცხალი იქნება ბაბუაშენის და ან ძმა?

მე მხრებს ვიჩინ და თავს ურწმუნოდ ვიქნევ.

— ვინმე მაინც დაგხვდება სოფლის მმართველობიდან. — მანუგეშებს სერევი. — მთავარია, წინაპართა საფლავები განვენონო. ცოტა ფული რომ აჩუქო, ყველა გამოყვება და ვინგენებს. ჩაფლავ იქ ურნას და ბაბუა შორეის ანდერძიც ასრულებული იქნება. შეგიძლია იმ დღესვე უკან გამოემგზავრო. — ჰო, მეც ასე ვფიქრობ. — ვფთანხუბი სერეუს.

— გახედ! — გზის გადაღმა დადგმულ ტანკსაწინააღმდეგო როგატკეცილისაკენ მივხედვით. — აქ გადიოდა წინა ხაზი 41 წლის შემოდგომაზე. აქედან ნაცისტებმა ერთი ნაბიჯიც ვეღარ გადადგეს წინ.

— რა ახლოს მოსულან! — მიკვირს მე.

— ახლოს საკუთარ დაღუბვასთან.



— ფილოსოფიურად შენიშნავს სერევი. მერე მინას დაბლა სწევს და მეუბნება: — გრძობ, როგორი ჰაერია?... ხომ აღმდნა ქალაქი მისკოვი, თანაც რამდენი მანქანა მოძრაობს, ჰაერი კი ისეთია, როგორც ალბებში, ვირრევედრმად ისურეთი.

სარკმლის მინას ბოლომდე ვაღებ. ნეტარებით თვალმინებული სახეს შემხედვარ ქარს ვუშევრ...

— მატარებლის გასვლამდე ორი საათია. ჩვენს წარმომადგენლობაში ხომ არ შევიართო? ან საელჩოში? — შეკითხება სერევი.

— მე მისკოვის დათვალეირება მირჩევნია. — ვამბობ მე. — ამას ორი საათი არ ყვოფა, — იღობს სერევი. — მაგრამ არა უშავს რა, — ვნახით, რის ნახვასაც მოვასწრებთ.

ჩვენი „სიტროენი“ ხეივანით დაჩრდილულ ლანინგრადის პროსპექტზე მისინდობებს...

...

მატარებელი გუგუნით მიჰქრის... კუბეში საში ვართ: მე, ახალგაზრდა მუხარევი და ქალარაულგაშეიბანი ბრეგე მამაკაცი... მე ტალანში ვდევვარ ფანჯარასთან. პარიზიდან გამოყოლილ ვაჭრებს ვთვალეირებ. დროდადრო კი კუბეში ფანჯარასთან პატარა მაგიდაზე დადგმულ მუყაოს ყუთს ვაგხვდავ ხოლმე.

ჩემი თანამგზავრები კუბეში ფუსფუსებენ. თან რაღაცაზე რუსულად ლაპარაკობენ. ჭალარა კაცი პატარა მაგიდაზე არყიან ბოთლს დგამს, თევშებზე სანთავაგს აწყობს. მუხარევი კონსერვებს ხსნის. ვაგონის გამყოლს ჭიქები და დანა-ჩანგალი შემოაქვს კუბეში. ჭალარა მამაკაცი გუღლია ვესტით მაგიდისაკენ მიწვევს:

— მობრძანდით, მეგობარო, რავა სტუმარივით გიჭირავთ თავი! ქართულის მოულოდნელ ვაგონებაზე დაბნეულობამ და სიხარულმა შემიპყრო. — ქართველი ხართ? — გაბადრული მიგმართავ ჭალარა კაცს და ხელს ვუწვდი ჩამოსართმევად.

— აბა ვინ ვიქნები ?? — იცინის ჭალარა კაცი და ხელს მართმევს. თან კუბეში შეყვარ. მერე დარბაზილირი

სერიოზულობით, თითქოსდა განსაკუთრებული მნიშვნელობის ამბავს ვამანდობსო, დასძენს: — დომენტი გახლავარ, ამირანაშვილი.

— მეც ქართველი ვარ — დიდის ამბით ვამცნობ მე. —

— ვხედავ, შე კაცი! — ვაკვირვებუი დომენტი შლის ხელებს დომენტი.

— გიორგი მქვია. ზაქარეიშვილი ვარ. — ვეცნობი მე.

— სასიამოვნოა... ეს კი ვალოდიაა, ჩვენი მეგობარი. — მაცნობს დომენტი ახალგაზრდა მუხარევის. — ჩრდილოეთის ფლოტში მსახურობს. ახლა მშობლებთან მიდის ყუბანში შეგებულებით.

მე ხელს ვართმევ ვალოდიას და ფანჯარასთან ვვადებ.

— ნესტორ ზაქარეიშვილი რა არის შენი? — შეკითხება დომენტი და ჭიქებში არყს ახსამს.

— არ ვიცი, — ვბასუნობ მე.

— კათედრის გამგედ მუშაობს თბილისში, რავა არ ვეცოდინება! — უკვირს დომენტი. — კაცური კაცია. ჩემი მამიდაშვილი ჰყავს ცოლად. ასე რომ, თუ კარგად გამოვჩნებიკავთ, მიყვრებიც აღმოვჩნდებით. ახლა გავუმარჯოს ჩვენს შეგვედრას და ჩვენს ვაცნობას! — დომენტი ჭიქას ჭიქებზე ვიჭახუნებს, ვალოდიაც მიჭახუნებს ჭიქას ჭიქაზე და რაღაცას მეუბნება რუსულად. მე დომენტისაკენ ვიყურებო და შველის მოთხენელი თვალებით, მაგრამ იმას ჩემთვის არა სცხვლა, ჭიქა დაუკლია და თვალბზე ცრემლმომდგარი და სიმწრით დაჭყანული, დასაყლოებელში ექებს შეგებას. ვსვამ არყს, ზედ ლუქმას ვაყოლებ და ფეხზე ვდებ.

— მეც მაქვს რაღაც საგზალი წამოღებული, — გუბებზე და მალედიან ჩემოდნის ჩამოღებას ვლამობ. — რა ვაქარები, შე კაი ადამიანო! მეუბნება დომენტი და ადვილზე მამრუნებს, — წინ ორი დღის გზა გვიდევს. ნუ გეშინია, ყველაფრის შექმას და დაღვავას მოვასწრებთ. გვერდით კუბედან გიტარის ხმა და ხმადაბალი სიმღერა მისისხის. დომენტი ყური მიუგდო და თვალბები მინაბა. მერე თითები მოწინებით გაატკაცუნა და ჭიქები შეავსო.

— კარგად მღეროან ოჯახიქორები, — ამბობს იგი, — დერეფანში ისეღება და ხმაძალია გასძახის: — კალისტრატე! კალისტრატე!...

კუბეს ზღურღლს ყურებამდე ვადიმებელი მალაღი და გამხდარი ჭარბავი მოაღვება.

— კამპანას ვაუმარჯოს! — ამბობს იგი და ყველას სათითაოდ ვვიკრავს თავს.

— ვთხოვ თქვენს სუფრას, შემოგვივირდეს, — მიმართავს მას დომენტი. — დომენტი ბატონო, თქვენ ვადმობრძანდით თქვენი მეგობრებით ჩვენთან. — პირიქით ებატიეება კალისტრატე.

— კი, ბატონო. — მორჩილად თანხმდება დომენტი. მერე შემპარავი კილოთი დასძენს: — თუკი თქვენს მავიდაზე ვინმე ჩემზე ხნიერი ადამიანი ბრძანდება, ვადმოვალთ, აბა არა?... თუ არა და კეთილი ინებეთ და თქვენ მობრძანდით აქეთ.

ამ არგუმენტის საწინააღმდეგოდ კალისტრატე ვერაფერს ბოულობს, ხელებს უმწვოდ შლის და გვშორდება.

— აბა, ცოტა შეგვიწროვდით, — დაფაცურად დომენტი, — ვალოდია, შველო, ეს მაგიდაც ვაგაფართოთო. ვალოდია ერთ ჩემოდანს შუა კუბეში დგამს, ზედ მეთრე ჩემოდანს დებს სიბრტყით.

— შეიძლება გადაგაფართო? — შეკითხება იგი და ვაჭეობზე მანიშნებს. მის ნათქვამს რუსულის ცოდნის ვარუშეც ვხვდები და თავს ვუწევ. მერე

მასთან ერთად ვაჭეობებს ვშლი და ჩემოდანზე ვაფენ. ამ დროს მობატონებულბიც მოადგენ კარებს. ზოგს ბოთლები უჭირავს ხელში, ზოგს სანთავაგე. მოსულებს შორის ქალიშვილის სახე გამოიანათებს. ისეთი ლამაზია, — მზერას ვერ მოწყვეტ. გვერდით ახოვანი ახალგაზრდა უღვას ვიტართი ხელში. მათ ზურგს უკან მდგომი სათვალეებიანი ქერა კაცი მორბადებული დომენტი გამოგვეყურებს. კალისტრატე დიდის ამბით ვვაცნობს თანამგზავრებს:

— ვთხოვთ იცნობდით... თამარ ზარანდია. სტუდენტია, მისკოვში ამთავრებს ინსტიტუტს. ეს მისი ძმა, ჩემო ბატონო, ოთარი, ახალგაზრდა ინჟინერი... ეს ევეგენი ფედლორევი გახლავთ, ხარკოველი ექსიმი...

... ფანჯრიდან კუბეში ტრამალების ღამე იხედება. ვიტარის სიმთა უსათოეის თრთილვას კრინით აყოლებენ ხმას თამარ ზარანდია და მისი ძმა ოთარი, დომენტი და კალისტრატე კი, როგორც ბაბუაჩემი იტყოდა ხოლმე, ბანი ვოდრით დადგეს.

ჩემთვის ეს მხოლოდ კარგი სიმღერა როდია, იგი შორეული და ვერ უნახავი სამშობლოს ძახილია, რომელიც თავისკენ მიხმობს, მუხარესება და მაჯაღობს... უცხო მხარეში სიბრტყის შეგრძნებით გამოწვეული დაბნეულობა ერთბაშად მომეხსნა. თავი საამურად მიბრუნე...

სიმღერა დამთავრდა და თანამეუსურეთა შორის ხმადაბალი საუბარი გაიბა. დომენტი ევეგენი ფედლორევის უყვება, თუ როგორ იმოგზაურა მისკოვში მივლინებით თავისი ტრესტის საქმეებზე.

თამარი და ოთარი პირდაღებული უსმენენ ვალოდიას, რომელიც ჩრდილოეთის ცილზე ჰყვება... მოშირდაპირე მხარეზე მჯდომი კალისტრატე გულკეილიად მიღობს. მერე ჩემსკენ იხრება და შინაურული კილოთი მომმართავს:

— ზაქარეიშვილები საქამიასერიან არიან, მაგრამ, ვამივონია, ლანჩხოუშიც ცხოვრობენო. თქვენ სადაური ხართ?

— მე პარიზელი ვარ — ვბასუნობ მე.

— სადაურიო? — კიდევ უფრო იხრება ჩემსკენ კალისტრატე.

— პარიზელი, — უფრო ხმაძალია ვიმიოვებ მე.

კალისტრატეს ღიმილი სახეზე შეატყვარა. წყენისავან თვალბები დაუბატარავდა.

— ეჰ, ემაწვილო! — ამბობს იგი და თავს საყვედურით იწხებს, — მე შენხელა შვილები მყავს.

ამ კაცის მოულოდნელმა განაწყენებამ ცოტა არ იყოს შემაბუნა.

— დედის ვეფიცვებით. მე მართლა პარიზელი ვარ, — გულწრფელად წამოვიბახე.

კუბეში უცხად წყდება საუბარი. ყველა ჩემსკენ იხედება.

— დიდი ხანა პარიზში იმყოფებით? — შეკითხება ოთარი.

— როგორ ვითხრათ, — დაბნეული დომენტი ვბასუნობ მე, — მთელი სიცოცხლე... დაბადებიდან იქ ვცხოვრობ.

— რას ამბობ, კაცი! — ამბობს დომენტი, — მამათქვენი როდის მოხვდა იქ?

— მამაჩემიც პარიზში დაიბადა, — ვანგმარტე მე.

— საქართველოდან ბაბუაჩემია წამოსული. ცხრამეტი წლის ყოფილა მამინ. სამოცნე მეტი წელიწადი იცხოვრა საფრანგეთში და აი, ერთი კვირის წინათ თანამგზავრებიც.

ოთარი რუს თანამგზავრებს ჩემს მონაყოლს უთარგმნის. ყველანი ცნობისმოყვარებით შემომყურებენ. თამარი დომილიანი მზერით მათვალეირებს. თან თითების მსუბუქი შეხებით







# კროსვორდი

Words  
Cross

## ვღებულთ კრთსფორტებს მკითხვლისაგან





**თარაზულა:** 1. "თუთის ეშხში" შესული აბრავი; 4. მატარებლის "ქანიანი" სადგომი; 7. "ლადას" მარკის მაგარი რკინა; 10. "ნამიანი და ქერიანი" გაყინული თოვლი; 11. "უხნეური" დიდგვაროვანი; 12. "ნამით" აღებული გამხმარი ხილი; 14. "დარიანი" ამინდში გაყინაღებული ქალი; 17. მდინარე რომელმაც "რიო ღნში" ჩაიტანა; 18. "ინაურის" ბუნებრივი საღებავი; 19. სამკითხაო წიგნი, რომელშიც "კარა ნესეს" ინახავდა; 21. "ილოს" მეგობარი ცხოველი; 23. ერთნაირი ქულები "ფრეგატზე"; 24. ის რაც "შინ ნელის" ეცვა; 25. "ლიას" საყვარელი სახელმწიფო ევროპაში; 26. ის, რაც "გალში ფარს" ესროდნენ; 27. "ამირას" მიჯაჭვული გმირი; 28. "ილით" მოსეირნე კაცის სახელი;

**შვეშულა:** 1. "ორი თინას" კომბინაცია; 2. სუფრის "მეფე"; 3. ძალას რომ ჯობია; 4. კომპს რომ "აბია"; 5. პატარა ტანის კაცი "ქონდარს" რომ კრეფს; 6. მეცნიერი, "ტონიას ნიუს" სტილში რომ ხატავდა; 7. თევზის ძვალი ზოგს რომ "აკლია"; 8. კაცი, რომელიც "არ ჩივის"; 9. ფრინველი, "მიმი" რომ მოიტაცა; 12. "ნოსტალურში" რომ კერავდნენ; 13. "მინით" აშენებული მუსულმანთა სამლოცველო; 15. "კეტი" გაშვებული კოსმოსური ხომალდი; 16. "ქეით" დანაყული თევზის კვერცხი; 20. ზღაპრული ცხენი, რომელიც "რაში" გამოგადგება ვერ გაიგებ; 22. "ლიას და ანას" ხვიარა მცენარე; 23. "ფარონის" ცხერის ჯოგი.

**პორიზონტალი:** 3. "ურვა მორეული" ბატონის მოადგილე; 6. "ორმა" რაც ამოთხარა; 8. "კრამიტებზე მორბენალი" ოსის" შეჯიბრი; 11. რუსი კომპოზიტორი, რომელიც ნოტებს "ნაგავში" ყრიდა (რუს. კავში); 13. პოეტი, რომლის გულისთვისაც "ბაიამ რიონში" დაიხრხო თავი; 14. მცენარე, რომელზეც "ლია და ანა" ეკიდებოდნენ ჯუნგლებში; 16. "ლოკას" დამცინავი ლაპარაკი "ქილაში"; 18. "დივანზე" გასაგორებელი საქმიანი ქალი; 20. ციხესიმაგრე, რომლის "იატაკზე" "აკრობატი" დახტოდა (რუს. კავში); 21. "პატას" შექმნილ პროდუქტზე "ტენტის" გადაფარების აღების უფლება; 23. "ვანში გარდვიარდმო" გავრცელებული ხელოვნების მიმდინარეობა; 27. რამდენი სეხინია ქართულ კვარტეტში? 29. "ლარისას" საუნჯე; 30. მცენარე, რომლისაგანაც "ვიტას" ამზადებენ; 31. ტბა, რომელზედაც შაბათობით "ორ-ორმა" უნდა იაროს; 35. ყაჩაღი, რომელსაც თავში "კეტი რეკეს"; 37. რომელი პოსეიდონი; 38. "ბროლიას" თავზე დამსხვრეული ძვირფასი მინა; 40. "ოსი", რომელმაც ბევრი "ესკიმო" შეჭამა; 41. მებრძოლი ქალი, რომელიც "ვეშაპი არ არის" (ფილმ. და რუს. კავში); 42. "ტორებო" საჭმელი ნამცხვარი.

**მერტიპალი:** 1. მუსიკალური "დარიანი" და "ტარიანი" ყუთი; 2. "ასი სორტის" მქონე ქართული ბომბონიერი; 4. "შუების" მოყვარულთა სპორტის სახეობა; 5. ქალაქი, სადაც "ონამ" და "ვერამ" რომეოსა და ჯულიეტას ნამცხვარი გამოუცხო; 7. "პანტიანში" შეჭრილი დამპყრობელი; 10. ცხოველი, რომელსაც "შუბლზე ანტენა" ამოუვიდა (რუს. კავში); 12. "ძილისგულა" იაპონური ფირმა (რუს. კავში); 14. "ფურცლოვანი" კომპოზიტორი (რუს. კავში); 15. გზავნილი, "ამან ნათიას" ფოსტის საშუალებით რომ გაუგზავნა; 16. "ქვასავით" ნახშირი; 17. "ლერის" მიერ "ჯამში" დარღული მცენარე; 19. ჩარის ნახევარი; 22. "ლიონში" მოხარშული "ბუს" წვენი; 24. "გრანტის" კარგად დამუშავებისათვის მიღებული ჯილდო; 25. "მთაში მორბენალი ბელურა; 26. შემაღლება, რომლიდანაც "ტრაპაიმი" გადმოხტა, ერთი "მილი" იფრინა და კისერი მოიტეხა; 28. ცხვირსახოცის ქურდი ჯაფარის თუთიყუში (მულტფ. კავში); 32. "ვირების" ქალაქი (რუს. კავში); 33. "პრიმიტიული" მაიმუნი; 34. "მუშტიანი" ბობოლა (რუს. კავში); 36. რა ევონა კახელს მანდარინის გული? 38. "ოსი" შეფი; 39. კაცი, რომელმაც "კვერცხი დაღო" (სიმღ. კავში).



- იპრეკლე**
- ფარდაის
  - ვინლუკა
  - ქელია
  - ფილია
  - ტენი
  - რულია
  - როქით
  - ტამაჯარგი
  - დობავკომი
  - იზია
  - ალია
  - გიგორ
  - კრეისი
  - მპარიზ
  - უზიდან
  - პრატსკი
  - სარტიტი
  - აიოფლე
  - გინხუა
  - ბრუქაქი
  - ცეტიპერია
  - ქოროლუგია
  - იგინურა
  - კვირა
  - ტემიე
  - ინინიშო
  - ტომარაი
  - კრაილი
  - ჯაფარი
- იპრეკლე**



კომპანია  
**სულიკო**  
 წარმოგიდგინეთ



29 ნოემბერს, შაბათს, 8 საათზე,  
 ზესტორთან-გები Spirit of NY

# თბილისობა ახარიაში

ნუნუ ბაბუნია, თამუნა ამონაშვილი, ოთარ ტატიშვილი, ქეთა თოფურია,  
 რუსა მორჩილაძე, ნათელა იოსებიაძე, თამარიკო ღვინიაშვილი, ნანა რჩაულიშვილი,  
 ნათია ბაბუნა, თეონა კორძაიაძე, „ქუჩის ბიჭები“, ნინო ქარსელაძე, ღვინო უშანია

კომპანია „მზე“ და გოგა ხაინდრაძე ფილმით „ორნებების სასაფლაო“,  
 აგრეთვე მის მიერ გადაღებული იქნება ფილმი „თბილისობა ამერიკაში“

იჩქარეთ, აღვიღებთ ვაზლულაღია.  
 ბილეთები აღვიღებთ არ გაიყიდება



Pier 62, Chelsea Piers, West 23rd street, New York, NY 10011-1015

[973] 703-2349, [973] 243-9353, [347] 723-4187